


შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №11 ოქტომბერი 2010

# შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 75 წლისაა

## სახელოვანი იუბილე



2010 წელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის საიუბილეოა. მას დაარსებიდან 75 წელი უსრულდება. ამ ხნის მანძილზე მას მრავალი სიკეთისა და სიყვარულის მარცვალი უთესია, მრავალი ნიჭიერი და ღირსეული თაობა აღუზრდია, ბევრისთვის დაურწევია აკვანი, დაულოცია ცხოვრების გზა... დაარსებიდან დღემდე მრავალთაგანს, უნივერსიტეტის კედლებიდან დაფრთიანებულს, გაზრდილსა და დავაჟკაცებულს, მაღალაკადემიური ცოდნით დატვირთულს, სახელი და დიდება შეუმატებია ჩვენი სამშობლოსათვის. ასეა დღესაც და ჩვენი უნივერსიტეტის 75-წლიანი ღირსეული ისტორია იმის საფუძველს იძლევა, რომ მარად ახალგაზრდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავაც განაგრძობს წინა თაობების მიერ დაწყებულ ქართველი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლების დიდ საქმეს. 75-წლიანი ისტორიის, გამოცდილებისა და წარმატებების მქონე უნივერსიტეტს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ეს დიდი გზა კი 1935 წელს დაიწყო, როცა აჭარაში,ბათუმში ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი გაიხსნა. 1938 წელს ინსტიტუტს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელი. ამან კიდევ უფრო გაზარდა ინსტიტუტის სათავეებთან მდგომი სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების პასუხისმგებლობა, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა.

ჩვენი ქვეყნის ძლიერება და მოსახლეობის კეთილდღეობა არსებითად დამოკიდებულია მაღალი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებზე, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ საკუთარი პროფესიონალური საქმიანობის მნიშვნელობა ქვეყნისათვის. სწორედ ამიტომ უმაღლესი განათლების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ქვეყნის უკეთესი მომავლით უზრუნველყოფა და სახელმწიფოს განვითარებისათვის ხელშეწყობა. ცოდნაზე დაფუძნებული ქვეყნის მომავალი ვერ შეიქმნება სათანადოდ მომზადებული მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების გარეშე. ეს კარგად ჰქონდა გააზრებული პედაგოგიური ინსტიტუტისა თუ უნივერსიტეტის ყველა თაობის წარმომადგენელს.

წლების განმავლობაში ინსტიტუტი (შემდეგ – უნივერსიტეტი) ვითარდებოდა და იზრდებოდა, როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მხრივ, ასევე სამეცნიერო კადრებით და კვლევის მიმართულებების ფართო სპექტრის თვალსაზრისით. სადღეისოდ იგი წარმოდგენილია 8 ფაკულტეტით: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის, მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სასოფლო-სამეურნეო, საინჟინრო-ტექნოლოგიური, განათლებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტები და ქართველოლოგიის, აგრარული ტექნოლოგიების, მემბრანული ტექნოლოგიებისა და ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებით.

XXI საუკუნეში განათლების სისტემის მიმართ განსაკუთრებული მოთხოვნებია. უმაღლესი განათლების საერთო-ევროპული სივრცის შექმნის მიზნით, 1999 წლის ივნისში 29 ქვეყნის განათლების მინისტრმა მოაწერა ხელი

**გაგრძელება გვ. 2**

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 75 წლისაა. ღირსეული თარიღია გაწეული საქმიანობის შესაფასებლად. თამამად შეიძლება ითქვას, ამ ხნის მანძილზე უნივერსიტეტის კედლებში მრავალი ნიჭიერი და ღირსეული თაობა გაზრდილა. მრავალ მეცნიერსა და პედაგოგს ტიტანური შრომა და გარჯა გაუწევია სამშობლო ქვეყნის დამოუკიდებლობის,სიმტკიცისა და ძლიერების გზაზე მრავალი ღამე თეთრად უთენებია. ჯერ კიდევ პედაგოგიური ინსტიტუტის არსებობის წლებში ეს უმაღლესი სასწავლებელი იყო არა მხოლოდ აჭარის,არამედ საქართველოს სხვადასხვა კუთხის პედაგოგიური კადრების აღზრდის ნამდვილი კერა. მომავალი თაობის აღზრდა უდიდესი მისია და დიდი პასუხისმგებლობაა. ნიჭიერი და განათლებული,შრომისმოყვარე და სამშობლოს ერთგული სტუდენტი-ახალგაზრდობა არა მხოლოდ ჩვენი, არამედ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე, მისი ბედნიერი და ნათელი მომავალია.

გვჯერა, ამ დიდ საშვილიშვილო საქმეში უნივერსიტეტი კვლავაც იტყვის ღირსეულ სიტყვას და საკუთარ წვლილს შეიტანს სამშობლო-ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და სულიერი სიმტკიცის საქმეში.



**ლევან ვარშალომიძე**
**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებსა კურსდამთავრებულებს დაარსებიდან 75-ე წლისთავს გილოცავთ!

სწორი აქცენტებითა და პრინციპული მიზნებით უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ბათუმის უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საამაყოა,რომ უნივერსიტეტს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა აქვს ქვეყნისა და უცხოეთის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და მეცნიერების სხვადასხვა დარგში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე უნივერსიტეტი სასურველ მასპინძლად ითვლება. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და გაცვლითს პროგრამებში უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის აქტიურად მონაწილეობა უდავოდ მნიშვნელოვანია როგორც საერთაშორისო გამოცდილებისათვის,ასევე სტუდენტებისთვის. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზანია ახალგაზრდებისათვის სრულფასოვანი განათლების მიღება და თანამედროვე უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რათა ისინი კონკურენტუნარიანები გახდნენ საქართველოში და საერთაშორისო ასპარეზზეც.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი წარმატებით მუშაობს ზუსტ და საბუნებისმეტყველო, კომპიუტერული მეცნიერებებისა და საინჟინრო მიმართულებებზე.

კიდევ ერთხელ გილოცავთ 75-ე წლისთავის იუბილეს და გისურვებთ მრავალი ნიჭიერი თაობის აღზრდას!



**დიმიტრი შაშკინი**
**განათლებისა და მეცნიერების მინისტრი**

აჭარა თავისი კულტურით, ტრადიციებითა და ინტელიგენციით, გამორჩეული კუთხეა საქართველოში.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს დიდი წვლილი შეჰქონდა ჩვენი რეგიონის ცხოვრებაში, იგი ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იყო 1935 წლიდან აჭარაში. ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტიდან 1945 წელს გადაკეთდა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტად, შემდგომ კი 1990 წელს დაფუძნდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,რომელიც დღემდე მოვიდა,ვითარდება და კვლავ განაგრძობს ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდებისათვის მაღალი ხარისხის განათლების მიცემას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გულითადად ულოცავს 75 წლის იუბილეს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს და უსურვებს წარმატებებს, უნივერსიტეტს განვითარებისა და განათლების მაღალი მწვერვალების დაპყრობას.



**გია აბულაძე**
**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი**

ბოლონიის დეკლარაციას. 2005 წელს აღნიშნულ დეკლარაციას საქართველოც შეუერთდა.

საქართველოს მიერთებამ ბოლონიის პროცესთან ქართული უნივერსიტეტები, და მათ შორის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიც, დააყენა ახალი გამოწვევების წინაშე: მან განსაზღვრა თავისი როლი და ადგილი ქვეყნის განვითარების საქმეში, გამოკვეთა მისია, დაიწყო დასაქმების სფეროს მოთხოვნების შესწავლა და საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმა. რსუ-სთვის მნიშვნელოვანია საქმიანი ურთიერთობების დამყარება სხვადასხვა უნივერსიტეტთან, გამოცდილების გაზიარების, ერთობლივი პროგრამების განხორციელების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლის თვალსაზრისით.

ქვეყნის პოლიტიკური კურსის ცვლილებამ წინა პლანზე წამოწია უმაღლესი განათლებაში ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა საბუნებისმეტყველო, საინჟინრო, ტყურიზმი, ტექნოლოგიური, პედაგოგიური, სასოფლო და სხვა.

ამ დარგებზე მოთხოვნები რსუ-ს საფუძველს აძლევს, არსებული ტრადიციებისა და რესურსების გამოყენებით, განავითაროს ახალი მიმართულებები და წარმატებით გაართვას თავი სახელმწიფოსა და საზოგადოების დაკვეთას.

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტის მომზადება ხანგრძლივი პროცესია, უფრო სწორად, ეს არის „სწავლა სიცოცხლის მთელი პერიოდის განმავლობაში".

სწორედ ამიტომაც სტუდენტებს, პრაქტიკულ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დარგებში დასაქმებულებს უნივერსიტეტი სთავაზობს ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის უმაღლეს პროფესიულ, აკადემიურ (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), აგრეთვე, მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებს.

სწავლების ტრადიციული მეთოდები თანამედროვე მიდგომებით შევსებას მოითხოვს არა იმიტომ, რომ ისინი მოძველდა, არამედ იმიტომ, რომ შეიცვალა სწავლების სუბიექტი – სტუდენტი.

თანამედროვე პირობებში იზრდება მოთხოვნები სპეციალისტის პროფესიონალურ მომზადებაზე. ამასთან, აქტუალური ხდება პიროვნების ფორმირება, რომლისთვისაც დამახასიათებელი იქნება შემოქმედებითი აზროვნება, ინიციატივა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. აუცილებელია ახალი მიდგომების, ფორმებისა და ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებაში. შესაბამისად, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ცდილობს,დანერგოს აქტიური სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: ინტერაქტიული ტექნოლოგიები, სიტუაციური ამოცანები, საქმიანი თამაშები, პრობლემური ლექცია, მასალის გადაცემა რეჟიმში: „მონოლოგი-დიალოგი", კონკრეტული საწარმოო სიტუაციის ანალიზი, დისტანციური სწავლება, სწავლების პროგრამირება და ა.შ.

ბუნებრივია, რომ დასმული პრობლემების გადაჭრისათვის აუცილებელია აკადემიური პერსონალის პროფესიული, მეთოდური და ფსიქოლოგიური კომპეტენტურობა. სწორედ ამიტომ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს მუშაობა უწევთ მუდმივ ინოვაციურ რეჟიმში. მათი ამოცანაა სწავლის ხარისხის მუდმივი სრულყოფა. ისინი ცდილობენ, შექმნან პირობები სტუდენტებში აზროვნების შემოქმედებითი ტიპის ჩამოყალიბებისა და ფორმირებისათვის.

დღეისათვის უნივერსიტეტის უმთავრესი საზრუნავია მაღალი პროფესიონალური, მეთოდური და ფსიქოლოგიური კომპეტენციის მქონე სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მოზიდვა და აღზრდა, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა,სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინფორმაციული, მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფა, კავშირების დამყარება უცხოეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან, სტუდენტთა და პროფესორმასწავლებელთა სტაჟირებასა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისათვის ხელშეწყობა.

საუნივერსიტეტო საქმიანობის პრიორიტეტია, ასევე, რეგიონული და საერთაშორისო მნიშვნელობის კონგრესების, კონფერენციების, სემინარების, ტრეინინგების, საზაფხულო სკოლების და მესამე საერთაშორისო სემესტრის ჩატარების უზრუნველყოფა, პიროვნულ-პროფესიონალური თვალთახედვით სპეციალისტის ფორმირებისათვის აუცილებელი კულტურული გარემოს, სტუდენტთა თვითგანვითარების, დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბების, მათი პრობლემების გადაჭრისა და უფლებების დაცვისათვის სათანადო პირობების შექმნა, შესაბამისი ბაზებით სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფა და ა.შ.

უნივერსიტეტი ატარებს მარკეტინგულ კვლევას ე.წ. „მომწოდებლიდან – მომხმარებლამდე". კვლევის შედეგად ფასდება აბიტურიენტთა მოტივაცია რსუ-ში სწავლის გასაგრძელებლად, ასევე, იკვლევს დამსაქმებელთა მოსაზრებებს კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით, აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტში ინერგება „შრომის ბაზრის" მოთხოვნების შესაბამისი ახალი საგანმანათლებლო პროგრამები.

ევროპის ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის უნივერსიტეტმა, ასევე, უნდა გაითვალისწინოს სახელმძღვანელოებად აღიარებისა და ცნობის საკითხი: თუ გვექნება განსხვავებული საგანმანათლებლო პროგრამები, სახელმძღვანელოები, სწავლების მეთოდოლოგია და ა.შ. ჩვენ დაახლოების ნაცვლად დავშორდებით ბოლონიის პროცესს.

ასე რომ, თუკი შევეცდებით, მოკლედ დავახასიათოთ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი გარემო, სურათი ასეთი იქნება:

უნივერსიტეტი საჭიროებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კიდევ უფრო გაუმჯობესებას და მისი შესაძლებლობების:

- ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა;
- დამსაქმებელთა ინტერესი;
- საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნება;
- უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტების ინტერესი პარტნიორულ თანამშრომლობაზე;
- მაღალი კომპეტენციის სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები.
- რეგიონის განსაკუთრებულობით: ჰავა, კლიმატი, ზღვა, ალპური ზონა და ა. შ. განპირობებული წყლისა და ხმელეთის რესურსების მრავალფეროვნების შესწავლის კუთხით კვლევების წარმართვა;
- დღეგრძელთა დიდი რაოდენობით გამორჩეულ რეგიონში გერონტოლოგიისა და გერიატრიული პრობლემების შესწავლა;
- ზაფხულის სკოლა – სემინარების ჩატარება;
- კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო პოტენციალისა და მატერიალურ – ტექნიკური ბაზის რაციონალურად გამოყენებას.

როგორც ხედავთ,ჩვენს უნივერსიტეტს დიდი შესაძლებლობები და შთამბეჭდავი პოტენციალი გააჩნია, სწორედ ეს გვაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს და **მეც იმედიანად ვულოცავ სახელოვან იუბილეს უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს, მისი დაარსებიდან დღემდე უნივერსიტეტში მოღვაწე ყველა თაობის წარმომადგენელს, ვუსურვებ წარმატებებს სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში და ვიმედოვნებ, რომ მათი ძალისხმევის შედეგად შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მალე ჩადგება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტთა რიგებში.**

**ალიოშა ბაკურიძე**
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

---



75 წლის იუბილეს ვულოცავ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს! უნივერსიტეტს ვუსურვებ განათლებული,ჯანსაღი ახალგაზრდობის აღზრდას, რომელიც ღირსეულ წვლილს შეიტანს ქვეყნის მომავლის მშენებლობაში! თსუ მუდამ თქვენს გვერდით იქნება პარტნიორულ ურთიერთობებში. გისურვებთ წარმატებებს!

**ალექსანდრე კვიტაშვილი**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი**

---



საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციისა და პირადად ჩემი სახელით გილოცავთ უნივერსიტეტის საიუბილეო თარიღს. დარწმუნებული ვარ, თქვენი ძალისხმევა, ცოდნა და გამოცდილება ახალ საფეხურზე აიყვანს წინამორბედთა მიერ დაწყებულ საგანმანათლებლო საქმიანობას,რათა ცოდნის ამ უშრეტმა წყარომ ოცდამეერთე საუკუნისათვის საჭირო და გამოსადეგი კადრები აღუზარდოს სამშობლოს.

ვამაყობ, თავადაც ამ უმაღლესი სასწავლებლის აღზრდილი რომ ვარ.

ღმერთმა ნათელში მიმყოფოს ჩემი სახელოვანი პედაგოგები: ალექსანდრე ჩავლეიშვილი, ნელი დუმბაძე, შოთა ნიჟარაძე, ნადია საბაშვილი, ოთარ ფარეიშვილი, ალექსანდრე გობრონიძე...

ათასი მადლობა ბრწყინვალე ენათმეცნიერს, ლიტერატორსა და პუბლიცისტს, ბატონ ნური ვერძაძეს ჩემს დაფრთიანებაში გაწეული ამაგისათვის.

ქართული მწერლობის აჭარის ფრთა საზრდოობდა და საზრდოობს ბათუმის უნივერსიტეტით.

წარმოუდგენელია ჩვენი დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრება შოთა ზოიძის, იური ბიბილეიშვილის, შორენა მახაჭაძის, თინა შიოშვილის, მამია ფაღავას, მალხაზ ჩოხარაძისა და სხვა პროფესორ-მასწავლებლების ესეების, კრიტიკული და პუბლიცისტური წერილების გარეშე.

აჭარაში ჩვენ უფალი სხვა ფუნქციასაც გვაკისრებს...

ერთმანეთის იმედი ნუ მოგვიშალოს ღმერთმა.

მიყვარს ჩვენი უნივერსიტეტი და მიყვარხართ თქვენ, ვინც დღეს მის აუდიტორიებს ალამაზებთ.

დღეგრძელი იყოს ჩვენი ულამაზესი ქალაქის ზღვისპირის მშვენება - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**დავით თედორაძე**
**საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე**

---



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ვულოცავ დაარსებიდან 75 წლის იუბილეს. უნივერსიტეტს, რომელსაც განვითარების დიდი ისტორია აქვს. მიხარია, რომ დღეისათვის იგი რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელს აერთიანებს და ძლიერი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ბაზა გააჩნია. ძლიერი უნივერსიტეტის არსებობა კარგი სპეციალისტების აღზრდას ნიშნავს, რაც ზოგადად ქვეყნის წინსვლის საქმეში მნიშვნელოვანი შედეგების საფუძველია. დიდი ივანე ჯავახიშვილის ოცნება, რომ საქართველოში მეორე უნივერსიტეტი ბათუმში ყოფილიყო ჩვენს დროში რეალობად იქცა და მეამაყება, რომ ჩვენი ქალაქი ამითაცაა გამორჩეული.

უნივერსიტეტის მთელ პერსონალს, ლექტორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, ყველას გილოცავთ ამ იუბილეს! გისურვებთ წინსვლასა და წარმატებებს!

**რობერტ ჩხაიძე**, ქ. ბათუმის მერი

---



შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი – აჭარისა და მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი რეგიონის სამეცნიერო – პედაგოგიური და მეცნიერული – საგანმანათლებლო სფეროს კადრების მომზადების აღიარებული სამჭედლო – დღეს 75 წლის საიუბილეო თარიღს ზეიმობს.

გულწრფელად ვულოცავ ჩვენს უნივერსიტეტს ღირსეულ იუბილეს და ვუსურვებ ახალ წარმატებებს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოში განათლების, მეცნიერებისა და კულტურის აღმშენებლობის ფრიად საპასუხისმგებლო და საპატიო საქმეში

**წარმომადგენლობითი საბჭოსსპიკერი, პროფესორი - ვახტანგ შამილაძე**

---

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული მისია

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იუბილე ღირსშესანიშნავი მოვლენაა არა მხოლოდ უნივერსიტეტის ცხოვრებაში, არამედ სრულიად საქართველოს საუნივერსიტეტო და საგანმანათლებლო სივრცეში.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ბათუმში რეგიონული უმაღლესი სასწავლებლის შექმნას ჰქონდა როგორც კულტურულ-სოციალური, ასევე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც. საქართველოს წიაღში დაბრუნებული მხარის შემომტკიცება და რეინტეგრაცია შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ ეკონომიკური და სოციალური ბერკეტებით, არამედ საგანმანათლებლო-კულტურული ღონისძიებებითაც. იმთავითვე ეს მისია დაეკისრა 1935 წელს გახსნილ სამასწავლებლო ინსტიტუტს, რომელიც შემდგომში პედაგოგიურ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა. ათეული წლების განმავლობაში აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები, რომლებიც რუდუნებით ზრდიდნენ ადგილობრივ კადრებს არა მხოლოდ მასწავლებლების, არამედ სამეცნიერო პერსონალის სახითაც. თანდათან ჩამოყალიბდა ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გამოვლინდა სამეცნიერო პოტენციალი და ინსტიტუტის უნივერსიტეტად გარდაქმნის საფუძველიც შეიქმნა.

ამ პროცესის მიღმა არ დარჩენილა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ბათუმელი ენათმეცნიერების ყველა თაობის წარმომადგენელთა უმეტესობას საკვალიფიკაციო ხარისხი სწორედ ენათმცნიერების ინსტიტუტის სადისერტაციო საბჭოს მიერ მიენიჭა, არა ერთი ერთობლივი ექსპედიცია თუ კონფერენცია გაიმართა. თანამშრომლობის ეს ტრადიცია უფრო განმტკიცდა მემორანდუმითა და ერთობლივი ღონისძიებებით, რომელთა შორის გამოვყოფდით მიმდინარე წლის მაისში ბათუმში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმს ლექსიკოგრაფიაში...

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი მზადაა აქტიურად ჩაერთოს დოქტორანტთა მომზადებისა თუ ხარისხის მინიჭების საქმეში, ასევე განახორციელოს ერთობლივი სასწავლო და სამეცნიერო პროექტები.

ბათუმელი კოლეგების პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება აღგვავსებს რწმენით, რომ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში აღიზრდებიან კვალიფიციური სპეციალისტები და მკვლევრები, რომლებიც შორს გაუთქვამენ სახელს როგორც უნივერსიტეტს, ასევე ქალაქსა და ქვეყანას.

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი ულოცავს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურას და სტუდენტობას საიუბილეო თარიღს. გამოვთქვამთ იმედს, რომ უნივერსიტეტი თავის ისტორიულ მისიას ღირსეულად განახორციელებს 21-ე საუკუნეშიც.

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომელთა სახელით

ინსტიტუტის დირექტორი

# ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

/დეკანი - სრ. პროფ. მარინა გიორგაძე/

ფაკულტეტი განთავსებულია უნივერსიტეტის I კორპუსში. ტელეფონი 7-17-97. www.humanitaruli.bsu.edu..ge/











**2010 წლის მონაცემებით, ფაკულტეტის:**

**აკადემიური პერსონალი**

**ს უ ლ - 74**
**სრული პროფესორი - 18**
**ასოცირებული პროფესორი – 27**
**ასისტენტ -პროფესორი - 29**

**სტუდენტთა რაოდენობა:**

**ს უ ლ – 797**
**პროფესიული – 33**
**ბაკალავრიატი – 628**
**მაგისტრატურა – 104**
**დოქტორანტურა - 32**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში 1935 წელს. ის წლების მანძილზე იცვლიდა დასახელებასა და სტრუქტურას, მასში სხვადასხვა დროს გაერთიანდა უნივერსიტეტის ტრადიციული ფაკულტეტები და მიმართულებები (ქართული ფილოლოგიის, რუსული ფილოლოგიის, დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის, ისტორიის, კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინოლოგიისა და ნეოგრეცისტიკის, ფილოსოფიის,პედაგოგიკა–ფსიქოლოგიისა და ხელოვნებათმცოდნეობის).

დაარსების დღიდან ფაკულტეტზე მოღვაწეობდნენ გამოცდილი, ერუდირებული, ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პროფესიული კადრები. ფილო-ლოგიის ფაკულტეტის პირველი დეკანები იყვნენ **გრიგოლ გიორგაძე და ალექსანდრე ჩავლეიშვილი.**

1938 წელს ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტთან გაიხსნა რუსული სექტორი.

1935 წელს გაიხსნა **ისტორიის ფაკულტეტი** (პირველი დეკანები: **ლ. გეგეშიძე, ნ. ღარიბაშვილი, ვ. იაშვილი, პ. პატარაია).** უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად ადგილობრივ კადრებთან ერთად ფაკულტეტზე მოღვაწეობდნენ თბილისის უნივერსიტეტიდან,ქუთაისის პედინსტიტუტიდან და მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებიდან მოწვეული ცნობილი აკადემიკოსები და პროფესორები: **გ. ბერიძე, გ. ახვლედიანი, ა. ჯავახიშვილი, ს. ყაუხჩიშვილი, ს. კაკაბაძე, გ. წერეთელი, პ. ბერაძე, ს. ყუბანეიშვილი, კ. კაპანელი, შ. ძიძიგური და მრავალი სხვ**. მათ დიდი როლი შეასრულეს ფაკულტეტის ორგანიზაციის, მისი განვითარების, პედაგოგთა კადრების მომზადებისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში.



1935 წელს ჩატარებული პირველი მისაღები გამოცდების შედეგად ჩარიცხული 201 აბიტურიენტიდან, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე ჩაირიცხა 47, ხოლო ისტორიის სპეციალობაზე – 52 აბიტურიენტი. მოგვიანებით, 1945 წელს, როცა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის ბაზაზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი ჩამოყალიბდა,ფილოლოგიის ფაკულტეტი ისტო-რიის ფაკულტეტს შეუერთდა და შეიქმნა **ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი** (ფაკულტეტს სხვადასხვა წლებში ხელმძღვანელობდნენ: **ვ. იაშვილი, პ. პატარაია, მ. პატარაია, ა. ინაიშვილი, ი. ნაკაიძე, ლ. აბაშიძე, მ. ფარტენაძე, მ. ჩავლეიშვილი, მ. ბერიძე, რ. ზოსიძე, მ. ფაღავა, ბ. დიასამიძე, თ. ფუტკარაძე),** გაიზარდა სტუდენტთა კონტინგენტი, გაძლიერდა პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა, გაიზარდა კათედრებისა და სპეციალობების რიცხვიც.





**ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი** აერთიანებდა ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, რუსული ენისა და ლიტერატურის, უცხოური ენებისა და საზღვარგარეთული ლიტერატურის სპეციალობებს. ფაკულტეტზე ფუნქციონირებდა შემდეგი კათედრები: ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის, მსოფლიო ისტორიის, უცხოური ენებისა და საზღვარგარეთის ლიტერატურის.

ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩამოყალიბების შემდეგ,ფილოლოგიის ფაკულტეტი კვლავ ცალკე გამოიყო (1998წ.). 1998–1999 სასწავლო წელს უნივერსიტეტში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა ორი – ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამ პერიოდიდან ფილოლოგიის ფაკულტეტს ხელმძღვანელობდნენ **დოც. მერი ცინცაძე** (1998-2004 წწ.) და **მ/კ თემურ ავალიანი** (2004-2005), ისტორიის ფაკულტეტს კი - დოცენტები: **რევაზ დიასამიძე და ჯემალ კარალიძე.**



1991 წელს ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტს გამოეყო რუსული ენისა და უცხო ენების ფაკულტეტი. 2000 წლის აგვისტოში აღნიშნულ ფაკულტეტს გადაეცა ჟურნალისტიკა-უცხო ენისა და ჟურნალისტიკის სპეციალობები და ეწო-და დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, დეკანის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა **დოც. ბიჭიკო დიასამიძე.** სხვადასხვა წლებში ფაკულტეტს ხელმძღვანე-ლობდნენ დოცენტები: **ნოდარ ვარშანიძე, მალხაზ ჩოხარაძე, მაია კიკვაძე,** ხოლო 2004 წლიდან ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას ასრულებდა **დოც. მარინა გიორგაძე**. 2005 წელს ფილოლოგიისა და დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტების გაერთია-ნების საფუძველზე ჩამოყალიბდა ჰუმანიტარული ფაკულტეტი (დეკანად დაინიშნა დოც. **მ. გიორგაძე**).

ჰუმანიტარულ ფაკულტეტში გაერ-თიანდა 9 კათედრა: ქართული ენის, ქართული ლიტერატურის, ზოგადი ფი-ლოლოგიის, რუსული ენის, რუსული ლიტერატურის, ზოგადი ენათმეცნიერების, ინგლისური ენისა და საზღვარგარეთის ლიტერატურის, გერმანული ენისა და ლიტერატურის, ფრანგული ენისა და ლიტერატურის.



განათლების რეფორმასა და უნივერ-სიტეტში მიმდინარე რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, მოგვიანებით, ფაკულტეტზე არსებული 9 კათედრა გაუქმდა და მათ ბაზაზე შეიქმნა სამი დეპარტამენტი: ქართული ფილოლოგიის, სლავისტიკისა და ევროპეისტიკის დეპარტამენტები.

2006 წლის სექტემბრიდან ფა-კულტეტს შეუერთდა პედაგოგიკა-ფსი-ქოლოგიის დეპარტამენტი და ეწოდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და პედა-გოგიკის ფაკულტეტი. 2007 წლის სექტემბრიდან ფაკულტეტს გამოეყო პედაგოგიკა-ფიქოლოგიის მიმართულება და შეუერთდა ისტორიის,ფილოსოფიისა და ხელოვნებათმცოდნეობის მიმართუ-ლებები. ფაკულტეტს ეწოდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

2008 წელს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიქმნა **სადისერტაციო საბჭო (თავმჯდომარე, სრული პროფესორი დავით გოცირიძე),** რომელიც დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, ისტორიისა და ხელოვნების თეორიისა და ისტორიის მიმართულებით. 2009 წელს დოქტორის აკადემიური ხარისხი მოიპოვა 42-მა დისერტანტმა (22 - ენათმეცნიერების, 9 - ისტორიის,7 - ლიტერატურათმცოდნეობის და 4 - ხელოვნების თეორიისა და ისტორიის მიმართულებით). ამჟამად ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ხელმძღვანელობს **სრ. პროფ. მამია ფაღავა.**

2009 წელს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიქმნა ქართველოლოგიის ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანდა ფაკულტეტზე მოქმედი სამეცნიერო ცენტრები: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კვლევის, სოციოკულტურული ანთროპოლოგიისა და ეთნოლინგვისტიკისა და ქრისტიანული კულტურის შესწავლის.

ფაკულტეტს აქვს მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონტაქტები საქართველოში მოქმედ საელჩოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხოეთის უნივერსიტეტების ფაკულტეტებთან და დეპარტამენტებთან. ამ კონტაქტების საფუძველზე, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ყოველწლიურად მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში (საზაფხულო სკოლები,საგრანტო პროექტები,ერაზმუს-მუნდუსი და ა.შ.)

ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები წარმატებულ პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად მნიშვნელოვან სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწევიან: გამოსცემენ სახელმძღვანელოებს, მონოგრაფიებს; მონაწილეობენ საერთაშორისო და რესპუბლიკური კონფერენციების მუშაობაში. ფაკულტეტზე ყოველწლიურად გამოდის რამდენიმე სამეცნიერო კრებული.

ფაკულტეტის კურსდამთავრებულები წარმატებით მოღვაწეობენ განათლების სისტემაში (სკოლები, ინსტიტუტები), სახელმწიფო და სხვა სტრუქტურებში, არიან ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, პოეტები, საზოგადოების გამორჩეული და ღვაწლმოსილი წარმომადგენლები. მნიშვნელოვანია მათი წვლილი ქვეყნის განათლებისა და კულტურის განვითარებაში, ინტელექტუალური მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

### ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პრიორიტეტები:

**I. ზოგადი პრობლემატიკა:**

- ქართული ფენომენი ანთროპოცენტრისტული პარადიგმის შესაბამისი სამეცნიერო დისციპლინების პრობლემატიკის ჭრილში;
- ქართული ფენომენი საგანმანათლებლო პროცესების უნივერსალიზაციის პროცესში;
- ჰუმანიტარული სამეცნიერო დარგების პრობლემატიკა პოლიტიკური პარადიგმის ცვლილების პირობებში.

**II. დარგობრივი კვლევის პრიორიტეტები:**

**1. ქართველოლოგია:**

- ქართული ენა და ლიტერატურა ინტერკულტურულ კომუნიკაციაში;
- ქართული ენა უცხოენოვან გარემოცვაში;
- ენობრივი ტრანსფორმაციის პროცესების ანალიზი;
- ქართული ცნობიერების მანიფესტაცია ენასა და ლიტერატურაში;
- ქართული სამყაროს ვიზუალური პორტრეტიზაცია;
- ქართული ენობრივი გარემოს მოდელირება (უცხოელ ქართველთათვის, საქართველოს არაქართული მოსახლეობისათვის, ქართული ენით დაინტერესებული უცხოელებისათვის)

**2. ევროპეისტიკა:**

- ევროპული ენების ეთნოკულტურული გარემოს კომპენსატორული მოდელირება;
- ევროპული ენები და ლიტერატურა უცხოენოვან/ქართულ გარემოცვაში.









**3. სლავისტიკა:**

- სლავური ენისა და კულტურის კომპენსატორული მოდელირება.

**4. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია:**

- საქართველო და გარე სამყარო.

**5. ფილოსოფია:**

- XX საუკუნის ევროპული და ქართული ფილოსოფიური აზროვნება.

**6. ხელოვნების თეორია და ისტორია:**

- ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში.

**საგანმანათლებლო პროგრამები**

**საბაკალავრო:**

- ქართული ენა და ლიტერატურა;
- ინგლისური ენა და ლიტერატურა;
- გერმანული ენა და ლიტერატურა;
- ფრანგული ენა და ლიტერატურა;
- რუსული ენა და ლიტერატურა;
- თურქული ენა და ლიტერატურა;
- ახალი ბერძნული ენა და ლიტერატურა;
- აღმოსავლეთმცოდნეობა (თურქეთის ისტორია);
- ისტორია;
- ფილოსოფია.

**სამაგისტრო:**

- ინგლისური ფილოლოგია;
- გერმანული ფილოლოგია;
- ფრანგული ფილოლოგია;
- რუსული ფილოლოგია და კულტურათშორისი კომუნიკაცია;
- თარგმანი და კულტურათშორისი კომუნიკაცია;
- ზოგადი, გამოყენებითი და ქართველური ენათმეცნიერება;
- სიცოცხლის ფილოსოფია;
- ქართული ლიტერატურა (ძველი, ახალი, უახლესი; ფოლკლორისტიკა);
- ისტორია (საქართველოს ისტორია, ევროპა-ამერიკის ისტორია, ეთნოლოგია-ანთროპოლოგია, თურქეთის ისტორია, არქეოლოგია).

**სადოქტორო:**

- ლიტერატურათმცოდნეობა;
- ენათმეცნიერება;
- ისტორია;
- ხელოვნების თეორია და ისტორია

**ფაკულტეტზე ფუნქციონირებს აუდიო-ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი კაბინეტები:**

- თურქოლოგიის;
- ანგლისტიკის;
- რომანისტიკის;
- გერმანისტიკის;
- სლავისტიკის;

კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინოლოგიისა და ნეოგრეცისტიკის











# ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

**/დირექტორი – სრ. პროფ. მამია ფაღავა/**

სსიპ რსუ წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 29 დეკემბრის №01 გადაწყვეტილებით, შეიქმნა ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

**განყოფილებები:**

- **დიალექტოლოგიისა და ფოლკლორის /ხელმ. – სრ. პროფ. თინა შიოშვილი/;**
- **ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის /ხელმ. – ასოც. პროფ. ზაზა შაშიკაძე/;**
- **რელიგიისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის /ხელმ. – სრ. პროფ. კახაბერ სურგულაძე/;**
- **ქრისტიანული კულტურის კვლევის /ხელმ. – სრ. პროფ. ბიჭიკო დიასამიძე/;**
- **ეთნოლინგვისტიკისა და სოციოკულტურული ანთროპოლოგიის /ხელმ. – სრ. პროფ. ნუგზარ მგელაძე/.**

ინსტიტუტის ძირითადი მიზანია საქართველოს (უპირატესად – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს) ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, დიალექტებისა და ქართველთმცოდნეობის სხვა მიმართულებების კვლევა, კვლევის შედეგების, ემპირიული მასალებისა და დოკუმენტების გამოქვეყნება.

**სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულებანი:**

- სამხრული კილოების, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული და ქართველთმცოდნეობისთვის მნიშვნელოვანი სხვა მასალების შეგროვება, დამუშავება და შესაბამისი მეცნიერული აპარატურით გამოცემა;
- საქართველოს (უპირატესად – ისტორიული სამხრეთ საქართველოს) შესახებ დაცული ქართული და უცხოური მასალების მოძიება საქართველოსა და უცხოეთის არქივებსა და წიგნსაცავებში, მათი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა;
- სამეცნიერო თუ პოპულარული სტატიების, კრებულების, სამეცნიერო კონფერენციებისა თუ სიმპოზიუმების მასალების, მონოგრაფიების სახით სამეცნიერო კვლევის შედეგების გამოქვეყნება;
- დოკუმენტური ფილმების შექმნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ;
- ინსტიტუტთან არსებული მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიციის მიერ საკვლევაძიებო საქმიანობის გაფართოება და სრულყოფა დიალექტოლოგიური, ეთნოგრაფიული, ფოლკლორული, არქეოლოგიური და სხვა მასალების შესაგროვებლად.





















# სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

**/დეკანი – ასოც. პროფ. მერაბ ხალვაში/**

**ფაკულტეტი განთავსებულია უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში; ტელეფონი: 7-64-58; www.socialuri.bsu.edu.ge**

**2010 წლის მონაცემებით ფაკულტეტის:**
**აკადემიური პერსონალი:**

- **ს უ ლ - 54**
- **სრული პროფესორი - 8**
- **ასოცირებული პროფესორი - 25**
- **ასისტენტ-პროფესორი - 21**

**სტუდენტთა რაოდენობა:**

- **ს უ ლ - 1 308**
- **პროფესიული – 36**
- **ბაკალავრიატი – 887**
- **მაგისტრატურა – 377**
- **დოქტორანტურა - 8**

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი შეიქმნა 2006 წელს ეკონომიკური და იურიდიული ფაკულტეტების ინტეგრაციის შედეგად. ფაკულტეტის ძირითადი მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

ჩვენი ქვეყნის შრომით ბაზარზე პროფესიონალ ეკონომისტებსა და იურისტებზე არსებული მზარდი მოთხოვნები ერთი მხრივ,ფაკულტეტზე დასაქმებული მაღალპროფესიონალი აკადემიური პერსონალის ძალისხმევა – მიაწოდოს სტუდენტს ხარისხიანი განათლება მეორე მხრივ – გახდა საფუძველი იმისა, რომ ყოველწლიურად ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი წარმატებით საქმდება სხვადასხვა კერძო თუ სახელმწიფო სტრუქტურაში. ეს კიდევ უფრო ზრდის ფაკულტეტზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა რიცხვს და სპეციალობები მაღალი კონკურსის პირობებში კომპლექტდება.

**სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი პრიორიტეტები:**

- კონსტიტუციური, ადმინისტრაციული, საერთაშორისო, სისხლისა და კერძო სამართლის აქტუალური პრობლემების კვლევა;
- ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზებით აღდგენის შესაძლებლობათა სამართლებლივი დასაბუთება:

ა) ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის საკანონმდებლო სრულყოფის საკითხებზე მუშაობა;
ბ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების სამართლებრივი საფუძვლების მოძიება;
გ) ეროვნული და რელიგიური უმცირესობების უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი კვლევა და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივები;
დ) ერთა თვითგამორკვევის პრობლემები თანამედროვე საეთრთაშორისო სამართალში.

- მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობა:

ა) რეგიონის ინვესტიციურ-სამშენებლო ბაზისა და კაპიტალური მშენებლობის განვითარების თეორიული და პრაქტიკული საკითხების კვლევა;
ბ) რეგიონის აგრარულ სექტორში ფერმერული მეურნეობების განვითარებისა და ორგანიზაციული სრულყოფის პრობლემების კვლევა;
გ) საბიუჯეტო შემოსავლებისა და გასავლების ფორმირების, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური კრიზისის ანატომიის კვლევა;
დ) ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობისა და პერსპექტივების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული პრობლემების კომპლექსური ეკონომიკური, სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევა.

**საგანმანათლებლო პროგრამები:**

**საბაკალავრო:**

- საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე;
- საბუღალტრო და საგადასახადო საქმე;
- მენეჯმენტი და ადმინისტრირება;
- ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა;
- ტურიზმი;
- სამართალმცოდნეობა;
- საერთაშორისო ურთიერთობები;
- ფსიქოლოგია.

**სამაგისტრო:**

- ეკონომიკური პოლიტიკა;
- ფინანსები და საბანკო საქმე;
- საერთაშორისო ბიზნესი;
- საერთაშორისო ფინანსები;
- ბიზნესის ადმინისტრირება;
- სამართალმცოდნეობა ( კერძო სამართალი, სისხლის სამართალი, საჯარო სამართალი);
- ფსიქოლოგია (კლინიკური ფსიქოლოგია, სკოლის ფსიქოლოგია);
- ჟურნალისტიკა;
- საერთაშორისო ურთიერთობები.

**სადოქტორო:**

- ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი;
- ბიზნესის ადმინისტრირება.

სამართალმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებს პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით, საფუძვლიანი ცოდნის შეძენის, კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობისათვის ხელსაყრელ გარემოს უქმნის და ემსახურება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი **სასამართლო პროცესების საიმიტაციო დარბაზი.**

ამავე მიზანს ემსახურება საქართველოს იურისტთა ასოციაციასა და იუსტიციის




სამინისტროსთან ერთად შექმნილი **იურიდიული კლინიკები,** რომლებიც, ასევე, მოსახლეობას უწევენ იურიდიულ მომსახურებას სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში.

ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკას გადიან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის მთავარ სამმართველოში და ა.შ.

ფაკულტეტს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლასთან, ამერიკის იურისტთა ასოციაციასთან, ადამიანის უფლებათა რეგიონალურ ცენტრთან, იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურთან, საქართველოს პოლიტოლოგიის ინსტიტუტთან და ა.შ

ფაკულტეტზე ფუნქციონირებს **რესურსცენტრი**, რომელიც აღჭურვილია ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერებითა და სპეციალური სასწავლო ლიტერატურით.

დაინტერესებული ორგანიზაციებისა და ბიზნესის სექტორის მოთხოვნათა გათვალისწინებით ფაკულტეტთან ფუნქციონირებს **მოკლევადიანი სკოლები: საბუღალტრო, ბიზნესის, ფსიქოლოგიური სამსახური.**























# მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

*/დეკანი - ასოც. პროფ. ანზორ ბერიძე/*

*/ფაკულტეტი განთავსებულია უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში; ტელ: 7-63-94;*

*http://matcomp.bsu.edu.ge/?action=contact/.*

1935 წელს ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში შეიქმნა მათემატიკის ფაკულტეტი მას შემდეგ ის სხვადასხვა სახელწოდებით განაგრძობს არსებობას ჯერ პედაგოგიურ ინსტიტუტში და შემდეგ - უნივერსიტეტში. 75 წლის განმავლობაში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე 3 000-ზე მეტი სპეციალისტი მომზადდა, რომლებითაც დაკომპლექტებულია დასავლეთ საქართველოს რეგიონების სკოლათა უმრავლესობა.

**2010 წლის მონაცემებით, ფაკულტეტის:**

**აკადემიური პერსონალი:**

- ს უ ლ - 21
- სრული პროფესორი - 5
- ასოცირებული პროფესორი – 9
- ასისტენტ -პროფესორი - 7

**სტუდენტთა რაოდენობა:**

- ს უ ლ – 358
- პროფესიული – 80
- ბაკალავრიატი – 235
- მაგისტრატურა – 37
- დოქტორანტურა - 6

**სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პრიორიტეტები:**

- ტოპოლოგიურ სივრცეთა და უწყვეტ ასახვათა შეიპური, ჰომოლოგიური და განზომილებისნაირიანი ინვარიანტები;
- ბინარულ მიმართებათა ნახევარჯგუფები;
- ანალიზი და მისი გამოყენებები ალბათობასა და სტატისტიკაში. ალგორითმები, ობიექტზე ორიენტირებული და პარალელური პროგრამირება;
- მათემატიკური მოდელები და კომპიუტერული სიმულაციები.

**საგანმანათლებლო პროგრამები:**

**უმაღლესი პროფესიული:**

- კომპიუტერული ტექნოლოგიები.

**საბაკალავრო:**

- მათემატიკა;
- სტატისტიკა;
- კომპიუტერული ტექნოლოგიები.

**სამაგისტრო:**

- მათემატიკა;
- კომპიუტერული ტექნოლოგიები.

**სადოქტორო:**

- გეომეტრია-ტოპოლოგია;
- მათემატიკური ლოგიკა, ალგებრა და რიცხვთა თეორია;
- კომპიუტერული ტექნოლოგიები.

**დეპარტამენტები:**

- მათემატიკის;
- კომპიუტერულ მეცნიერებათა.























# საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

*/დეკანი – სრ. პროფ. რუსუდან ხუხუნაიშვილი/*

*/ფაკულტეტი განთავსებულია უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში, ტელ: 7-56-96 http://biomed.bsu.edu.ge/*









**საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი** თავისი არსებობის ისტორიას ბათუმში სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნიდანვე – 1935 წლიდან იწყებს. წლების განმავლობაში მან რამდენჯერმე შეიცვალა სახელწოდება და სტრუქტურა.

ფაკულტეტის პირველი დეკანი იყო **ნიკოლოზ ლორთქიფანიძე**. სხვადასხვა დროს ფაკულტეტის დეკანები იყვნენ: **ნადიმ ნიჟარაძე, დიმიტრი უჩანეიშვილი, ნოე ყიფიანი, ნადია ჯიბუტი, გიორგი ჩხაიძე, ჯემალ მესხიძე, ოთარ ახვლედიანი, ვიქტორ ბორჩხაძე, ანზორ დიასამიძე, რევაზ ზოსიძე.**

1945 წლიდან პედაგოგიური ინსტიტუტის ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტი ამზადებდა პედაგოგიურ კადრებს ბიოლოგიის, ქიმიის, გეოგრაფიის სპეციალობით. სხვადასხავა დროს ფაკულტეტის შემადგენლობაში შედიოდა დაწყებითი განათლებისა და ფიზიკური აღზრდის სპეციალობები.

უნივერსიტეტის დაარსების შემდეგ ფაკულტეტის საქმიანობაც თვისებრივად ახალ ეტაპზე გადავიდა. დაიწყო საბუნებისმეტყველო დარგებში სამეცნიერო კადრების მომზადება. უნივერსიტეტის გეოგრაფიული მდებარეობისა და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით შეიქმნა ახალი საუნივერსიტეტო სპეციალობები, ტრადიციულ დარგებს დაემატა წყლის ბიორესურსების, აკვაკულტურისა და ეკოლოგიის სპეციალობები, ფაკულტეტის ბაზაზე გაიხსნა ჯერ ბიოსამედიცინო ეკოლოგიური გენეტიკისა და პროფილაქტიკური მედიცინის, ხოლო მოგვიანებით - სამკურნალო საქმისა და პედიატრიის სპეციალობები, რომლებიც შემდგომში დამოუკიდებელი სამედიცინო ფაკულტეტის სახით ჩამოყალიბდა.

1999 წელს ბუნებისმეტყველების ფაკულტეტი გაიყო და ჩამოყალიბდა ბიოლოგია-ქიმიის ფაკულტეტი (დეკანი - პროფ. რევაზ ზოსიძე) და გეოგრაფია-წყლის ბიორესურსებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტი (დეკანი - დოც. ნაზი თურმანიძე).

2005 წელს უნივერსიტეტში განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაცია და ბიოლოგია-ქიმიის, გეოგრაფია-წყლის ბიორესურსების, ეკოლოგიისა და სამედიცინო ფაკულტეტების ბაზაზე ჩამოყალიბდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტი. დეკანად არჩეულ იქნა **პროფ. რუსუდან ხუხუნაიშვილი**, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად - **ასოც. პროფ. ლეილა ახვლედიანი**. 2007 წელს ფაკულტეტს შეუერთდა ფიზიკის სპეციალობა, ხოლო 2008 წლიდან - გამოეყო მედიცინის მიმართულება.

ფაკულტეტის ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩართულნი დეკანის მოადგილე **პროფ. ქეთევან დოლიძე**, მდივნები: **მ. კოხრეიძე და ნ. ცინცაძე**.

ფაკულტეტზე ინტენსიურად მიმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები: ამჟამად სრულდება ეროვნული სამეცნიერო ფონდის 7 გამარჯვებული საგრანტო პროექტი, წარმატებით დასრულდა 2 საერთაშორისო გრანტი. ფაკულტეტის პროფესორები და დოქტორანტები მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და კონგრესებში.

მემორანდუმის საფუძველზე წარმოებს ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები შავი ზღვის ეკოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების, აგრარული ტექნოლოგიებისა და მემბრანული ტექნოლოგიების, მცენარეთა იმუნიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ბოტანიკური ბაღის, მარტყოფის გეოგრაფიული ბაზის, შავი ზღვის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის საკვლევ ბაზებზე.

სწავლებისა და კვლევის პროცესში გამოიყენება ფაკულტეტის სასწავლო და კვლევითი ლაბორატორიები, ტარდება საველე პრაქტიკები, ექსპედიციები, მათ შორის - შავი ზღვის აკვატორიაში გასვლით.

ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების სამეცნიერო კვლევის შედეგები სისტემატურად ქვეყნდება საქართველოსა თუ უცხოეთის რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, იბეჭდება მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, შეიქმნა აჭარის გეოგრაფიული ატლასი, აჭარის „წითელი წიგნი," ყოველწლიურად გამოდის უნივერსიტეტის შრომათა კრებულის საბუნებისმეტყველო სერია.

აქტიურია ფაკულტეტის სტუდენტური ცხოვრებაც: მოქმედებს პროფილური საზაფხულო სკოლა, სკოლა-სემინარი ბიომედიცინაში, ბიოლოგიური კალენდარი, ეწყობა ვორქ-შოპები, დისკუსიები, დებატები, საქველმოქმედო აქციები. აღნიშნულ ღონისძიებებში სტუდენტებთან ერთად მონაწილეობენ საჯარო სკოლების მოსწავლეებიც.




საბუნებისმეტყველო დარგების პოპულარიზების მიზნით ფაკულტეტზე სისტემატურად ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების პრეზენტაციები და სამეცნიერო-პოპულარული ლექციები სტუდენტებისა და აბიტურიენტებისათვის.

ფაკულტეტს გააჩნია საკუთარი ბიბლიოთეკა, თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი იმუნოგენეტიკის სამეცრო-კვლევითი ლაბორატორია; ეკოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის, ზოგადი და არაორგანული, ფიზიკური და კოლოიდური, კოორდინაციულ ნაერთთა და ორგანული ქიმიის, ბიოქიმიის, რადიოფიზიკის, მექანიკის, მოლეკულური ფიზიკის, ელექტრობა-მაგნეტიზმის, ოპტიკის, ელექტროტექნიკის სასწავლო ლაბორატორიები; გეოლოგია, ტოპოგრაფია–კარტოგრაფიის, ფიზიკური გეოგრაფიის, ზოგადი დედამიწათმცოდნეობის, გენეტიკის, ბოტანიკის, უხერხემლოთა და ხერხემლიანთა ზოოლოგიის, ანატომიისა და ფიზიოლოგიის სასწავლო კაბინეტები.

**2010 წლის მონაცემებით, ფაკულტეტის:**

**აკადემიური პერსონალი:**

- **ს უ ლ - 30**
- **სრული პროფესორი - 8, მათ შორის - 4 ემერიტუსი**
- **ასოცირებული პროფესორი – 10**
- **ასისტენტ -პროფესორი - 12**

**სტუდენტთა რაოდენობა:**

- **ს უ ლ – 339**
- **პროფესიული – 0**
- **ბაკალავრიატი – 277**
- **მაგისტრატურა – 52**
- **დოქტორანტურა - 10**

**სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პრიორიტეტები:**

- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბიომრავალფეროვნების (შავი ზღვის, კოლხეთის ჭაობის, მდინარე ჭოროხის აუზისა და სხვა ეკოსისტემების) შესწავლა, დაცვა და მონიტორინგი;
- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადამიანთა პოპულაციების ბიოლოგიური და პათოლოგიური კანონზომიერებების კვლევა, ბიოგერონტოლოგია;
- ფიზიოლოგიურად აქტიური ნაერთების გამოყოფა-იდენტიფიკაცია სხვადასხვა ბიოლოგიური ობიექტიდან;
- ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელება არაერთგვაროვან ტურბულენტურ გარემოში.

**საგანმანათლებლო პროგრამები:**

**საბაკალავრო:**

- ბიოლოგია;
- ქიმია;
- ეკოლოგია;
- ფიზიკა;
- ფიზიკური გეოგრაფია.

**სამაგისტრო:**

- ეკოლოგიური ბიომორფოლოგია;
- ქიმიური ანალიზი და ექსპერტიზა;
- ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგური რესურსები და გარემოს მდგრადი განვითარება;
- რადიოფიზიკა;
- გენეტიკა;
- ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია;
- ჰიდრობიოლოგია;
- ბიოორგანული ქიმია;
- ფიზიკური ქიმია;
- არაორგანულ და კოორდინაციულ ნაერთთა ქიმია.

**სადოქტორო:**

- ადამიანის პოპულაციების გენეტიკა;
- მცენარეთა გენეტიკა;
- ეკოლოგიური ბიომორფოლოგია;
- მიკოლოგია;
- ჰიდრობიოლოგია;
- რადიოფიზიკა.

**დეპარტამენტები:**

- ბიოლოგიის;
- ქიმიის;
- გეოგრაფიის;
- ფიზიკის.









# სასოფლო - სამეურნეო ფაკულტეტი

/დეკანი – სრ. პროფ. ოთარ შაინიძე/

/ფაკულტეტი განთავსებულია მწვანე კონცხზე, ტელ: 9-32-16; www.sasoflo.bsu.edu.ge/











**სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი** შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ყოფილი ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რსუ-სთან ინტეგრაციის შედეგად. ფაკულტეტის მთავარი სასწავლო-სამეცნიერო ბაზა მდებარეობს მწვანე კონცხზე, ბათუმის ბოტანიკური ბაღის მოსაზღვრედ.

**2010 წლის მონაცემებით, ფაკულტეტის:**

**აკადემიური პერსონალი**

- **ს უ ლ – 34**
- **სრული პროფესორი - 4**
- **ასოცირებული პროფესორი – 6**
- **ასისტენტ-პროფესორი - 6**

**სტუდენტთა რაოდენობა:**

- **ს უ ლ – 154**
- **პროფესიული – 34**
- **ბაკალავრიატი – 107**
- **მაგისტრატურა – 10**
- **დოქტორანტურა - 13**

**სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პრიორიტეტები:**

- სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ინტენსიური ტექნოლოგიების შემუშავება;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების ეკოლოგიური თავისებურებების შესწავ-ლა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების მიზნით;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებების გამოვლენა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დასახვა;
- აჭარის ტყის თანამედროვე მდგომარეობის და უმთავრესი ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობების ეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა;
- სოფლის მეურნეობის საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციისათვის ენერგორესურსდამზოგი სამანქანო ტექნოლოგიების, მანქანათა სისტემების მეცნიერული კვლევა და დამუშავება.

**საგანმანათლებლო პროგრამები:**

**უმაღლესი პროფესიული:**

- აგროინჟინერია;
- აგრონომია.

**საბაკალავრო:**

- აგროტექნოლოგია;
- აგროეკოლოგია;
- სატყეო მეურნეობა;
- სოფლის მეურნეობის მექანიზაცია.

**სამაგისტრო:**

- აგრარული და სატყეო საქმე.

**სადოქტორო:**

- აგროტექნოლოგია;
- აგროეკოლოგია;
- სატყეო მეურნეობა;
- აგროინჟინერია;
- მცენარეთა დაცვა;
- გენეტიკა-სელექცია;
- მემცენარეობა;
- სუბტროპიკული კულტურები.

**დეპარტამენტები:**

- აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის;
- აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის.





# საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

*/დეკანი – სრ. პროფ. გიზო ფარცხალაძე/*

*/ფაკულტეტი განლაგებულია ფიროსმანის ქ. 12, ტელ: +995 (222) 7–49–51; ფაქსი: +995 (222) 7–49–51; http://sainjinro.bsu.edu..ge/*





საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტს დიდი ხნის წარმატებული ისტორია აქვს – იგი შეიქმნა 1938 წელს, როგორც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი,რომლის რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი.

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი წარმოადგენს დასავლეთ საქართველოში უმაღლესი ტექნიკური განათლების ერთ-ერთ უმთავრეს კერას.

**2010 წლის მონაცემებით, ფაკულტეტის:**

**აკადემიური პერსონალი**

- **ს უ ლ – 23**
- **სრული პროფესორი - 5**
- **ასოცირებული პროფესორი – 10**
- **ასისტენტ -პროფესორი - 8**

**სტუდენტთა რაოდენობა:**

- **ს უ ლ – 365**
- **პროფესიული – 66**
- **ბაკალავრიატი – 244**
- **მაგისტრატურა – 53**
- **დოქტორანტურა - 2**

**სამეცნიერო -კვლევითი მუშაობის პრიორიტეტები:**

- წინასწარდაძაბული კონსტრუქციების გაანგარიშების მეთოდებისა და ახალი კონსტრუქციული ფორმების შემუშავება;
- შეკუმშული ელემენტების მდგრადობის პრობლემის გადაწყვეტა მასალის მუშაობის დრეკად-პლასტიკურ არეში;
- წრფივად დეფორმირებად ფუძეზე მდებარე საძირკვლების გაანგარიშების მეთოდების შემუშავება;
- თაღოვანი სისტემის დინამიკური კვლევა;
- მობილური მანქანის სადიაგნოსტიკო პარამეტრების დადგენა;
- საზღვაო-სარკინიგზო გადაზიდვების ინტერმოდალური ტექნოლოგიების ღონისძიებათა შემუშავება;
- ინტერმოდალური სანტრანსპორტო-ლოჯისტიკური სქემების შემუშავება და ოპტიმიზაცია;
- საქართველოში, როგორც ტრასეკას პროექტში მონაწილე ქვეყანაში, ერთიანი სატრანსპორტო - ლოჯისტიკური კომპლექსის შექმნის კონცეფციის შემუშავება;
- ძლიერად ანიზოტროპული ახალი მასალების,კოლოსალური მაგნეტოწინა ღობის მქონე შენაერთებისა და სხვა მაღალტექნოლოგიური შენაერთების ელექტრონული სპინების რელაქსაციის და ამთვისებლობის შესწავლა,როგორც ნულოვან,აგრეთვე, სუსტ მუდმივ მაგნიტურ ველებში;
- ოპტიკური ბოჭკოების მახასიათებლების გაზომვა რეფლექტომეტრის საშუალებით;
- ავტომატური სატელეფონო სადგურის ფუნქციების პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავება;
- საწარმოო წყალმომარაგების უნარჩენო ტექნოლოგიებისა და საწარმოო ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგიების შემუშავება;
- მოხმარებული სასაქონლო ნავთობური ზეთების გაწმენდა-რეგენერაცია ფუნქციური მისართების გამოყენებით;
- ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ალტერნატიული საწვავებისა და ნავთობპროდუქტების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება.













**საგანმანათლებლო პროგრამები**

უმაღლესი პროფესიული:

- ელექტროენერგეტიკა და ტელეკომუნიკაცია;
- ქიმიური ტექნოლოგია;
- სამოქალაქო მშენებლობა.

**საბაკალავრო:**

- სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა;
- ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია;
- ტელეკომუნიკაცია;
- გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა.

**სამაგისტრო:**

- სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა;
- ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია;
- ელექტროენერგეტიკა;
- ტელეკომუნიკაცია;
- გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა.
- სასურსათო ტექნოლოგია

**სადოქტორო:**

- სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა;
- გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა;
- ელექტროენერგეტიკა;
- სასურსათო ტექნოლოგია.





















# განათლების ფაკულტეტი

*/დეკანი - სრ. პროფ. ავთანდილ ქემხაძე/*

**ფაკულტეტი განთავსებულია უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში; ტელ: 7-23-75; www.ganatleba.bsu.edu.ge**



**2010 წლის მონაცემებით, ფაკულტეტის:**

**აკადემიური პერსონალი:**

- ს უ ლ - 10
- სრული პროფესორი - 3
- ასოცირებული პროფესორი – 2
- ასისტენტ-პროფესორი - 5

**სტუდენტთა რაოდენობა:**

- ს უ ლ – 173
- პროფესიული – 0
- ბაკალავრიატი – 108
- მაგისტრატურა – 51
- დოქტორანტურა - 14

განათლების ფაკულტეტი (ყოფილი დაწყებითი განათლებისა და მეთოდიკათა ფაკულტეტი) 1991 წელს ჩამოყალიბდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ბაზაზე. იგი აერთიანებდა შემდეგ სპეციალობებს: დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა უცხოური ენით; სკოლამდელი აღზრდის პედაგოგიკა და ფსიქოლოგია; ფილოსოფია.

2004 წლიდან დღემდე განათლების ფაკულტეტში გაერთიანებულია სპეციალობები: დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა,დაწყებითი სამხედრო მომზადება და ფიზიკური აღზრდა; ფიზიკური აღზრდა.

**სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პრიორიტეტები:**

- მოსწავლეთა ეკოლოგიური განათლებისა და სწავლება-სწავლის ახალი მიდგომების კვლევა;
- სწავლების ფუნქციებისა და სრული განათლების კონცეფციის საკითხების კვლევა;
- რეფორმირებული სკოლის მართვის საკითხების კვლევა;
- აჭარაში არსებული აღზრდის ხალხური ტრადიციების შესწავლა-ანალიზი;
- მოსწავლეთა კომპიუტერული განათლების პედაგოგიური უზრუნველყოფის პრობლემების კვლევა;
- სკოლის ექიმის პედაგოგიური განათლების პრობლემების კვლევა;
- უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური კულტურის სწავლების ტექნოლოგიების შემუშავება;
- თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების საკითხების კვლევა.

**საგანმანათლებლო პროგრამები:**

**საბაკალავრო:**

- დაწყებითი განათლება;
- ფიზიკური აღზრდა.

**სამაგისტრო:**

- განათლების მკვლევარი





- საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვა და ხელმძღვანელობა;
- საბაზო და საშუალო სკოლის საგნის ან საგანთა ჯგუფის მასწავლებელი.

**სადოქტორო:**

- განათლება.

**განათლების ფაკულტეტთან ფუნქციონირებს:**

**ა) აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრი**

**/დირექტორი – ასოც. პროფ. მალხაზ ჩოხარაძე/**

**/ცენტრი განთავსებულია უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში, ოთახი №109, ტელ:7-23-75;/**

**ცენტრი ემსახურება:**

- აბიტურიენტებს – ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებლად;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეთერთმეტეკლასელებს – ინტენსიური სწავლების სპეციალური პროგრამით;
- ბაკალავრებს – საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის მოსამზადებლად;
- უცხოელებს – ქართულ ენასა და სპეციალობის დისციპლინებში მოსამზადებლად.

**მსმენელებს უფლება აქვთ:**

- მოემზადონ ყველა საგამოცდო საგანში;
- მოსამზადებლად შეარჩიონ ერთი ან რამდენიმე საგანი.



მოსამზადებელი ცენტრის მსმენელთა წარმატებას უზრუნველყოფს:

**მასავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია**

- მეცადინეობებს ატარებენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები;
- გამოიყენება სწავლების თანამედროვე მეთოდები;
- სასწავლო ჯგუფები კომპლექტდება მსმენელთა ოპტიმალური რაოდენობით.

**მუდმივი კონტროლი სასწავლო პროცესზე**

- სასწავლო პროცესი ითვალისწინებს რეგულარულ კონტროლს და სასწავლო პროგრამების შესაბამის ტესტირებებს სწავლების ყველა ეტაპზე;
- მშობელი ცენტრის ადმინისტრაციასთან ერთად მუდმივად აკონტროლებს შვილის მიერ სასწავლო პროგრამის ათვისების დონეს;
- აბიტურიენტი სპეციალური ანკეტით რეგულარულად აფასებს მასწავლებლის მუშაობას.

**ინტენსიური დატვირთვა**

- აბიტურიენტებისთვის თითოეული საგნის კვირეული დატვირთვა შეადგენს არანაკლებ 4-6 გაკვეთილს; სრული კურსისთვის (ოთხ საგანში) აბიტურიენტის დატვირთვაა 20-21 საათი კვირაში.

**კონსულტაციები სხვადასხვა საკითხზე**

- კომპეტენტური სპეციალისტები დაეხმარებიან აბიტურიენტებს გონივრულად,ამბიციებისა და შესაძლებლობების შესაბამისად შეარჩიონ ფაკულტეტები;
- აბიტურიენტებს ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში შეუძლიათ მიიღონ კონსულტაციები ერთიან ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.

**ბ) მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრი**

**/ცენტრი განთავსებულია უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში, ოთახი №111, ტელ:7-23-75;/**

**მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრის** უმთავრესი დანიშნულებაა მომავალი მასწავლებლებისათვის პროფესიის პრაქტიკულად დაუფლებასა და დასაქმებაში ხელშეწყობა.

ცენტრმა განახორციელა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა:

- „ასწავლე საქართველოსთვის";
- „ასწავლე ქართული, როგორც მეორე ენა";
- „მენტორ–მაძიებლობა".







# ჯანდაცვის ფაკულტეტი

*/დეკანი – სრ. პროფ. გივი ცეცხლაძე/*

*/ფაკულტეტი განთავსებულია უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში; ტელ: 7-27-01; www.jandacva.bsu.edu.ge/*



**ჯანდაცვის ფაკულტეტი** სათავეს იღებს 1991 წლიდან, როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ დამოუკიდებელ უნივერსიტეტში გაიხსნა ბიოსამედიცინო და პროფილაქტიკური მედიცინის სპეციალობები და შეიქმნა სამედიცინო ფაკულტეტი. 1993 წელს ფაკულტეტს დაემატა კიდევ ორი სპეციალობა: სამკურნალო საქმე და პედიატ რია.

2008 წლიდან საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და მედიცინის ფაკულტეტების რეორგანიზაციის შედეგად სამედიცინო სპეციალობები გამოიყო დამოუკიდებელი ფაკულტეტის სახით და ჩამოყალიბდა ჯანდაცვის ფაკულტეტი.

**2010 წლის მონაცემებით, ფაკულტეტის:**

**აკადემიური პერსონალი**

- **ს უ ლ – 17**
- **სრული პროფესორი - 6**
- **ასოცირებული პროფესორი – 7**
- **ასისტენტ-პროფესორი - 4**

**სტუდენტთა რაოდენობა:**

- **ს უ ლ – 375**
- **პროფესიული – 42**
- **ერთსაფეხურიანი სამედიცინო – 297**
- **ბაკალავრიატი – 30**
- **მაგისტრატურა – 0**
- **დოქტორანტურა – 0**
- **რეზიდენტურა – 6**

**სამეცნიერო -კვლევითი მუშაობის პრიორიტეტები:**

- სხვადასხვა ლოკალიზაციის სისხლდე-ნების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვა;
- მწვავე ქირურგიული დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხები;
- გულის რითმის სხვადასხვა ტიპის დარღვევათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხები;
- კარიესის ეპიდემიოლოგიისა და მკურნალობის საკითხების შესწავლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში;
- იოდდეფიციტური დაავადებების გავრცელების მიზეზებისა და პროფი ლაქტიკის საკითხების შესწავლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში;
- გერონტოლოგიის საკითხების შესწავლა.

**საგანმანათლებლო პროგრამები:**

**უმაღლესი პროფესიული**

- საექთნო საქმე.

**საბაკალავრო**

- ფარმაცია.

**ერთსაფეხურიანი სამედიცინო უმაღლესი განათლების პროგრამები:**

- სამკურნალო საქმე;
- სტომატოლოგია.

**სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები:**

- ფარმაცევტული ბიზნესის ადმინისტრაცია;
- სამრეწველო ფარმაცია.

**დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო პროგრამები:**

**რეზიდენტურის პროგრამა:**

- თერაპიული სტომატოლოგია;
- ორთოპედიული სტომატოლოგია;
- სამედიცინო რადიოლოგია.























# აგრარული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

**(დირექტორი – მერაბ არძენაძე, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე – გურამ პაპუნიძე)**

*ინსტიტუტი განთავსებულია: თამარის დასახლება, გრიშაშვილის №5, ტელ: 5-41-63; 5-31-28*













2006 წლიდან აგრარული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გახდა რსუ-ს სტრუქტურული ერთეული,რამაც განაპირობა უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაში ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა უფრო ინტენსიური ჩართვა. ინსტიტუტის ექსპერიმენტული ლაბორატორიები იქცა მნიშვნელოვან ბაზად უნივერსიტეტის მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მოსამზადებლად.

**განყოფილებები:**

- **სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიების /მთ. მეცნ. თან. მარინა კობახიძე/;**
- **ტექნიკური ბიოქიმიისა და კვების პროდუქტების უსაფრთხოების /მთ. მეცნ. თან. ალეკო კალანდია/;**
- **ნედლეულის წარმოების /მთ. მეცნ. თან. ზურაბ მიქელაძე/.**



**სამეცნიერო პერსონალი:**

- **სულ - 20, მათ შორის:**
- **მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - 5;**
- **უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 8;**
- **მეცნიერ-თანამშრომელი - 7.**



სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულებები:

- სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიების შემუშავება და სრულყოფა;
- შექმნილი ტექნოლოგიების გამოყენება ისეთი ნედლეულის გადამუშავების პროცესში,როგორებიცაა: ციტრუსოვნები, სუბტროპიკული ხურმა, ჩაი, კივი, ფეიხოა, ვარდკაჭაჭა, ტოპინამბური, სტევია, ხილი, ბოსტნეული, ბაღჩეული და ასე შემდეგ.
- დიეტური, დიაბეტური და ბავშვთა კვებისათვის გათვალისწინებული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების შემუშავება;
- ნედლეულისა და მზა პროდუქციის ბიოქიმიური კვლევა და კვების პროდუქტების უსაფრთხოება;
- სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებისა და შენახვის ტექნოლოგიების შემუშავება;
- სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვა და აჭარაში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის რეაბილიტაციისათვის ხელშეწყობა.







# მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

*/დირექტორი - ქმკ რაულ გოცირიძე, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე - ტმკ ავთანდილ ცინცქილაძე/*

*/ინსტიტუტი განთავსებულია: თამარის დასახლება, გრიშაშვილის №5, ტელ: 5-08-00; 5-05-85/*









2006 წლიდან საქართველოს მთავრობის დადგენილებით, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით ქალაქ ბათუმის საუნივერსიტეტო ქალაქად გარდაქმნის მიზნით, **მემბრანული ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი** შეუერთდა შოთა რუსთაველის სახელ მწიფო უნივერსიტეტს.

მემბრანული ტექნოლოგია შედის მსოფლიოს პროგრესული ტექნოლოგიების ხუთეულში, ხოლო მემბრანული ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ერთადერთია საქართველოში, რომელიც მუშაობს ბარომემბრანების მიღებაზე, მემბრანულ ტექნოლოგიურ პროცესებზე, მემბრანული დანადგარების დამზადებასა და მათ დანერგვაზე სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებაში (სამედიცინო, ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხნებში, გადამამუშა ვებელი მრეწველობის, აგროსამრეწველო სფეროს ცალკეულ დარგებსა და ფირმებში), თუ ინდივიდუალური მოხმარებისათვის, რაც, თავის მხრივ, ეკოტექნოლოგიის განვითარების საშუალებას იძლევა.

ინსტიტუტის მდიდარი წარსული, მეცნიერული კვლევების ფართო არეალი, საერთაშორისო და ეროვნული საგრანტო პროექტების თემატიკა საუკეთესო ბაზაა მაღალპროფესიონალი, პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული მომავლის სპეციალისტების მომზადებისათვის.





**განყოფილებები:**

- **ელექტრომემბრანული ტექნოლოგიის პროცესებისა და აპარატურის /გამგე – მთ. მეცნ. თან. თინა ხარებავა/;**
- **ბარომემბრანების სინთეზის, ტექნოლოგიისა და აპარატურის /გამგე – მთ. მეცნ. თან. ნინო მხეიძე/;**
- **სორბციული პროცესების, ანალიზური ქიმიისა და მიკრობიოლოგიური ანალიზის ლაბორატორია /უფროსი – ნუნუ მეფარიშვილი /.**

**სამეცნიერო პერსონალი:**

- **სულ - 16 , მათ შორის:**
- **მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - 3;**
- **უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 5;**
- **მეცნიერ-თანამშრომელი - 8 .**



**სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულებები:**

- მემბრანული ტექნოლოგიით ზღვის წყლიდან მიკროელემენტების გამოყოფა;
- მემბრანული ტექნოლოგიით ჩამდინარე წყლების გასუფთავება;
- ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლების გასუფთავება;
- მემბრანული პროცესების დანადგარებისათვის კონსტრუქციული
- ელემენტების დამუშავება და გამოცდა;
- მემბრანული კომპლექსური დანადგარების შექმნა:

ა) სასმელი წყლის მომზადებისათვის;
ბ) ქიმიური და ბიოლოგიური, მძიმე, კვების და ფარმაცევტული მრეწველობისათვის;
გ) ენერგეტიკისათვის;
დ) ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისათვის;
ე) ინდივიდუალური (საოჯახო) მოხმარებისათვის.
















# ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

**(დირექტორი - აკად. დოქტორი გია ბოლქვაძე, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე - სრ. პროფ. დავით ბარათაშვილი)**









საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 სექტემბრის №176 დადგენილების თანახმად, სსიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი რეორგანიზაციის გზით შეუერთდა სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს და იქცა მის სტრუქტურულ ერთეულად: ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად.

**განყოფილებები:**

- **მცენარეთა ინტროდუქციისა და კონსერვაციის /უფროსი – სმმდ ზურაბ მანველიძე/;**
- **სელექციისა და მცენარეთა დაცვის /უფროსი – სრ. პროფ. დავით ბარათაშვილი/.**

**სამეცნიერო პერსონალი:**

- **სულ - 15, მათ შორის:**
- **მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი - 3;**
- **უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი - 4;**
- **მეცნიერ-თანამშრომელი - 8.**

**სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიმართულებები:**

- კოლხეთის უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვის ხელშეწყობა,მცენარეთა გენოფონდის შესწავლა, ეხ-სიტუ და ინ-სიტუ კონსერვაციის ღონისძიებების შემუშავება;
- მცენარეთა მავნებელ-დაავადებების სახეობების დადგენა, გავრცელების თავისებურებების შესწავლა-გამოკვლევა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება;
- სამხრეთ კოლხეთში გავრცელებული ადგილობრივი და ინტროდუცირებული ხეხილოვანი კულტურების გენოფონდის იშვიათი, გაქრობის საშიშროების წინაშე მყოფი სახეობებისა და ჯიშების გამოვლენა-კონსერვაცია, ახალი ჯიშების შექმნა, რეგიონის აგრარული სექტორის განვითარებისათვის ხელშეწყობა;
- მაღალი კონსერვაციული ღირებულებების ეგზოტური და ადგილობრივი ფლორის ცალკეული სახეობის ბიოეკოლოგიური თავისებურებების შეს წავლა, ინ სიტუ კონსერვაციის ღონისძიებების შემუშავება;
- ადგილობრივი ფლორის მაღალი კონსერვაციული ღირებულებების ფიტოცე ნო ზების და სახეობათა ბიომრავალფეროვნების ძირითადი მახასიათებლების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის შეფასება, ტრანსფორმაციის კანონზომიერებების გამოვლენა და დაცვა-აღდგენის სამეცნიერო საფუძვლების შემუშავება;
- ადგილობრივი და ინტროდუცირებული მცენარეთა სახეობების თესლების მონაცემთა ბაზის (Index seminum) შედგენა, შეგროვება, გრძელვადიანი კონსერვაცია თესლების ბანკის სახით, ჰერბარიუმის გრძელვადიანი კონსერვაცია ჰერბარიუმის ფონდის სახით და მსოფლიოს ბოტანიკურ ბაღებთან გაცვლით პროგრამებში ჩართვა;
- აგრესიული ადვენტური სახეობების გავრცელებაზე კონტროლი;
- ეგზოტური და ადგილობრივი ფლორის დეკორატიული ღირებულებების მქონე სახეობების რეგიონის მწვანე მშენებლობაში დანერგვისათვის სამეცნიერო დასაბუთებების და საპროექტო წინადადებების მომზადება (დასახლებული და ადმინისტრაციული პუნქტების, საგზაო ქსელის,ქარსაფრების მწვანე მშენებლობისათვის კომპოზიციის ელემენტების შემუშავება);
- სისტემატური მონიტორინგის განხორციელება ბათუმის ბოტანიკური ბაღის ფლორისტული განყოფილებების სახეობრივ შემადგენლობასა და მათ ზრდაზე.







# საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი

/უფროსი - ნანა ყურშუბაძე/

რსუ I კორპუსი: ოთახი №35; ტელ: 7-17-81; http://bsu.edu.ge/ge/index.php?p=sud/news /http://bsu.edu.ge/ge/index.php?p=sud/news /

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირები ინტენსიურად ფართოვდება საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დაარსების დღიდან. 2003 წლის სექტემბერში შეიქმნა საგარეო ურთიერთობათა და უცხოური ფილოლოგიის სწავლების დეპარტამენტი,რომელიც 2004 წლიდან რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა როგორც საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი.



დეპარტამენტის ძირითად უფლებამოსილებას წარმოადგენს კონტაქტების დამყარება საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან, სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ცენტრებთან; გაცვლითი პროგრამების განხორციელება და ინფორმაციის გავრცელება; საპროტოკოლო სამსახურის უზრუნველყოფა; საზღვარგარეთის უნივერსიტეტებისა და დიპლომატიური უწყებების დელეგაციების მიღების ორგანიზება; ურთიერთთანამშრობლობის დამყარება ბოლონიის პროცესში მონაწილე ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულე-



ბებთან; უცხოელ სტუდენტთა მომსახურება; მობილობის ხელშეწყობა და საკონსულტაციო მომსახურება სამთავრობო გრანტების მოპოვების შემთხვევაში.

2006 წლიდან იგი აქტიურად ჩაერთო ბოლონიის პროცესში და შეუერთდა საერთო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეს. ამის შედეგად უნივერსიტეტი გახდა ევროკომისიის პროექტების არაერთგზის მონაწილე: TEMPUS-i, „ერაზმუს მუნდუსის გარე თანამშრომლობის ფანჯარა“ (EM ECW), ifelong Learning program და მრავალი სხვა.

უნივერსიტეტი ჩართულია სხვადასხვა ქვეყნის სამთავრობო სასწავლო-სამეცნიერო პროგრამებში: DAAD, IREX, ulbright და ამასთანავე დამყარებული აქვს კავშირები სხვადასხვა ქვეყნის სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებთან.

აქედან გამომდინარე ჩვენი უნივესიტეტისს ყველა სტუდენტსა და პროფესორ მასწავლებელს ეძლევა შესაძნიშნავი საშუალება მიიღოს განათლება,გაიაროს სტაჟირება და აიმაღლოს კვალიფიკაცია საზღვარგარეთ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენს უნივერსიტეტში საგრძნობლად იმატა სტუდენტებისა და მსმენელების რაოდენობამ უცხოეთიდან: რუსეთი, თურქეთი, ინდოეთი, ნეპალი, ყაზახეთი.

ასევე საერთაშორისო ურთიერთობები ხორციელდება ორმხრივი მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე და მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- სტუდენტთაშორისი და ფა-კულტეტთაშორისი გაცვლითი პროგრამები;
- ერთობლივი კონფერენციები და სიმპოზიუმები;
- ერთობლივი სასწავლო პროგრამები;
- ონლაინ-რეჟიმში ბიბლიოთეკებით სარგებლობა.
- ერთობლივი სასწავლო და სამეცნიერო პრაქტიკების ორგანიზება;
- საზაფხულო-ზამთრის საერთაშორისო სკოლებში მონაწილეობა.

## მოქმედი ხელშეკრულებები:



### ამერიკის შეერთებული შტატები

1. კეის ვესტერნ-რეზერვის უნივერსიტეტის ფრანსიზ პაინ ბოლტონის მედდათა სკოლა -/ 2009/



### აზერბაიჯანი

1. ბაქოს სლავური უნივერსიტეტი - /2007/;



### ბულგარეთი

1. „ანჯელ კანჩევის“ სახელობის რუსეს უნივერსიტეტი - /2009 /;
2. " ნეოფით-რილსკის" უნივერსიტეტი - /2006/;



### გერმანია

1. პოტსდამის უნივერსიტეტი /2009 /;
2. მიუნხენის ლუდვიგ-მაქსიმილიანის უნივერსიტეტის აკადემიური სასწავლო თრაუნშტაინის ქირურგიული კლინიკა /2010/;



### თურქეთი

1. ათათურქის უნივერსიტეტი - /2009/;
2. ართვინის ჭოროხის უნივერსიტეტი - /2009/;
3. შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტი - /2009/;
4. 19 მაისის უნივერსიტეტი -/ 2005/;



### ირანი

1. გილანის სამედიცინო მეცნიერებათა უნივერსიტეტი - /2008/;
2. გილანის უნივერსიტეტი - /2008/;



### იტალია

1. რომუალდო დელ ბიანკოს ფონდი,ფლორენცია /2010/;



### ნორვეგია

1. ბერგენის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი - /2010/;



### საბერძნეთი

1. თესალონიკის არისტოტელეს სახელობის უნივერსიტეტი /1994/



### სლოვენია

1. ლიუბლიანის უნივერსიტეტი /2010/



### სომხეთი

1. აგრობიზნესის სასწავლო-სამეცნიერო საერთაშორისო ცენტრი (ICARE) - /2008/
2. ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი - /2006/



### უნგრეთი

1. იშტვან შეჩენის უნივერსიტეტი - /2009/



### უკრაინა

1. პეტრე მოგილას სახელობის შავი ზღვის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტი - /2009/

## საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებთან :

1. საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. /2006/ ;
2. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი./ 2009/;
3. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. /2009/;
4. იაკობ გოგებაშვილის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი. /2008/;
5. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტი. /2009/;
6. გორის უნივერსიტეტი. /2009/;
7. სსიპ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი./2008/;
8. კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი. /2009/;
9. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. /2009/;
10. სსიპ-ჩაის,სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტი. /2008/;
11. თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი./ 2009/;
12. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. /2009/;
13. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. /2010/.

# სამეცნიერო საქმიანობა: გუშინ, დღეს, ხვალ...

2010 წელი საიუბილეოა უნივერსიტეტისათვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან უნდა შეაჯამოს განვლილი 75 წლის მანძილზე მიღწეული წარმატებები, კრიტიკულად გადახედოს დაშვებულ შეცდომებს და, რაც მთავარია, დასახოს მომავლის პერსპექტივები.

შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსების დღიდან იყო არა მარტო წარმატებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, არამედ რეგიონში მეცნიერული საქმიანობის უპირველესი ფლაგმანი და სამეცნიერო კადრების ნამდვილი სამჭედლო. მოყოლებული 1935 წლიდან, 75-წლიანი ისტორიის მანძილზე, თავისი განვითარების ყველა ეტაპზე უნივერსიტეტი იდგა ქართული მეცნიერების მოწინავე პოზიციებზე. უფრო მეტი, მან განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩვენს რეგიონში ეროვნული ცნობიერების განმტკიცების, მაღალპროფესიული, ინტელექტუალური ადგილობრივი პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მომზადებაში. სავსებით სწორად იყო აღნიშნული უნივერსიტეტის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში: „ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებელმა ისეთივე როლი შეასრულა აჭარასა და მის მიმდებარე რეგიონებში, მთელ სამხრეთ საქართველოში, როგორიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა – მთელი ერის წინაშე.”

ეს მისია აჭარის პირველმა უმაღლესმა სასწავლებელმა 75 წლის მანძილზე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, ღირსეულად ატარა.

რა თქმა უნდა, თავდაპირველად ინსტიტუტი განიცდიდა პროფესიონალი კადრების ნაკლებობას; ამის დასტურად შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ 1936 წელს ინსტიტუტში სულ 2 პროფესორი და 3 დოცენტი იყო, მათგან 1 იყო მეცნიერებათა დოქტორი, ხოლო 2 – მეცნიერებათა კანდიდატი. ამჟამად უნივერსიტეტში მოღვაწეობს 250-ზე მეტი კონკურსით არჩეული პროფესორი, მრავალი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი...

ადგილობრივი კვალიფიციური კადრების სიმცირეს ხელი არ შეუშლია ახლადდაარსებული პედაგოგიური სასწავლებლისთვის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის მაღალ დონეზე წარმართვაში. ამას ის უნდა უმადლოდეს უპირველესად „დედა-უნივერსიტეტს”, რომლის პროფესორ-მასწავლებლებიც წლების განმავლობაში უანგაროდ ეხმარებოდნენ ახალგაზრდა სასწავლებელს სრულყოფასა და განვითარებაში, კითხულობდნენ ლექციებს ფუნდამენტურ მეცნიერებებში, აყალიბებდნენ კათედრებს, ხელმძღვანელობდნენ და ზრდიდნენ ადგილობრივ კადრებს და ა.შ. სწორედ მათ შექმნეს ქართული მეცნიერების ერთი ძლიერი ფრთა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე. ეს ღვაწლმოსილი მეცნიერები იყვნენ: **შ. ძიძიგური, ალ. ჩავლეიშვილი, ა. ბეგიაშვილი, რ. ხუციშვილი, ლ. ებანოიძე, მ. სტამბოლიშვილი, ლ. ჭანტურია, გ. კოკოჩაშვილი, ნ. ნიჟარაძე, კ. კილაძე, გ. მინდოდაური, გ. ახვლედიანი, ა. ჯავახიშვილი, ვ. ბერიძე, ს. კაკაბაძე, ს. ყაუხჩიშვილი, ა. ხარაძე, გ. თავზიშვილი, დ. გედევანიშვილი, გ. წერეთელი, გ. თვალაძე, ა. ბოჭორიშვილი, კ. ჭკუასელი, ა. კიკვაძე, კ. გრიგოლია, მ. დუმბაძე, ა. გოცირიძე, გ. მირიანაშვილი, მ. კომახიძე, ტ. ხუნდაძე, ს. ყუბანეიშვილი, კ. კაპანელი და სხვები**. ბევრი მათგანი დარჩა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში აკადემიურ თანამდებობაზე, ბევრსაც სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია შემოქმედებითი კავშირი მასთან.

ბუნებრივია, ასეთი დონის მეცნიერთა ხელმძღვანელობით ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში იმთავითვე გაჩნდა ინტერესი სამეცნიერო საქმიანობისადმი და დაიწყო ფუნდამენტური მეცნიერების დარგების თანდათანობითი განვითარება, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე სამეცნიერო პრობლემების შესწავლას; ასე მაგალითად, **დოცენტი ჯემალ ნოღაიდელი** (1906–1966) 1935 წლიდანვე მოიწვიეს ქართული ენის კათედრაზე ასისტენტად და 1940 წელს, ადგილობრივ პედაგოგთაგან პირველმა, დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1941 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის აჭარის დიალექტური, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების შეგროვებისა და შესწავლის საქმეში. 1936 წელს დაისტამბა მისი **მონოგრაფია „აჭარა დიალექტიურად“**, რომლითაც აჭარული კილოს მეცნიერული შეწავლის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო.

ქართული ენის აჭარული დიალექტი იყო **პროფ. შოთა ნიჟარაძის** (1915–1989) კვლევის ძირითადი ობიექტი. მან 1958 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი“, ხოლო 1972 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართული ენის აჭარული დიალექტი“. ამავე პრობლემატიკას ეძღვნება შ. ნიჟარაძის 50-მდე სამეცნიერო პუბლიკაცია, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური გამოკვლევები: **„ზემოაჭარულის თავისებურებანი“** (1960), **„ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა“** (1971) და **„აჭარული დიალექტი“** (1975).

აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა **დოც. ნადეჟდა (ნადია) საბაშვილი** (1914–1998). ის მონაწილეობდა „ქართლის ცხოვრებისა“ და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემების მომზადებაში. მის სამეცნიერო ინტერესებში შედიოდა ქართული ლექსიკოლოგიის, დიალექტოლო გიის, ტექსტოლოგიისა და მწერლის ენის პრობლემები, რომლებსაც მიუძღვნა 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი.



**პროფ. შუშანა ფუტკარაძემ** 1988 წლიდან დაიწყო თურქეთში მცხოვრები ქართველების მეტყველების კვლევა. მრავალწლიანი თავდაუზოგავი და ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ გამოსცა ფუნდამენტური წიგნი **„ჩვენებურების ქართული“** (1993). წიგნში წარმოდგენილმა ვრცელმა და უნიკალურმა მასალამ მეცნიერთა წინაშე კვლევის დიდი პერსპექტივები გადაშალა. 1995 წელს შ. ფუტკარაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქართული ენის სამხრული დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთის და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით“. მისმა წიგნმა და სადისერტაციო ნაშრომმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ქართველოლოგთა შორის.

ქართული ენის აჭარული დიალექტისა და თურქეთში მცხოვრები ქართველების მეტყველების კვლევას წარმატებით განაგრძობენ შემდგომი თაობის მეცნიერები **პროფ. მამია ფაღავას** ხელმძღვანელობით. უფრო მეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლებმა 2009 წელს მოიპოვეს სსეფ-ის გრანტი: **„შავშეთი – ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა”**.

სამეცნიერო ცენტრთან არსებულმა მუდმივმოქმედმა ექსპედიციამ **/ხელმ. პროფ. მამია ფაღავა/** საველე-შემკრებლობითი სამუშაოები ჩაატარა აჭარაში (2001 წელი – ხიხაძირის ხეობა, 2002 წელი – ღორჯომი), შავშეთში (2005 და 2009 წლები), კლარჯეთი (2007), ლაზეთში (2007), ლაზეთში, კლარჯეთში, ტაოსა და სპერში (სამეცნიერო-დაზვერვითი სამუშაოები – 2004, 2009 წლები). მოპოვებულია ძვირფასი დიალექტოლოგიური, ფოლკლორული და ეთნოლოგიური მასალები, შექმნილია უნიკალური ფოტო და ვიდეომასალების არქივი. მიმდინარეობს თურქეთის საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების არქეოლოგიური შესწავლა... სამეცნიერო ცენტრის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს არაერთი ნაშრომი, რომლებშიც შესწავლილია თურქეთის საქართველოს მკვიდრთა ფოლკლორის, ეთნოგრაფიის, მეტყველების პრობლემები.

ენათმეცნიერებს არც ლიტერატურათმცოდნეები ჩამორჩებოდნენ: **პროფ. ალ. ჩავლეიშვილი** (1908–1978) 1937 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე კითხულობდა ლექციებს მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიასა და ლიტერატურის თეორიაში. იგი ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში მობილიზაციის წესით მოავლინეს. მანამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს. 1937 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერ ტაცია, ხოლო 1971 წელს – სადოქტორო დისერტაცია („აკაკი წერეთლის მხატვრული ოსტატობის საკითხები“). ხანგრძლივი დროის მანძილზე იკვლევდა ახალი ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის პრობლემებს. კვლევის შედეგები აისახა მის წიგნებში: „ილია ჭავჭავაძე -ლიტერატურის თეორეტიკოსი“ (1939), „ნარკვევები მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ (1949), „ლიტე რატურის თეორიის საკითხები“ (1955), „ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“ (1960), „ლიტერატურულ-კრიტიკული ნარკვევები“ (1962), „აკაკი წერეთლის მხატვრული ოსტატობის საკითხები“ (1969), „ლიტერატურათმცოდნეობის ნარკვევები“ (1972), „ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები“ (1978). მანვე შეადგინა და 1977 წელს გამოსცა კრებული „ანდაზები და აფორიზმები“.

ალ. ჩავლეიშვილი წარმატებით იღვწოდა სალიტერატურო კრიტიკის სფეროშიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი წერილები, რომლებიც ბათუმში მოღვაწე ქართველ მწერლებს ეხება. მკვლევარი ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ორ ათეულ წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა მწერალთა წრესა და ხელნაწერ ჟურნალ „მაჭახელას“. თავისი კვალიფიციური რჩევა-დარიგებებით მეცნიერი მრავალ დამწყებ მწერალს დაეხმარა გზის გაკვლევაში. ალ. ჩავლეიშვილის მეცნიერული და შემოქმედებითი მოღვაწეობის უდავო აღიარებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ იგი არჩეული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოებისა და საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრად.

1949 წელს მოიწვიეს კათედრაზე და ნახევარი საუკუნის მანძილზე ერთგულად ემსახურა ახალგაზრდა ლიტერატორთა აღზრდა-დაოსტატების საქმეს **ნელი დუმბაძე** (1919–2005) – **ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი ქალი-პროფესორი**. ნ. დუმბაძის შემოქმედებითი გემოვნება და მეცნიერული კვლევის სიღრმე კარგად ჩანს მის წიგნებში: **„დავით კლდიაშვილი“** (1949), **„ლიტერატურული წერილები“** (1959), **„ლადო ასათიანის ყმაწვილკაცობის ფურცლები“** (1974). განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონოგრაფია **„ქართული სიმბოლიზმი“** (1973), რომელიც მკვლევრის სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენდა.

ნელი დუმბაძემ დიდი ამაგი დასდო ქართულ თეატრს. ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის სპექტაკლებზე დაწერილი მისი ათობით რეცენზია გამოირჩევა საქმის ცოდნითა და პირუთვნელობით. ნ. დუმბაძე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა კათედრასთან არსებულ ახალგაზრდა მწერალთა წრესა და ხელნაწერ ჟურნალ „მაჭახელას“.

ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა **დოც. პავლე ნაცვლიშვილი** (1927–2002), რომელსაც გამოქვეყნებული აქვს 60-მდე მეცნიერული ნაშრომი და ორი მონოგრაფია: „ლიტერატურული წერილები“ (1973) და „ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები“ (1976).

საინტერესო სამეცნიერო მუშაობას ეწევიან მომდევნო თაობის ლიტერატურათმცოდნეებიც: **თინა შიოშვილი, რამაზ ხალვაში, მალხაზ ჩოხარაძე და სხვები**. მათი სამეცნიერო ინტერესების სფერო ფართოა: დაწყებული ქართული ფოლკლორიდან დამთავრებული უახლესი ქართული ლიტერატურისა და ლიტთეორიის პრობლემებით.

ისტორიის კათედრის დაარსებიდანვე საინტერესო სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდნენ პროფესორ-მასწავლებლები, ქართული საისტორიო აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები: **სარგის კაკაბაძე, კონსტანტინე გრიგოლია, სიმონ ყაუხჩიშვილი, მამია დუმბაძე, აბელ კიკვიძე, იასე ცინცაძე, ტროფიმე ხუნდაძე, ალექსანდრე ფირცხალაიშვილი, ლევან ებანოიძე, გრიგორ ჩხარტიშვილი, ნ. ძიმისტარაშვილი, სევერიან ყალიჩავა, იონა კუბლაშვილი, ლალი ჯავახიშვილი, ირაკლი ბერაძე, ავთანდილ იოსელიანი, შამშე მეგრელიძე, დავით ხახუტაიშვილი, აბელ სურგულაძე, იური და ფრიდონ სიხარულიძეები, გუკოლ იაშვილი, ვალერიან მაჭარაძე, ნესტორ ინწკირველი, ასლან ინაიშვილი, ვლადიმერ სიჭინავა, ლევან სანიკიძე და სხვები.**

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა დავით ხახუტაიშვილმა** (1924-1999) მთელი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა საქართველოს ისტორიის კარდინალური საკითხების შესწავლას. ის საფუძვლიან ისტორიოგრაფიულ კვლევა-ძიებას უთავსებდა არქეოლოგის პრაქტიკულ საქმიანობას. მისი პირველი საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომი იყო „შავიზღვისპირეთის ქართველი ტომები ბერძენ-ლათინი მწერლების ცნობებით.”

პროფ. დავით ხახუტაიშვილის სამეცნიერო შემოქმედებაში მეცნიერული და ესეისტური სტილის ჰარმონიული შერწყმით გამოირჩევა მისი წიგნი „კლდეში ნაკვეთი ქალაქი”, მნიშვნელოვანია, ასევე, „იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები”, რაც მისი სადოქტორო დისერტაციის თემა იყო. საინტერესო მეცნიერული თვალსაზრისია განვითარებული წიგნში „ძველკოლხური ნამოსახლარი ნამჭედური”. განსაკუთრებული ადგილი მეცნიერის შრომათა შორის უჭირავს მის მონოგრაფიას „რკინის წარმოება ძველ კოლხეთში”.

პროფ. დავით ხახუტაიშვილის რედაქტორობით თითქმის ბოლომდე იყო მიყვანილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარა) ისტორიის ნარკვევების ოთხტომეული.

**პროფ. აბელ სურგულაძე** იყო არაერთი მონოგრაფიისა და სტატიის ავტორი. სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის ოთხი ათეული წლის მანძილზე მან გამოაქვეყნა 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი (მათ შორის – 30-მდე წიგნი), 400-ზე მეტი საგაზეთო პუბლიკაცია და რეცენზია. მისი შრომების ნაწილი ეხება ევროპის ხალხთა წინააღმდეგობის მოძრაობაში ქართველთა მონაწილეობას, რაც აისახა კიდეც მონოგრაფიაში „ქართველები ევროპის ხალხთა წინააღმდეგობის მოძრაობაში (1939-1945)“ (ბათუმი, 1985).

**სრ. პროფ. ბიჭიკო დიასამიძე** წლების განმავლობაში იკვლევდა ადრეშუასაუკუნეების საქართველოსა და მისი ეკლესიის ისტორიის საკითხებს. ამ პრობლემას მიეძღვნა მისი სადოქტორო დისერტაცია **„ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში** (IV-X სს.)“, რომელიც მოგვიანებით ცალკე წიგნადაც გამოიცა. ამჟამად პროფ. ბიჭიკო დიასამიძე ემერიტუსის წოდებით კვლავაც აგრძელებს მუშაობას და უნივერსიტეტში ხელმძღვანელობს ქართველოლოგიის ინსტიტუტის ქრისტიანული კულტურის კვლევის განყოფილებას.

**სრ. პროფ. ამირან კახიძემ** საყურადღებო ნაშრომები მიუძღვნა საქართველოს არქეოლოგიის, კერძოდ, ბერძნული კოლონიზაციისა და შავიზღვისპირა ანტიკური ქალაქების შესწავლას. იგი არის ბრიტანეთ-საქართველოს მუდმივმოქმედი ექსპედიციის ხელმძღვანელი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი, ხელმძღვანელობს სტუდენტთა საველე არქეოლოგიურ პრაქტიკას, გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. ამჟამად ამირან კახიძე ემერიტუსის სტატუსით განაგრძობს მოღვაწეობას უნივერსიტეტში.

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის ვახტანგ შამილაძის** კალამს ეკუთვნის არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, უამრავი საგაზეთო წერილი და რეცენზია. განსაკუთრებით საინტერესოა მისი გამოკვლევები სამეურნეო ყოფის, კერძოდ,

მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული და ისტორიულ- ეთნოგრაფიული შესწავლის თვალსაზრისით, რის შესახებაც გამოაქვეყნა ფუნდამენტური ნაშრომები, მათ შორის – მონოგრაფიები. სწორედ მესაქონლეობასთან დაკავშირებული პრობლემები დაედო საფუძვლად საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მესაქონლეობისადმი მიძღვნილ ტომს. პროფ. ვახტანგ შამილაძეს გამოსაცემად მზად აქვს „საქართველოს ეთნოლოგიის ისტორიის" სამტომეული, რომლის პირველი ტომი 2009 წელს დადებითად მიიღო საზოგადოებამ.

**სრ. პროფ. ნუგზარ მგელაძე** იკვლევს აჭარისა და ზოგადად, საქართველოს ეთნოლოგიის საკითხებს. იგი არის 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომელთაგან სპეციალისტთა ყურადღება მიიქცია ქართველი ხალხის სოციალური ორგანიზაციის ტრადიციული ფორმებისა და ნათესაობის ტერმინთა სისტემის სტრუქტურულ-ფუნქციონალური და ტიპოლოგიური ანალიზისადმი მიძღვნილმა ნაშრომებმა.

წლების მანძილზე კათედრაზე ინტენსიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდნენ: **კახაბერ სურგულაძე, ნოდარ კახიძე, იზოლდა სამსონია, შოთა მამულაძე, ოთარ გოგოლიშვილი, მალხაზ სიორიძე, ნანა ხახუტაიშვილი, გია თავამაიშვილი, მერაბ ხალვაში, ციური ქათამაძე, ირაკლი ბარამიძე, ირაკლი მანველიძე, ჯემალ კარალიძე, ჯუმბერ ვარდმანიძე, ნადიმ ვარშანიძე, მერაბ მეგრელიშვილი, ნუგზარ ზოსიძე, ერმილე მესხია, ნოდარ ცეცხლაძე, სერგო დუმბაძე, ოთარ თურმანიძე, თამაზ ფუტკარაძე, მანუჩარ ლორია, რევაზ უზუნაძე, თამარ შალიკაძე, მადონა მიქელაძე, მარინა იტრიაშვილი, ნატალია ლაზბა, ალექსანდრე ბათაძე, მანანა კაშია, რევაზ დავითაძე, ტარიელ ებრალიძე, თემურ ტუნაძე, ზაზა კილაძე, ზაზა შაშიკაძე, იზოლდა ბელთაძე და სხვ.**

ბათუმში სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნით იწყება ფილოსოფიური კვლევა-ძიება აჭარაში.

1936 წელს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრას სათავეში ჩაუდგა ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი, ქართული ფილოსოფიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, აკადემიკოსი **კოტე (კონსტანტინე) ბაქრაძე (1898-1970).** იგი კათედრას ხელმძღვანელობდა 1938 წლამდე, თუმცა მას სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია კავშირი ბათუმთან, კონსულტაციებს უწევდა კათედრაზე მომუშავე ლექტორ-მასწავლებლებს და ეხმარებოდა მათ კვალიფიკაციის ამაღლებაში. კოტე ბაქრაძემ რამდენიმე მოაზროვნესთან ერთად შეძლო საქართველოში ფილოსოფიის გადარჩენა.

კათედრაზე მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი **კონსტანტინე კაპანელი (1889-1952)**. იგი ავტორია თეორიისა, რომელსაც მანვე ორგანოტროპიზმი უწოდა. მას გამოქვეყნებული აქვს 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან ზოგიერთი დაიწერა და დაიბეჭდა კიდეც ბათუმში მოღვაწეობის დროს.

ინტენსიურ სამეცნიერო კვლევებს აწარმოებდა **ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ბაკურაძე (1926-1986),** რომლის ნაშრომთა შორის უმნიშვნელოვანესია მონოგრაფიები: „თავისუფლება და აუცილებლობა" (1964) და „დიალექტიკური მატერიალიზმი" (1974). მისი შრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ფრანგულ და ჩინურ ენებზე.

სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდნენ, ასევე, **გრიგოლ ჯიჯეიშვილი (1907-1980)**, ფილოსოფიის მ/კ **ლევან აბაშიძე (1918-1990), კოტე ბოლქვაძე (1921-1970), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი შოთა ჯაფარიძე (1924-2006),** რომელსაც გამოქვეყნებული აქვს 85 სამეცნიერო ნაშრომი, აქედან: 16 – მონოგრაფია: „პოლიტოლოგია", I-II ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო (ბათუმი, 1995); „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები" (ბათუმი, 1999); „პოლიტიკის ფილოსოფია" (ბათუმი, 2002) და ა.შ.

ფილოსოფიის დეპარტამენტში დღესაც საინტერესო მეცნიერული საქმიანობა მიმდინარეობს. **პროფესორები: მიხეილ მახარაძე, გული შერვაშიძე, ლალი ზაქარაძე, ვარდო ბერიძე, გიორგი მასალკინი, ირმა ბაგრატიონ, მიხეილ ხალვაში და სხვები** განაგრძობენ ფილოსოფიის თანამედროვე, აქტუალური პრობლემების კვლევას.

**ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის (1989), პროფესორ (2000) მიხეილ მახარაძის** სამეცნიერო კვლევის ძირითადი სფეროებია: ქართული და შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, რელიგიური ფილოსოფია, რენესანსისა და ჰუმანიზმის საკითხები, თანამედროვე ქართული ფილოსოფია. ის არის 24 წიგნის ავტორი, მათ შორის, 8 მონოგრაფიის: „არეოპაგიტიკის ფილოსოფიური წყაროები" (თბ., 1983), „არეოპაგიტიკის ფილოსოფიური პრობლემები" (თბ., 1986), „ძიებანი ქრისტიანული ფილოსოფიის ისტორიაში", (თბ., 1999), „რენესანსი, ჰუმანიზმი და XI-XII სს. საქართველო" (თბ., 2003), „რენესანსი, ჰუმანიზმი და ქართული რენესანსის საკითხები" (ბათუმი, 2009). მან გამოაქვეყნა, ასევე, 5 სამეცნიერო-პოპულარული წიგნი, 12 ლიტერატურული და პუბლიცისტური კრებული და თარგმნილი წიგნი.

პროფ. მ. მახარაძის სამეცნიერო ნაშრომები და რეცენზიები, ქართულის გარდა, გამოქვეყნებულია რუსულ, უკრაინულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

საინტერესოდ წარიმართა სამეცნიერო კვლევა-ძიება ბპი-ს უცხოური ენებისა და საზღვარგარეთის ლიტერატურის კათედრაზეც. იგი დაკავშირებულია ისეთი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების სახელებთან, როგორებიც იყვნენ: **მარია ხუციევა, ლარისა მუატი, ნინა ლუპმანი, ფება ვასილევა, ოთარ ფარეიშვილი, მინიკო ჩიჯავაძე, ქეთევან ჯაველიძე, ციალა მდინარაძე, პავლე ჯორბენაძე, გულნარა ომიაძე, რუსუდან ბეჟანოვა, ნათელა პაპავა.**

ევროპეისტიკის დეპარტამენტში ამჟამადაც გრძელდება მეცნიერული კვლევა-ძიება სხვადასხვა მიმართულებით. 2008-2009 სასწავლო წლებში რუსთაველის ფონდში წარდგენილ იქნა საგრანტო თემა „ენობრივი გარემოს კომპენსატორული მოდელირება კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ვიზუალიზაციის მეთოდების გამოყენებით". მიუხედავად იმისა, რომ გრანტი არ დაფინანსდა, დეპარტამენტი აგრძელებს ამ საკითხზე მუშაობას.

აღსანიშნავია, რომ **კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინოლოგია**, **ნეოგრეცისტიკის პროგრამული** მიმართულების **ხელმძღვანელის პროფ. მარინა გიორგაძის** უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონფერენციები, მათ შორის **„ბიზანტინოლოგია საქართველოში -2"** (2007), რომლის სტატიათა კრებული მისივე რედაქტორობით 2 ტომად გამოიცა 2009 წელს.

რუსული ენის კათედრაზე ჩამოყალიბების დღიდან მუშაობდნენ გამოჩენილი ენათმეცნიერები, აკადემიკოსები: გ.ახვლედიანი, გ.წერეთელი; პროფესორები: **დ.მგელაძე, კ.კაპანელი, ა.ხიდეშელი, დ.ჭანტურიშვილი, თ.მახარაძე; დოცენტები: გ.პატარაია, ნ. გოლოსკოჩენკო და სხვები.**

დროთა განმავლობაში კათედრაზე აღიზარდნენ ენათმეცნიერების ადგილობრივი კადრები: პროფესორები: მ.ფარტენაძე, რ.კომახიძე, მ.ბერიძე, მ.აროშიძე; ფილოლოგიის მ/დ ნ.ხახუტაიშვილი; ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები: ჟ.მამუჭაძე, მ.ახვლედიანი, ა.არძენაძე, ნ.ქაჯაია, ქ.სვანიძე, დ.დობორჯგინიძე, ნ.თამაზაშვილი.

დეპარტამენტის წევრთა კვლევის სფერო ფართოა: **კულტურათაშორისი კომუნიკაცია, ტექსტის ლინგვისტიკა და ტექსტური ინფორმაციის ინტერპრეტაცია, თანამედროვე რუსული ენის აქტუალური პრობლემები, თარგმანმცოდნეობა, მეთოდური ინოვაციები უმაღლეს სკოლაში უცხო ენების სწავლებისა და სწავლის პროცესში, სლავური ლიტერატურის ისტორიის საკითხები და ა.შ.**

სლავისტიკის დეპარტამენტი აქტიურ და ნაყოფიერ მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა სამეცნიერო ორგანიზაციის მუშაობაში: არის საერთაშორისო ასოციაცია «МАПРЯЛ» - ის ნამდვილი წევრი, 2009 წლიდან კი გახდა FIPLV–ის წევრი.

**სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდაა უნივერსიტეტში, თუმცა მას უკვე გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი პრიორიტეტები:** კონსტიტუციური, ადმინისტრაციული, საერთაშორისო, სისხლისა და კერძო სამართლის აქტუალური პრობლემების კვლევა; ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზებით აღდგენის შესაძლებლობათა სამართლებლივი დასაბუთება: ტერიტორიული მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის საკანონმდებლო სრულყოფის საკითხებზე მუშაობა; საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების სამართლებრივი საფუძვლების მოძიება; ეროვნული და რელიგიური უმცირესობების უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი კვლევა და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივები; ერთა თვითგამორკვევის პრობლემები თანამედროვე საერთაშორისო სამართალში. **მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ხელშეწყობა**: რეგიონის ინვესტიციურ-სამშენებლო ბაზისა და კაპიტალური მშენებლობის განვითარების თეორიული და პრაქტიკული საკითხების კვლევა; რეგიონის აგრარულ სექტორში ფერმერული მეურნეობების განვითარებისა და ორგანიზაციული სრულყოფის პრობლემების კვლევა; საბიუჯეტო შემოსავლებისა და გასავლების ფორმირების, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ეკონომიკურ კრიზისის ანატომიის კვლევა; ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობისა და პერსპექტივების თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული პრობლემების კომპლექსური: ეკონომიკური, სოციოლოგიური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების კვლევა.

ზემოთჩამოთვლილი პრობლემების კვლევაზე ინტენსიურად მუშაობენ: **სრ. პროფესორები: რეზო მანველიძე, ვაჟა ვერულიძე, როსტომ ბერიძე, ვლადიმერ ღლონტი, გურამ ჩაგანავა, ნოდარ ბარამიძე, რაჟდენ ფუტკარაძე, ასოც. პროფესორები: ასიე ცინცაძე, გიორგი აბუსერიძე, იოსებ სანიკიძე, დავით ქათამაძე, ინეზა ზოიძე, ომარ მახარაძე, ნათელა წიკლაშვილი, ბესიკ ბოლქვაძე, გელა მამულაძე, ბესიკ ბაუჩაძე, ირმა ჩხაიძე, პაატა აროშიძე, ალექსანდრე თურმანიძე, ლევან ჯაყელი, მურმან გორგოშაძე, ირაკლი მანველიძე, ირაკლი გორგილაძე, ნუგზარ ფუტკარაძე, მურმან ცეცხლაძე, ვახტანგ მიქაშავიძე, პაატა ჩაგანავა, ომარ ფარტენაძე, ანზორ დევაძე და სხვები.**

**განათლების ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პრიორიტეტებია**: მოსწავლეთა ეკოლოგიური განათლებისა და სწავლება-სწავლის ახალი მიდგომების კვლევა; სწავლების ფუნქციებისა და სრული განათლების კონცეფციის საკითხების კვლევა; რეფორმირებული სკოლის მართვის საკითხების კვლევა; აჭარაში არსებული აღზრდის ხალხური ტრადიციების შესწავლა-ანალიზი; მოსწავლეთა კომპიუტერული განათლების პედაგოგიური უზრუნველყოფის პრობლემების კვლევა; სკოლის ექიმის პედაგოგიური განათლების პრობლემების კვლევა; უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკური კულტურის სწავლების ტექნოლოგიების შემუშავება; თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლების საკითხების კვლევა.

ამ პრობლემების მეცნიერულ კვლევას მყარი საფუძველი ჩაუყარეს გამოჩენილმა მეცნიერებმა, პროფესორებმა: **კონსტანტინე ჭკუასელმა, ანგია ბოჭორიშვილმა, ტიტე სარიშვილმა, უშანგი ობოლაძემ, გიორგი ნიკოლეიშვილმა, ვლადიმერ ნორაკიძემ, გიორგი თავზიშვილმა და სხვებმა.**

მათი საქმის ღირსეული გამგრძელებელი იყო **საქართველოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, პროფესორი ალექსანდრე გობრონიძე,** რომლის კვლევის საგანს წარმოადგენდა მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდა. მეცნიერი ამ პრობლემას ორი მიმართულებით აანალიზებდა: მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდა და ამ ამოცანის შესასრულებლად მომავალ მასწავლებელთა მომზადების საკითხები. ამ დარგში მან გამოაქვეყნა რამდენიმე მონოგრაფია: „ზნეობრივი აღზრდა ოჯახში" (1974), „ახალი ადამიანის ზნეობრივი აღზრდა", „ მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის სრულყოფის პრობლემები", „სკოლა გარდაქმნის გზაზე" (1987), „ბავშვის აღზრდა ოჯახში" (ბათუმი, 1979), „ზნეობრივი აღზრდა" (ბათუმი, 1979), „პედაგოგიკა" – დამხმარე სახელმძღვანელო (ბათუმი, 1996), „აღზრდის ფილოსოფია" (ბათუმი, 1997), „სწავლების საკითხები" (ბათუმი, 1998), „ზნეობრივი აღზრდის საკითხები" (ბათუმი, 1994) და სხვა.

პროფ. ალ. გობრონიძის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, ნაშრომები: „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის პრობლემა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მოძღვრებაში" (1965), „გოგებაშვილი და აჭარა" (ბათუმი, 1970), „დედაენა აჭარაში" (ბათუმი, 1976). ამ შრომებით მეცნიერმა მტკიცედ დაიკავა საკუთარი ადგილი იაკობ გოგებაშვილის მკვლევართა შორის. პროფ. ალექსანდრე გობრონიძეს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის, ასევე, უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის პრობლემების დამუშავებაში. ამ საკითხებს მან მიუძღვნა სპეციალური შრომა „მომავალ მასწავლებელთა მომზადება მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდისათვის" (1984).

ფაკულტეტზე **საქართველოს განათლების აკადემიის წევრის, პროფ. იური ბიბილეიშვილის** ხელმძღვანელობით გრძელდება კლასიკური და თანამედროვე პედაგოგიკის ისტორიისა და თეორიის საკითხების შესწავლა-დამუშავება.

მეცნიერის კვლევის საგანია მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებლის იან ამოს კომენსკის მოძღვრება. კომენოლოგიის დარგში გაწეული კვლევის შედეგად 1993 წელს მან მკითხველს მიაწოდა მონოგრაფია „ქართული კომენოლოგია". (ნაწილი პირველი), უფრო ადრე, 1981 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი, „ბავშვის ბუნებრივი ნიჭის განვითარების პრობლემა ი.ა.კომენსკის პედაგოგიკურ კონცეფციაში. 1998 წელს მისი თანაავტორობით გამოვიდა „პედაგოგიკის ისტორია", (რედაქტორი – აკად. ნ. ვასაძე). ეს სახელმძღვანელო შესწორებული და შევსებული სახით გამოიცა 2003 წელსაც.

პროფ. იური ბიბილეიშვილი თანმიმდევრულად იკვლევს პედაგოგიკის თეორიის საკითხებს. მან ახლებურად გაიაზრა და დაამუშავა განათლების შინაარსის პრობლემა და მკითხველს შესთავაზა სრული განათლების თეორია. ეს არის მეცნიერული ცოდნისა და რელიგიური რწმენის სინთეზის შედეგად შექმნილი განათლება, რომელიც, მკვლევრის აზრით, თანამედროვე ადამიანს მეცნიერებისა და რელიგიის ცოდნის საფუძველზე უნდა ჩამოუყალიბოს სკოლამ. მან, ასევე, დაამუშავა სწავლების ფუნქციების ახალი კონცეფცია, განსაკუთრებით, სწავლების განმავითარებელი ფუნქციის პედაგოგიური ასპექტები.

ინტენსიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწევიან განათლების ფაკულტეტის სრული **პროფესორები: ავთანდილ ქემხაძე, ლელა თავდგირიძე, ასოც. პროფ. ნანა მაკარაძე, მეცნ. დოქტ. ნოდარ ბასილაძე და სხვები.**

მათემატიკამ განვითარების დიდი და საინტერესო გზა განვლო საქართველოში და, კერძოდ, მის უძველეს ქართულ მხარეში-აჭარაში. ბათუმში მოღვაწე მათემატიკოსთა სხვადასხვა თაობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა **ა. რაზმაძის, ნ. მუსხელიშვილის, ა. ხარაძის და გ. ნიკოლაძის მიერ დაფუძნებული**, საქვეყნოდ აღიარებული ქართული მათემატიკური სკოლის შემდგომ განვითარებაში.

ქართული მათემატიკის ისტორიას ამშვენებს ქვეყნის სხვადასხვა მათემატიკური ცენტრების, მათ შორის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის /შემდგომში – ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის/ მათემატიკოსთა მიღწევები. თანამედროვე მათემატიკური კვლევების ბათუმში დაწყება უკავშირდება 1935 წელს, როცა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტი დაარსდა, და 1945 წელს, როცა ამ სასწავლებლის ბაზაზე შეიქმნა პედაგოგიური ინსტიტუტი. ბათუმში მათემატიკური კვლევის ძირითად ცენტრად ითვლებოდა ალგებრა-გეომეტრიის, მათემატიკური ანალიზისა და მათემატიკის კათედრები, რომლებსაც სხვადასხვა პერიოდში ხელმძღვანელობდნენ პროფესორები: **ანდრო ბეგიაშვილი, ნიკოლოზ ლომჯარია, შოთა ქემხაძე, დურსუნ ბალაძე და ემზარ ბალაძე.**

**ბპი-ს წინაშე უდიდესი ღვაწლის მქონე პირველი თაობის მათემატიკოსების მხარდამხარ და მათ შემდგომ, ნაყოფიერად იღვწოდა მრავალი მათემატიკოსი: ალგებრაში: ზებურ ავალიანი, რეზო ასათიანი, ომარ გივრაძე, ხემიდ დევაძე, იაშა დიასამიძე, შოთა მახარაძე, ნინო როყვა, რეზო ქათამაძე, შოთა ქემხაძე, ასლან ხახუტაიშვილი; გეომეტრიაში: ემზარ ბალაძე, ალექსანდრე ბერაძე, სელიმ ნიჟარაძე, გიორგი რუსეიშვილი; ტოპოლოგიაში: დურსუნ ბალაძე, ვლადიმერ ბალაძე, შალვა ბახტაძე, ანზორ ბერიძე, ლელა თურმანიძე, გიორგი კირთაძე, ონისე სურმანიძე, მაია ძაძამია, გივი ხუხუნაიშვილი; მათემატიკურ ანალიზსა და მის გამოყენებებში: ჯონი ბაბილოძე, მზევინარ ბაკურიძე, ანდრო ბეგიაშვილი, მიხეილ გადახაბაძე, ჯუმბერ დავითაძე, თემურ კოკობინაძე, ნიკოლოზ ლომჯარია, დალი მახარაძე, გივი ნოღაიდელი, ნინო სვანიძე, მერაბ ხაბაზი; მათემატიკის სწავლებასა და დაფუძნებაში: მერი გორდელაძე, მიხეილ გოხიძე, სილოვან დადუნაშვილი, დავით იმხნელიძე, ეთერი ტაკიძე, მაგული ცეცხლაძე, თამაზ წულუკიძე, ვლადიმერ ხალვაში.**

**საინტერესო მეცნიერული მუშაობა მიმდინარეობს ახლადდაარსებულ კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტში /ხელმ. სრ. პროფ. იბრაიმ დიდმანიძე/,** სადაც სრულდება შემდეგი სამეცნიერო-კვლევითი თემები: ალგორითმები, ობიექტზე ორიენტირებული და პარალელური პროგრამირება; მათემატიკური მოდელები და კომპიუტერული სიმულაციები. ალგორითმების კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფისათვის შექმნილია და დამუშავებულია მათი მათემატიკური მოდელები. შექმნილია კომპიუტერული პროგრამები დაპროგრამების ჩ++ ენაზე; პარალელური სინქრონული და ასინქრონული ალგორითმები და პროგრამები.

ამ საკითხებზე მეცნიერულ კვლევებს ასრულებენ: **სრ. პროფესორები: იბრაიმ დიდმანიძე და დავით დევაძე, ასოც. პროფ. თენგიზ ხინიკაძე, ზებურ სურმანიძე, ციცინო სარაჯიშვილი, გულადი ფარტენაძე, ასისტ. პროფ. მიხეილ დონაძე, გრიგოლ კახიანი, ლია შეწირული და სხვები.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი /დეკანი – სრ. პროფ. რუსუდან ხუხუნაიშვილი/ აერთიანებს მეცნიერების ისეთ ფუნდამენტურ მიმარ-

როგორებიცაა: ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, გეოგრაფია, შესაბამისად, მისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პრიორიტეტებიც მრავალფეროვანია: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ბიომრავალფეროვნების (შავი ზღვის, კოლხეთის ჭაობის, მდინარე ჭოროხის აუზისა და სხვა ეკოსისტემების) შესწავლა,დაცვა და მონიტორინგი; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადამიანთა პოპულაციების ბიოლოგიური და პათოლოგიური კანონზომიერებების კვლევა, ბიოგერონტოლოგია; ფიზიოლოგიურად აქტიური ნაერთების გამოყოფა-იდენტიფიკაცია სხვადასხვა ბიოლოგიური ობიექტიდან; ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელება არაერთგვაროვან ტურბულენტურ გარემოში.

ბიოლოგიის სპეციალობა მასში შემავალი კათედრებით ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისა თუ უნივერსიტეტის ჩამოყალიბებისა და შემდგომი საქმიანობის ყველა ეტაპზე იყო და რჩება ერთ-ერთ წამყვან ფრთად დროის შესაბამისი სპეციალისტების მომზადებისა თუ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საქმეში. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს, ესენია: **გ.კოკოჩაშვილი, ა.გოცირიძე, პ.მგალობლიშვილი, დ.გედევანიშვილი, გ.თვალაძე, გ.ჯავა ხიშვილი, ნ.ჯავახიშვილი, პ.ჭანტურიშვილი,ლ.ჯაფარიძე,ალ.მაყაშვილი, გ.თუმანი შვილი, შ.ნახუცრიშვილი, ა.კობე რიძე, ბ.ქიქოძე, ბ.მესხი, ე.ვასაძე, გ.შანშიაშვილი და მრავალი სხვა.**

მათი ტრადიციები ღირსეულად განაგრძეს **სრ. პროფ. ანზორ დიასამიძემ, თემურ გოგმაჩაძემ, რევაზ ზოსიძემ, რუსუდან ხუხუნაიშვილმა და სხვებმა.** მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ სრ. პროფ. ანზორ დიასამიძის ღვაწლი: ის არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი,მათ შორისაა 10-მდე მონოგრაფია და სახელმძღვანელო,რომელთაგან აღსანიშნავია: „მემკვიდრეობისა და ცვალებადობის ბალანსის ბიოლოგიური რეგულაცია და ევოლუციური მნიშვნელობა" (ბათუმი, 1999); „ბუნებრივი და ქიმიური მუტაგენეზი ციტრუსების სელექციაში" (ბათუმი, 1994); „მამრობით გენომზე ქიმიური მუტაგენეზის გენერაციული გავლენის შედეგები" (ბათუმი, 1997) და სასწავლო მეთოდური შრომები, სახელმძღვანელოები გენეტიკასა (1998; 2003) და ბიოევოლუციაში (2000; 2008) უმაღლესი სასწავ ლებლების სტუდენტთათვის, რაც მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოს შექმნის პირველი ცდა იყო საქართველოში.

ფართო და მრავალმხრივია სრ. პროფ. ანზორ დიასამიძის მეცნიერულ ინტერესთა სფერო, თუმცა, მეცნიერის კვლევის ძირითადი მიმართულება მაინც არის სუბტროპიკულ კულტურათა გენეტიკისა და სელექციის თეორიული საფუძვლების შესწავლა, ფორმათწარმოქმნის პროცესების რეგულირების მეთოდიკის დამუშავება და საწყისი სელექციური მასალის შექმნა. მის შრომებში ფართოდაა წარმოდგენილი ვაშლის, მსხლის, კაკლის გენეტიკისა და სელექციის რიგი კანონზომიერებანი და ა.შ.

ქიმიის კათედრაზე მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები: **დოცენტი გიორგი ციციშვილი, ირაკლი ნაკაიძე, ვაჟა ძნელაძე, იოსებ ხუსკივაძე, ნატალია ჟორდანია, ვლადიმერ ქემხაძე, ოთარ შამილიშვილი, პროფ. ალ. ნოღაიდელი და სხვები.**

აქტიურ სამეცნიერო მუშაობას ეწევიან ქიმიის დეპარტამენტის პროფესორები: **ირინა ბეჟანიძე, მაია ვანიძე, ნატო დიდმანიძე,ნინო კიკნაძე,გულთამზე თავდგირიძე და სხვები.**

ფიზიკის მიმართულებიოთ სამეცნიერო კვლევების დაწყებას საფუძველი ჩაეყარა 1935 წელს, შესაბამისი კათედრის დაარსებისთანავე, რასაც დიდი ამაგი დასდეს **სტრატონ თოთიბაძემ, დოცენტმა ანდრო ბეგიაშვილმა,პროფესორმა რაჟდენ ხუციშვილმა,ხუსეინ ხალვაშმა,შაქირ ნაკაშიძემ,ვ. ქობულაძემ, ლ. ხუციშვილმა,მ. გობეჯიშვილმა ვ. პარკაძემ, დ. ლოლაძემ, გ. თევზაძემ,გ. კიკვაძემ,ბ. გურგენიძემ, ო. მღებრიანმა ,გ. მირიანაშვილმა,ჯ ბერიძემ და სხვებმა.**

**პროფ. ჯემალ ბერიძემ** საფუძველი ჩაუყარა სინათლის მრავალჯერადი და კომბინაციური გაბნევის კვლევითი ლაბორატორიების შექმნას. ამ ლაბორატორიაში საბჭოთა კავშირის პერიოდში შესრულდა შვიდი სამეურნეო-სახელშეკრულებულო სამუშაო. ძირითადად აღნიშნულ სამუშაოთა დაფინანსების ხარჯზე შეძენილი იქნა აპარატურა, რომელიც დღესაც განაგრძობს მოქმედებას.

აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას აგრძელებენ ფიზიკის დეპარტამენტის პროფესორები: **ჟუჟუნა დიასამიძე, ზაურ გამიშიძე,თამაზ ბერიძე,იზოლდა ჯაბნიძე, . ლალი კალანდაძე, ნუგზარ ღომიძე და სხვები.**

დეპარტამენტს ხელმძღვანელობს **პროფ. ნუგზარ ღომიძე,** რომლის სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენს ატმოსფეროს ფიზიკა, რადიოფიზიკა და სხვა. მისი შრომები ეძღვნება ტალღური და რხევითი პროცესების შესწავლას რეალურ გარემოში რადიოფიზიკური და ოპტიკური მეთოდებით. იგი არის არაერთი საგრანტო პროექტის მონაწილე, მაგ.: „არასტაციონარული გარემოს შთანთქმისა და დისპერსიის გავლენა ელექტრომაგნიტური ტალღების სტატისტიკურ და დინამიკურ მახასიათებლებზე" (1999 წ.), სსეფ-ის პროექტის: „ტალღების სტატისტიკური მახასიათებლების შესწავლა და ტალღური პროცესები ტურბულენტურ ატმოსფეროში" – მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (2006-2008). /მნიშვნელოვანია, რომ სამეცნიერო პროექტის ექსპერიმენტალური ნაწილი ბათუმში შესრულდა. ფიზიკის დეპარტამენტს საგრანტო პროექტის დასრულების შემდეგ დარჩა ძვირადღირებული თანამედროვე ციფრული გამზომი ხელსაწყოები/; ის არის, ასევე, სსეფ-ის პროექტის: „ბათუმის საზღვაო პორტის აკვატორიის ეკოლოგიური მონიტორინგი ლაზერული სპექტროსკოპიის მეთოდით და ტალღური პროცესების შესწავლა რეალურ გარემოში" მენეჯერი და მეცნიერ-ხელმძღვანელი (2009-2012).

ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობით, მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრე-



ბით იმთავითვე გამოირჩეოდა გეოგრაფიის კათედრა,სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები: **აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი, პროფ. ნადიმ ნიჟარაძე,** რომელიც იყო 90 შრომის, მათ შორის, რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი: „აჭარის ალპური მეურნეობა", „აჭარის ასსრ ფიზიკური და ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება", „აჭარის ასსრ" და სხვა, **პროფ. ნ.ყიფიანი**, რომლის მონდომებით დაარსდა მინერალოგიის კაბინეტი, **დოც. ნადია ჯიბუტი,** რომელმაც შეადგინა აჭარის 10-მდე სხვადასხვა ტიპის რუკა, იყო 40-მდე შრომის,მათ შორის, 4 მონოგრაფიის ავტორი, **დოც. მამუკა ქემხაძე, დოც. ვიქტორ ბორჩხაძე,** გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატები: **ზურაბ ბეჟანიძე და ჯემალ გაბაიძე, პროფ. შაქრო ფალავანდიშვილი**, რომელმაც შეადგინა აჭარის ნიადაგების რუკა, მონაწილეობა მიიღო საქართველოს ნიადაგების რუკის შედგენაში, გამოაქვეყნა 10 მონოგრაფია და მრავალი სტატია.

მათ ტრადიციებს ღირსეულად აგრძელებენ **პროფ. ანთაზ ქიქავა,** რომელსაც გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი,მათ შორის,ერთი მონოგრაფია – „მერისის მადნიანი ველის თბოფიზიკური მოდელი"; **ასოც. პროფ. მერაბ ფუტკარაძე**, რომელიც არის 40-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 5 მონოგრაფიის ავტორი და სხვები.

**ჯანდაცვის ფაკულტეტი** სათავეს იღებს 1991 წლიდან,როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ დამოუკიდებელ უნივერსიტეტში გაიხსნა ბიოსამედიცინო და პროფილაქტიკური მედიცინის სპეციალობები და შეიქმნა სამედიცინო ფაკულტეტი. 1993 წელს ფაკულტეტს დაემატა კიდევ ორი სპეციალობა: სამკურნალო საქმე და პედიატრია.

**მიუხედავად ხანგრძლივი ტრადიციების უქონლობისა, ფაკულტეტმა მკაფიოდ გამოკვეთა სამეცნიერო -კვლევითი** მუშაობის პრიორიტეტები: სხვადასხვა ლოკალიზაციის სისხლდენების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვა; მწვავე ქირურგიული დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხები; გულის რითმის სხვადასხვა ტიპის დარღვევათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხები; კარიესის ეპიდემიოლოგიისა და მკურნალობის საკითხების შესწავლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში; იოდდეფიციტური დაავადებების გავრცელების მიზეზებისა და პროფილაქტიკის საკითხების შესწავლა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში; გერონტოლოგიის საკითხების შესწავლა.

ზემოთჩამოთვლილი პრობლემების ირგვლივ წარმატებულ სამეცნიერო კვლევას აწარმოებენ ფაკულტეტის პროფესორები: **აკაკი ბერიძე, კახა ქაშიბაძე, გივი ცეცხლაძე,ჯუმბერ უნგიაძე,ბეჟან იაკობაძე,ვაჟა ჩანტლაძე, ზურაბ ჩომახაშვილი, სალომე ღლონტი, რენე თანდილავა, შორენა ვაშაძე, მზია ბაქრაძე, ილია ნაკაშიძე, ნერიმან ცინცაძე, ნაირა კობალაძე, გიორგი ჟღენტი, სოფიო ბერიძე, ჯიმშერ ლეჟავა და სხვები.**

**საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტს** აქვს სამეცნიერო საქმიანობის დიდი ხნის წარმატებული ისტორია. საკმარისია თვალი გადავავლოთ ფაკულტეტის სამეცნიერო -კვლევითი მუშაობის პრიორიტეტებს, რომ დავრწმუნდეთ, რაოდენ მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო ინტერესების სფერო: წინასწარდაძაბული კონსტრუქციების გაანგარიშების მეთოდებისა და ახალი კონსტრუქციული ფორმების შემუშავება; შეკუმშული ელემენტების მდგრადობის პრობლემის გადაწყვეტა მასალის მუშაობის დრეკად-პლასტიკურ არეში; წრფივად დეფორმირებად ფუძეზე მდებარე საძირკვლების გაანგარიშების მეთოდების შემუშავება; თაღოვანი სისტემის დინამიკური კვლევა; მობილური მანქანის სადიაგნოსტიკო პარამეტრების დადგენა; საზღვაო-სარკინიგზო გადაზიდვების ინტერმოდალური ტექნოლოგიების ღონისძიებათა შემუშავება; ინტერმოდალური სატრანსპორტო-ლოჯისტიკური სქემების შემუშავება და ოპტიმიზაცია; საქართველოში, როგორც ტრასეკას პროექტში მონაწილე ქვეყანაში, ერთიანი სატრანსპორტო - ლოჯისტიკური კომპლექსის შექმნის კონცეფციის შემუშავება; ძლიერად ანიზოტროპული ახალი მასალების, კოლოსალური მაგნეტოწინაღობის მქონე შენაერთებისა და სხვა მაღალტექნოლოგიური შენაერთების ელექტრონული სპინების რელაქსაციის და ამთვისებლობის შესწავლა, როგორც ნულოვან, აგრეთვე, სუსტ მუდმივ მაგნიტურ ველებში; ოპტიკური ბოჭკოების მახასიათებლების გაზომვა რეფლექტომეტრის საშუალებით; ავტომატური სატელეფონო სადგურის ფუნქციების პროგრამული უზრუნველყოფის დამუშავება; საწარმოო წყალმომარაგების უნარჩენო ტექნოლოგიებისა და საწარმოო ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგიების შემუშავება; მოხმარებული სასაქონლო ნავთობური ზეთების გაწმენდა-რეგენერაცია ფუნქციური მისართების გამოყენებით; ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ალტერნატიული საწვავებისა და ნავთობპროდუქტების მიღების ტექნოლოგიის შემუშავება. ამ მეცნიერულ პრობლემებს წარმატებით სწავლობენ,აანალიზებენ და შედეგებს მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში აქვეყნებენ ფაკულტეტის პროფესორები: **გაიოზ ფარცხალაძე, ზურაბ მეგრელიშვილი, რევაზ კახიძე, ენვერ ხალვაში, ინდიკო აბაშიძე, დავით ჩხაიძე, თეიმურაზ ჯოჯუა, ეთერ ნიჟარაძე, თემურ თურმანიძე, ოთარ ჯანელიძე, თეიმურაზ ქიქავა, ნუგზარ ჭედია, თენგიზ აფხაზავა, ნორა მამულაიშვილი, რომან მამულაძე და სხვები.**

სამეცნიერო საქმიანობის ტრადიციებითა და ინტენსივობით საინჟინრო-ტექნოლოგიურ ფაკულტეტს არც **სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი** ჩამორჩება. მრავალმხრივია ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინტერესთა სფერო, ესენია: სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ინტენსიური ტექნოლოგიების შემუშავება; სასოფლო-სამეურნეო კულტურების ეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების მიზნით; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-დაავადებების გამოვლენა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დასახვა; აჭარის ტყის თანამედროვე მდგომარეობის და უმთავრესი ტყის შემქმნელი ძირითადი სახეობების ეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა; სოფლის მეურნეობის საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციისათვის ენერგორესურსდამზოგი სამანქანო ტექნოლოგიების, მანქანათა სისტემების მეცნიერული კვლევა და დამუშავება. ამ პრობლემების კვლევას საფუძველი ჩაუყარეს ისეთმა დიდმა მეცნიერებმა, როგორებიც იყვნენ: **აკადემიკოსები – მამია გოგოლიშვილი, შოთა გოლიაძე, გენო ჩხაიძე, ვალერიან ცანავა, ვანო პაპუნიძე, პროფ. ომარ თედორაძე. სმმდ აკაკი ბაჯელიძე და სხვები.**

ამჟამად ფაკულტეტზე ნაყოფიერ მეცნიერულ საქმიანობას ეწევიან **პროფესორები: ოთარ შაინიძე, რეზო ჯაბნიძე, იური ძირკვაძე,დავით გვიანიძე,ავთანდილ მურვანიძე, შოთა ლამპარაძე, შოთა ლომინაძე, დარეჯან ჯაში, მერაბ მამულაძე და სხვები.**

საქართველოში 2004 წელს დაწყებული განათლების რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის ინტეგრაცია, რაც ჩვენი უნივერსიტეტის სინამდვილეში გამოიხატა რამდენიმე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რსუ-სთან სრული გაერთიანებით. მათი შემოერთებით გაძლიერდა რსუ-ს სამეცნიერო პოტენციალი, გაჩნდა დამატებითი მატერიალური ბაზა მეორე და მესამე საფეხურის სტუდენტთა მოსამზადებლად.

ამას დაემატა ისიც, რომ სსიპ რსუ წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 29 დეკემბრის №01 გადაწყვეტილებით შეიქმნა **ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი,** რომლის ძირითადი მიზანია საქართველოს (უპირატესად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს) ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, დიალექტებისა და ქართველთმცოდნეობის სხვა მიმართულებების კვლევა, კვლევის შედეგების, ემპირიული მასალებისა და დოკუმენტების გამოქვეყნება.

მნიშვნელოვან სამეცნიერო საქმიანობას ეწევა **აგრარული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი / დირექტორი – მერაბ არძენაძე, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე – გურამ პაპუნიძე**/. ის 2006 წლიდან გახდა რსუ-ს სტრუქტურული ერთეული, რამაც განაპირობა უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაში ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა უფრო ინტენსიური ჩართვა. ინსტიტუტის ექსპერიმენტული ლაბორატორიები იქცა მნიშვნელოვან ბაზად უნივერსიტეტის მაგისტრანტებისა და დოქტორანტების მოსამზადებლად.

მეცნიერ-თანამშრომლები კვლავაც წარმატებით განაგრძობენ ინსტიტუტისათვის ტრადიციულ საკვლევ პრობლემებზე მუშაობას, ესენია: სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიების შემუშავება და სრულყოფა; შექმნილი ტექნოლოგიების გამოყენება ისეთი ნედლეულის გადამუშავების პროცესში, როგორებიცაა: ციტრუსოვნები, სუბტროპიკული ხურმა, ჩაი, კივი, ფეიხოა, ვარდკაჭაჭა, ტოპინამბური, სტევია, ხილი, ბოსტნეული და ბაღჩეული და ასე შემდეგ. დიეტური, დიაბეტური და ბავშვთა კვებისათვის გათვალისწინებული ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების შემუშავება; ნედლეულისა და მზა პროდუქციის ბიოქიმიური კვლევა და კვების პროდუქტების უსაფრთხოება; სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის წარმოებისა და შენახვის ტექნოლოგიების შემუშავება; სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვა და აჭარაში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის რეაბილიტაციისათვის ხელშეწყობა.

ინსტიტუტის მდიდარ წარსულზე, მის მიერ შექმნილ მაღალმეცნიერულ პროდუქციაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ შემუშავებულ ტექნოლოგიათა ჩამონათვალი 350-ს აჭარბებს, მიღებულია 100-ზე მეტი პატენტი. მათი უდიდესი ნაწილი პრაქტიკულად აპრობირებული და დანერგილია გადამმუშავებელი მრეწველობის სხვადასხვა საწარმოსა და აგროსამრეწველო სფეროს ცალკეულ დარგებში.

წლების განმავლობაში ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები ინტენსიურად მუშაობენ საგრანტო პროექტებზე. ბოლო 5 წლის განმავლობაში შემუშავებული და წარდგენილი იქნა 30-მდე საგრანტო წინადადება, რომელთაგან 10-ზე მეტმა პროექტმა გაიმარჯვა კონკურსში. საგრანტო პროექტების თემატიკა საკმაოდ მრავალფეროვანია და მნიშვნელოვნად

უწყობს ხელს მეცნიერული კვლევების არეალის გაფართოებას. ინსტიტუტში ამჟამად მიმდინარეობს 4 (ოთხ) სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით საგრანტო პროექტზე მუშაობა.

დიდია ინსტიტუტის წარსულის, აწმყოსა და მომავლის შენებაში ცნობილი მეცნიერების ღვაწლი, რომლებმაც მრავალი მნიშვნელოვანი კვლევა განახორციელეს და საერიოზული შედეგები მიიღეს, საფუძველი ჩაუყარეს ამ სფეროში ეროვნული მეცნიერების განვითარებას. მათი შემოქმედებითი შრომის დაფასება და აღიარება არაერთგზის მოხდა. ეს მეცნიერებია: **ტმკ გრიგოლ ფიშმანი** – 100-მდე სამეცნიერო ნაშრომისა და 30-მდე გამოგონების, რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი. მის სახელთანაა დაკავშირებული თანამედროვე გადამუშავების პროგრესული ტექნოლოგიების შემუშავება და წარმოებაში ფართომასშტაბიანი დანერგვა, რასაც თავის დროზე დიდი ეკონომიკური ეფექტი ჰქონდა; **ზურაბ გოგოლიშვილი**, ვის სახელთანაცაა დაკავშირებული საკონსერვო მრეწველობაში სუბტროპიკული ნაყოფის, როგორც სანედლეულო ბაზის, მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში შენახვის თანამედროვე მეთოდების საფუძველზე წარმოების სეზონურობის გაზრდის ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა; **ტმდ ლევან ლაზიშვილი**, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა სუბტროპიკული ნაყოფისა და ჩაის ნედლეულის სამრეწველო გადამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიების მეცნიერული საფუძვლების შექმნის საქმეში, ასევე: **რასიმ ლორთქიფანიძე, რომან იაკობაშვილი, ალექსანდრე კუპრეიშვილი, გიორგი ალოიანი, ჟანი ვასილიადი და სხვები.**

საინტერესო სამეცნიერო საქმიანობას ეწევიან ინსტიტუტში დღეს მოღვაწე მეცნიერებიც, ასე მაგალითად: **მთ. მეცნ. თან., ტმდ გურამ პაპუნიძეს** მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის, მათ შორის – სუბტროპიკული ნედლეულის, კომპლექსური უნარჩენო ტექნოლოგიების სამეცნიერო საფუძვლების შექმნასა და აჭარაში მევენახეობა-მეღვინეობის აღორძინების კომპლექსური გეგმის შემუშავება-განხორციელებაში. მისი ხელმძღვანელობით 100-ზე მეტი ვაზის სტანდარტული ნერგი იქნა გამოყვანილი და უსასყიდლოდ გადაცემული მოსახლეობისათვის, ასევე, ხორციელდება აჭარაში გავრცელებული უნიკალური ვაზის ჯიშებიდან სხვადასხვა სახის სუფრის თეთრი და წითელი ცქრიალა ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინოების ტექნოლოგიების დამუშავება და პრაქტიკული ათვისება.

**უფ. მეცნ. თან., ტმ აკად. დოქტორის მერაბ არძენაძის** უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით შემუშავებულია ციტრუსოვანთა ნაყოფის სასაქონლო დამუშავებისა და შენახვის მეცნიერული საფუძვლები, შექმნილია სუბტროპიკული ნაყოფის კომპლექსური გადამუშავების ტექნოლოგიები, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოების ტექნოლოგიური რეჟიმები, ფუნქციონალური პროდუქტების დამზადების ტექნოლოგიები. მას გამოქვეყნებული აქვს 45-ზე მეტი ნაშრომი, არის ორი მონოგრაფიისა და 6 პატენტის ავტორი.

**მთ. მეცნ. თან., სმმკ ზურაბ მიქელაძე** არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი. მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით შემუშავებულია ციტრუსოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის, ნაყოფების სასაქონლო გადამუშავების, შენახვის, ტრანსპორტირება-რეალიზაციის ახალი ტექნოლოგიები, ფართომასშტაბიანი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კომპლექსური პროგრამა „მთიანი აჭარა", რომელიც შესული იყო ქვეყნის განვითარების ინდიკატურ გეგმაში. გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და მრავალი პუბლიკაცია, მიღებული აქვს უცხოური პატენტი გამოგონებისათვის და გრანტი.

**უფ. მეცნ. თან., ტმდ. ვერა ბოლქვაძის** უშუალო მონაწილეობით შემუშავებულია 50-მდე ტექნოლოგია ახალი სახის პროდუქტებზე. არის 70-მდე ნაშრომის და ორი მონოგრაფიის ავტორი. ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო გრანტით დაფინანსებულ პროგრამას „შაქარი".

**მთ. მეცნ. თან., ბმდ, პროფ. ალეკო კალანდიას** გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, ბროშურა და სახელმძღვანელო. ავტორია 7 საავტორო მოწმობისა და 2 პატენტის. მონაწილეობდა 4 საერთაშორისო და 3 ადგილობრივ საგრანტო პროექტში. შედგენილი აქვს 25 ტექნიკური დოკუმენტაცია ახალი სახის პროდუქციაზე. მისი სამეცნიერო კვლევები მიძღვნილია ადგილობრივ და ინტროდუცირებულ მცენარეებში ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების კვლევაზე.

**მთ. მეცნ. თან. ტმდ მარინა კობახიძის** უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით შემუშავებული და განხორციელებული იქნა რამდენიმე საგრანტო და სატენდერო პროექტი და ა.შ.

***მემბრანული ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი /დირექტორი - ქმკ რაულ გოცირიძე, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე - ტმკ ავთანდილ ცინცქილაძე/*** თავისი მდიდარი წარსულით, მეცნიერული კვლევების ფართო არეალით, საერთაშორისო და ეროვნული საგრანტო პროექტების მრავალფეროვანი თემატიკით საუკეთესო ბაზაა მაღალპროფესიონალი, პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული მომავლის სპეციალისტების მომზადებისათვის.

მემბრანული ტექნოლოგია შედის მსოფლიოს პროგრესული ტექნოლოგიების ხუთეულში, ხოლო მემბრანული ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ერთადერთია საქართველოში, რომელიც მუშაობს ბარომემბრანების მიღებაზე, მემბრანულ ტექნოლოგიურ პროცესებზე, მემბრანული დანადგარების დამზადებასა და მათ დანერგვაზე სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებაში (სამედიცინო, ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხნებში, გადამამუშავებელი მრეწველობის, აგროსამრეწველო სფეროს ცალკეულ დარგებსა და ფირმებში), თუ ინდივიდუალური მოხმარებისათვის, რაც, თავის მხრივ, ეკოტექნოლოგიის განვითარების საშუალებას იძლევა. სწორედ ამ მიმართულებით აწარმოებენ კვლევა-ძიებას ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები: მემბრანული ტექნოლოგიით ზღვის წყლიდან მიკროელემენტების გამოყოფა; მემბრანული ტექნოლოგიით ჩამდინარე წყლების გასუფთავება; ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლების გასუფთავება;

მემბრანული პროცესების დანადგარებისათვის კონსტრუქციული ელემენტების დამუშავება და გამოცდა; მემბრანული კომპლექსური დანადგარების შექმნა:

სასმელი წყლის მომზადებისათვის; ქიმიური და ბიოლოგიური, მძიმე, კვების და ფარმაცევტული მრეწველობისათვის; ენერგეტიკისათვის; ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისათვის; ინდივიდუალური (საოჯახო) მოხმარებისათვის.

ინსტიტუტის სათავეებთან იდგა, უფრო სწორად, მისი შექმნის იდეა ეკუთვნოდა, იმ დროისათვის მოსკოვში მოღვაწე დიდ ქართველ მეცნიერს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ბატონ **კირილე სალდაძეს**. ბათუმში ჩამოყალიბებული მოსკოვის პლასტმასების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფი №87-ის ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა **გემთმშენებელი ინჟინერი ნოდარ ჩხეიძე,** რადგან, ძირითადი სპეცტექნიკა უნდა შექმნილიყო ფლოტისათვის. 1974 წლის დეკემბერში №87 ლაბორატორია გადაკეთდა მოსკოვის პლასტმასების ინსტიტუტის ბათუმის 113-ე ლაბორატორიად, 1984 წელს – №23 განყოფილებად, ხოლო 1992 წელს – ინსტიტუტად.

კვლევების ძირითადი მიმართულებები იყო მებრანულ აპარატებში მიმდინარე ჰიდროდინამიკური და მასის მიმოცვლითი პროცესების ფუნდამენტური შესწავლა **(ხელმ. ნოდარ ჩხეიძე).** ახალი მოდიფიციური იონგაცვლითი სპეციალური ფისების შექმნა და დანერგვა **(ხელმ. ლუდმილა ბოჩკოვა),** ახალი პერსპექტიული ელექტრო დიალიზური აპარატების კონსტრუქციების შექმნა **(ხელმ. ანზორ ანთაძე)**, ახალი ანალიზური მეთოდების შექმნა და ათვისება **(ხელმ. ლუდმილა ბოჩკოვა)**, მემბრანული აპარატების მართვის ავტომატური სისტემების შექმნა (**ხელმ. თემურ ქაჯაია)** და მრავალი სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ პირველად იქნა შესწავლილი მცირე სისქის (0,3-0,9 მმ) ფართო (150-400 მმ) არხებში სითხეების ტურბულენტური მოძრაობის სტრუქტურა და მათი გავლენა მასის მიმოცვლის პროცესებზე სასაზღვრო ფენებში, რომელიც აღწერილი იქნა დიფერენციალური განტოლების ინტეგრალური ფორმით.

1980-1990-იანი წლებში შესრულდა ისეთი მნიშვნელოვანი სამუშაოები, როგორებიცაა დიდი წარმოების ელექტროდიალიზური გამამტკნარებელი და კონცენტრატორული აპარატების შექმნა და წარმოებაში დანერგვა: „როდნიკ-21" და „როდნიკ-22", „როდნიკ-23" და „როდნიკ-23" თბოელექტროსადგურებისათვის, მემბრანული-სორბციული ტექნოლოგია და აპარატები, დისტილირებული წყლის მისაღები მემბრანული აპარატი და ტექნოლოგიური პროცესი, სხვადასხვა დანიშნულების სპეცტექნიკა, ზღვის წყლიდან სელექტიურად რუბიდიუმის ამოღებისათვის მოდიფიცირებული იონგაცვლითი ფისი, ამოღების ხერხი და მცურავი აპარატის კონსტრუქცია. **თემურ ქაჯაიას** მიერ პირველად პრაქტიკაში შეიქმნა ხერხი და მოწყობილობა ელექროდიალიზური არასტაციონალური პროცესების ავტომატური მართვის სისტემებისათვის; შესწავლილი იქნა ე.წ. „რევერს ელექტროდიალიზური პროცესი" (უფრო ადრე, ვიდრე ამერიკული ფირმა „აიონიქსი").

ოთხმოციანი წლების ბოლოსათვის №23 განყოფილებაში შეიქმნა და მცირე პარტიებად მზადდებოდა ელექტროდიალიზური აპარატების ნომენკლატურული რიგი: წარმადობით 10 ლიტრიდან/საათში - 10 ტონა/საათში. ამავე პერიოდში შეიქმნა ელექტროდიალიზური პროცესი და აპარატი გალვანური ჩამდინარე წყლების გაწმენდის მიზნით.

პროფ. ნოდარ ჩხეიძე 25 წელი იყო ამ უნიკალური სამეცნიერო დაწესებულების ხელმძღვანელი. იმ პერიოდისათვის მას რესპუბლიკურ თუ საკავშირო ჟურნალებში გამოქვეყნებული ჰქონდა 55 სამეცნიერო სტატია, მიღებული ჰქონდა 21 საავტორო მოწმობა გამოგონებაზე, დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებითა და პრემიებით, საკავშირო გამოფენების ოქროსა და ბრინჯაოს მედლებით, მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო და საკავშირო კონფერენციაში.

1997 წელს ბათუმის მემბრანული ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი რაულ გოცირიძე, რომელიც არის 50-მდე შრომის, 12 საავტორო გამოგონებისა და 4 პატენტის ავტორი, ასევე, 20-მდე საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციის მონაწილე.

**რაულ გოცირიძის** ხელმძღვანელობის პერიოდში რამდენიმე კერძო საწარმომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (თბილისში, ბათუმში და სხვა) შეისყიდა ინსტიტუტის მიერ დამზადებული სხვადასხვა წარმადობის მიკროფილტრაციული და ელექტროდიალიზური დანადგარი. ასე რომ, 1991 წლიდან დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე დაინერგა 60-მდე მემბრანული დანადგარი, რომელთაც ინსტიტუტი საგარანტიო და საავტორო მომსახურეობას უწევს.

ამავე პერიოდში ინსტიტუტს მიღებული აქვს სამი გრანტი, მათ შორის ერთი საერთაშორისო პროექტი ISTG G1302 - „ზღვის წყლიდან ნატურალური კალიუმის სასუქის მიღების საკითხზე **(მეცნიერ-ხელმ. - რ. გოცირიძე, მენეჯერი - გ. ლანჩავა)** და ორი სახელმწიფო პროექტზე: „მძიმე ლითონებიდან წყლის გასუფთავებისა" **(მეცნიერ-ხელმ. - რ. გოცირიძე, მენეჯერი - ლ. კონცელიძე);** „წვენების გადამუშავების უნარჩენო კომპლექსური ტექნოლოგიის შემუშავებაზე" **(მეცნიერ-ხელმ. - ი. ბეჟანიძე, მენეჯერი - თ. ხარებავა)**.

მნიშვნელოვან სამეცნიერო პროდუქციას ქმნიან, ასევე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები: **თინა ხარებავა, ნარგიზ მეგრელიძე, ნინო მხეიძე, ნარგიზ ალასანია, ზურაბ კონცელიძე, ავთანდილ ცინცქილაძე და სხვები.**

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 29 სექტემბრის №176 დადგენილების თანახმად, სსიპ ბათუმის ბოტანიკური ბაღი რეორგანიზაციის გზით შეუერთდა სსიპ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს და იქცა მის სტრუქტურულ ერთეულად: **ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად /დირექტორი - აკად. დოქტორი - გია ბოლქვაძე, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე - სრ. პროფ. დავით ბარათაშვილი/**.

ფართო და მრავალფეროვანია ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებანი: კოლხეთის უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვის ხელშეწყობა, მცენარეთა გენოფონდის შესწავლა, ex-situ და in-situ კონსერვაციის ღონისძიებების შემუშავება; მცენარეთა მავნებელ-დაავადებების სახეობების დადგენა, გავრცელების თავისებურებების შესწავლა-გამოკვლევა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების შემუშავება; სამხრეთ კოლხეთში გავრცელებული ადგილობრივი და ინტროდუცირებული ხეხილოვანი კულტურების გენოფონდის იშვიათი, გაქრობის საშიშროების წინაშე მყოფი სახეობებისა და ჯიშების გამოვლენა-კონსერვაცია, ახალი ჯიშების შექმნა, რეგიონის აგრარული სექტორის განვითარებისათვის ხელშეწყობა;

მაღალი კონსერვაციული ღირებულებების ეგზოტური და ადგილობრივი ფლორის ცალკეული სახეობის ბიოეკოლოგიური თავისებურებების შეს წავლა, in situ კონსერვაციის ღონისძიებების შემუშავება;

ადგილობრივი ფლორის მაღალი კონსერვაციული ღირებულებების ფიტოცენოზების და სახეობათა ბიომრავალფეროვნების ძირითადი მახასიათებლების ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის შეფასება, ტრანსფორმაციის კანონზომიერებების გამოვლენა და დაცვა-აღდგენის სამეცნიერო საფუძვლების შემუშავება;

ადგილობრივი და ინტროდუცირებული მცენარეთა სახეობების თესლების მონაცემთა ბაზის (Index seminum) შედგენა, შეგროვება, გრძელვადიანი კონსერვაცია თესლების ბანკის სახით, ჰერბარიუმის გრძელვადიანი კონსერვაცია ჰერბარიუმის ფონდის სახით და მსოფლიოს ბოტანიკურ ბაღებთან გაცვლით პროგრამებში ჩართვა;

აგრესიული ადვენტური სახეობების გავრცელებაზე კონტროლი;

ეგზოტური და ადგილობრივი ფლორის დეკორატიული ღირებულებების მქონე სახეობების რეგიონის მწვანე მშენებლობაში დანერგვისათვის სამეცნიერო დასაბუთებების და საპროექტო წინადადებების მომზადება /დასახლებული და ადმინისტრაციული პუნქტების, საგზაო ქსელის, ქარსაფრების მწვანე მშენებლობისათვის კომპოზიციის ელემენტების შემუშავება/;

სისტემატური მონიტორინგის განხორციელება ბათუმის ბოტანიკური ბაღის ფლორისტული განყოფილებების სახეობრივ შემადგენლობასა და მათ ზრდაზე.

**ა. კრასნოვის, მ. დალფონსის, ს. სოლოვცევის, მ.ოლინსკის, ვ.ტატარინოვის, ბ.სტოიანოვის ი.გორდეზიანის, ი.პალიბინის, გ.ცქიტიშვილის, ბ.კელერის, მ.პოპოვის და ბოტანიკოსთა, აგრონომთა, დეკორატორთა არაერთი თაობის** მიერ დაწყებულ პრაქტიკულ და თეორიულ სამეცნიერო მოღვაწეობას ღირსეულად განაგრძობენ ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები: **ბმდ, სრ. პროფ. დ. ბარათაშვილი, სმმდ ზ. მანველიძე, სმმკ გ. ლეონიძე** და სხვები.

რა თქმა უნდა, 75 წლის ისტორიის მქონე უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაობის სრული სურათის შექმნა ერთი სტატიის კი არა, ერთი მონოგრაფიის ფარგლებშიც ძნელია, თუმცა ამის პრეტენზია ამ საგაზეთო წერილს არც ჰქონია: ჩვენ შევეცადეთ, ზედაპირულად მაინც, გადაგვევლო თვალი იმ სამეცნიერო პროდუქციისათვის, მადლიერებით მოგვეხსენიებინა ის მეცნიერ-მკვლევრები, ვინც განსაკუთრებული ღვაწლი დასდო უნივერსიტეტში ამა თუ იმ სამეცნიერო დარგის განვითარებას. დარწმუნებული ვარ, უამრავი ღირსეული მეცნიერის სახელი ვერ მოხვდა ამ პატარა სტატიაში, გვინდა მათ ნათელ ხსოვნას ბოდიში მოვუხადოთ ამისათვის.

ჩვენ ვისაუბრეთ წარსულზე, ნაწილობრივ – დღევანდელობაზე, იმ სამეცნიერო პრიორიტეტებზე, სამომავლოდ რომ აქვთ დასახული ცალკეულ ფაკულტეტებსა თუ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, მაგრამ შედარებით ნათელი სურათი რომ გამოგვივიდეს, ვფიქრობთ, უპრიანი იქნება ბოლო ორი წლის (2008-2009 წლების) რამდენიმე სტატისტიკური მონაცემის მოტანა, ასე, მაგალითად: **რსუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების საერთო რაოდენობამ 2008 წელს შეადგინა 1121, ხოლო 2009 წელს - 1162 ერთეული, მათ შორის, 2009 წელს გამოიცა 27 სახელმძღვანელო, 97 მონოგრაფია, 32 მეთოდური მითითება, 100 სტატია გამოქვეყნდა უცხოეთის რეფერირებად ჟურნალში და ა.შ. 2008 წელს საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 196 პროფესორმა, ადგილობრივში – 198-მა, ხოლო 2009 წელს, შესაბამისად, 211-მა და 259-მა. 2008 წელს მოპოვებული იქნა საერთაშორისო და სსეფ-ის მიერ დაფინანსებული 15 გრანტი, 2009 წელს – 19; 2008 წელს რსუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ მიღებული პატენტების რაოდენობამ შეადგინა 4 ერთეული, ხოლო 2009 წელს – 5; გარდა ამისა, რსუ-ს პროფესორები მონაწილეობდნენ საქართველოს სხვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების მიერ მოპოვებული საგრანტო პროექტების მუშაობაში.**

კიდევ ბევრი ციფრის მოტანა შეიძლება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთს დავძენთ: ამ მშრალი სტატისტიკური მონაცემების მიღმა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა თავდაუზოგავი შრომა, ინტელექტი, მაღალი პასუხისმგებლობა და პროფესიონალიზმი იგულისხმება, რაც იმის გარანტიაა, რომ 75 წლის უნივერსიტეტს წინ დიდი და ნათელი მომავალი აქვს.

დასასრულს, ვისარგებლებ შემთხვევით და ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს მივულოცავ სახელოვან იუბილეს და ვუსურვებ, კვლავაც ღირსეულად ეტარებინოს ერთ-ერთი გამორჩეული უმაღლესი სასწავლებლის სახელი.

**შორენა მახაჭაძე** – პროფესორი, რსუ-ს რექტორის მოადგილე სამეცნიერო მუშაობის დარგში

# რ ე ქ ტ ო რ ე ბ ი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია 1935 წელს დაფუძნებული ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტიდან იღებს სათავეს. აჭარაში პირველი უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პირველი ხელმძღვანელი გახლდათ სრულიად ახალგაზრდა,30 წლის **ხუსეინ ნაკაიძე (1935-1937)**[1]. იგი დაიბადა 1905 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბ ანში. მას დედა



ადრე გარდაეცვალა და იზრდებოდა ბაბუას, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, გულო კაიკაციშვილის ოჯახში.

1913 წელს ხუსეინ ნაკაიძე მიაბარეს ქობულეთის ორკლასიან სასწავლებელში. 1915 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივითა და ხარჯებით იგი ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ჩაირიცხა, ხოლო 1918 წელს გადმოვიდა ბათუმში ახლადგახსნილ გიმნაზიაში. სას წავლებელი მალე ჰუმანიტარულ ტექნიკუმად გადაკეთდა, რომელიც ხუსეინ ნაკაიძემ დაამთავრა 1924 წელს და მაშინვე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მან 1929 წელს დაასრულა უნივერსიტეტი.

ხუსეინ ნაკაიძე სხვადასხვა დროს მუშაობდა პედა გოგიური სასწავლებლის დირექტორად,აჭარის სახალხო განა თლების კომისრად, აჭარის სახალხო განათლების საბჭოსთან არსებ უ ლი ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარედ.

ხუსეინ ნაკაიძეს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის 1935 წელს ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნის საქმეში. ამიტომაც დანიშნეს იგი ამ ორწლიანი სამა სწავლებლო ინსტიტუტის პირველ დირექტორად. 1937 წლის 22 ივნისს ინსტიტუტმა პირველი სპეციალისტები გამოუშვა.

საინტერესოა, რომ 1936 წელს ხუსეინ ნაკაიძემ სავალდებულო საგნად არასპეციალურ ფაკულტეტებზე შემოიღო საქართველოს ისტორია. იგი იყო უნარიანი ხელმძღვანელი, პირდაპირი, მომთხოვნი და ამის გამო მტრებიც საკმაოდ ჰყავდა. იგი, ისე როგორც ქართული ინტე ლიგენციის უამრავი თვალსაჩინო მოღვაწე, სრულიად ახალგაზრდა შეეწირა 1937 წლის სის ხლიან პოლიტიკურ რეპრესიებს.

ხუსეინ ნაკაიძე **ნური ნიჟარაძემ (1938-1941)** შეცვალა. იგი დაიბადა 1907 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბარში.



1929 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ტექნიკუმი და მუშაობა დაიწყო ქობულეთის საბაზო სკოლის გამგედ. 1930 წელს იგი უკვე ქობულეთის განათლების განყოფილების გამგეა. 1937 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი. 1938 წელს დაინიშნა შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორად. 1941 წლის ივნისში იგი გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში,მონაწილეობდა კავკასიის ბრძოლებში, ასრულებდა სპეცდავალებებს. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო 1942 წელს დემობილიზაციით დაბრუნდა სამშობლოში. ამის შემდეგ ნური ნიჟარაძე მუშაობდა ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგედ,1944 წლის აპრილიდან დაინიშნა აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისრად, 1946 წლიდან აირჩიეს საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად. 1952 წლიდან 1975 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე, ის იყო ბათუმის სასოფლო-სამეურნეო (მწვანე კონცხის) ტექნიკუმის დირექტორი.

1941 წელს ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა **მიხეილ (მემედ) სტამბოლიშვილი (1941-1943)**. იგი დაიბადა 1904 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვაში.



1921 წელს მუშაობა დაიწყო ქობულეთის მილიციის განყოფილებაში. ამავე წელს შევიდა და ერთ წელში დაამთავრა ქობულეთის ოთხწლიანი სკოლის მთელი კურსი. 1924 წელს იგი შევიდა ბათუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1928 წელს.

მიხეილ სტამბოლიშვილი 1928-1931 წლებში მუშაობდა ხულოს რაიონის განათლების განყოფილების გამგედ. 1931 წელს იგი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი. პირველი კურსის დახურვის შემდეგ ის გაემგზავრა მოსკოვში,სადაც 1932-1936 წლებში სწავლობდა მოსკოვის ისტორია-ფილოლოგიის ინსტიტუტში,რომლის ფილოსოფიის ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1936 წლიდან მიხეილ სტამბოლიშვილმა დაიწყო მოღვაწეობა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის მასწავლებლად. 1936-1938 წლებში შეთავსებით მუშაობდა ქობულეთის განათლების განყოფილების გამგედ.

1938 წელს მიხეილ სტამბოლიშვილი იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტის კათედრის გამგე და ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი. 1941-1943 წლებში – ამავე ინსტიტუტის დირექტორი. 1943 წელს მან დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1946 წლიდან, სამასწავლებლო ინსტიტუტის პედაგოგიურ ინსტიტუტად რეორგანიზაციის შემდეგ, მიხეილ სტამბოლიშვილი ერთ-ერთ წამყვან კათედრას ჩაუდგა სათავეში. 1968 წელს კიევში,ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. 1970 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. მის კალამს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო ნაშრომი.

ინსტიტუტის დირექტორის თაანამდებობაზე მიხეილ სტამბოლიშვილი **ვლადიმერ ქემხაძემ (1943-1947, 1955-1962)** შეცვალა. იგი დაიბადა 1907 წელს სამტრედიის



რაიონის სოფელ ჩხენიშში. 1926 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ტექნიკუმი. 1926-1927 წლებში მუშაობდა ხულოს რაიონის საშუალო სკოლის დირექტორად, 1928 წელს გადაიყვანეს ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვაში სარაიონო სკოლის გამგედ.

1928 წელს შევიდა და 1931 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქიმიის სპეციალობით. 1932 წელს სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში. 1933-37 წლებში იყო ბათუმის ერთ-ერთი სკოლის დირექტორი, კომუნალური ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგე, პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე, ბათუმის საქალაქო აღმასკომში სახალხო განათლების განყოფილების უფროსი. 1941 წელს გადაიყვანეს საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსად. აქ მან 1943 წლამდე დაჰყო, რის შემდეგაც ვლადიმერ ქემხაძე დაინიშნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორად,საიდანაც 1947 წელს გაათავისუფლეს პირადი თხოვნის საფუძველზე.

ვლადიმერ ქემხაძემ მოსკოვის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ქიმიაში. 1948-1955 წლებში იგი იყო ინსტიტუტის ზოგადი და ორგანული ქიმიის კაბინეტის გამგე,ხოლო 1955 წლიდან იგი კვლავ აირჩიეს ინსტიტუტის დირექტორად.

ვლადიმერ ქემხაძის დირექტორობის პერიოდში, 1945 წელს ბათუმის ორწლიანი სამასწავლებლო პედაგოგიური ინსტიტუტი გადაკეთდა ოთხწლიან სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტად,ხოლო 1957 წლიდან ჩამოყალიბდა მრავალპროფილიანი ხუთწლიანი პედაგოგიური ინსტიტუტი.

ვლადიმერ ქემხაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აჭარის მაღალმთიანი სოფლებიდან ახალგაზრდების მოზიდვას. მათ ჰქონდათ ყველა პირობა,რომ შეეძინათ უმაღლესი განათლება და თავიანთი სოფლის სკოლებს კვალიფიციურ პედაგოგიურ კადრებად დაბრუნებოდნენ.

1947 წელს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს **ვახტანგ პარკაძე (1947-1949)**. იგი დაიბადა თბილისში 1912 წელს. 1930 წელს იგი ჩაირიცხა



თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ფიზიკის სპეციალობაზე, რომელიც დაამთავრა 1935 წელს. 1942 წელს პირველმა ფიზიკის დარგში დაიცვა დისერტაცია ფიზიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

დირექტორობის პერიოდში მან რადიკალურად გარდაქმნა ინსტიტუტში მუშაობა. ლექციების კურსების წასაკითხად მოიწვია მდიდარი პედაგოგიური გამოცდილების მქონე სახელგანთქმული მეცნიერები როგორც თბილისიდან, ასევე მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლესი სასწავლებლებიდან და ამით აამაღლა სწავლების დონე და ხარისხი.

1964 წელს ვახტანგ პარკაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1979 წლიდან მუშაობდა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგედ.

ვახტანგ პარკაძის შემდეგ ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა **ნადიმ ნიჟარაძე (1949-1954)**. იგი დაიბადა 1911 წელს ქედის რაიონის სოფელ ვაიო ში. 1930 წელს დაამთავრა



ბათუმის პედაგოგიური სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო ქობულეთის სუბტროპიკულ ტექნიკუმში მასწავლებლად. 1931-1936 წლებში ნადიმ ნიჟარაძე სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. 1936 წლიდან ბათუმის პედაგოგიურ ინ სტ იტ უტში კითხულობდა ლექციებს გეოგრაფიაში. 1936 წელს დაინიშნა აჭა რის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად,ხოლო 1937 წელს – აჭარის გა ნათლების სახალხო კომისრად.

ნადიმ ნიჟარაძე 1949-1954 წლებში იყო ბათუმის პედ აგ ო გიური ინსტიტუტის დირექტორი, ხოლო 1964 წლიდან გარდა ცვალებამდე – ამ ავე ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრის გამგე. მის სახელთან არის დაკავშირებული მრავალწლიანი ბრძოლა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩამოყალიბებისათვის. მას საკმაოდ ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი საუნივერსიტეტო განათლების მქონე სპეციალისტების დიდი მნიშვნელობა აჭარაში განათლებისა და კულტურის აღორძინებისათვის.

მისი რექტორობის პერიოდში ინსტიტუტის შენობის არსებულ კორპუსზე დაშენდა მესამე სართული, მოიზვინა ეზო, დაიდგა რუსთაველის ძეგლი, შემოყვანილ იქნა ცენტრალური გათბობა.

ნადიმ ნიჟარაძე ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე **რევაზ კომახიძემ (1954-1955)** შეცვალა. იგი დაიბადა 1911 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ზენით-



ში ღარიბი გლეხის ოჯახში. 1922-1924 წლებში სწავლობდა ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბრის დაწყებით სკოლაში.

1924-1930 წლებში რევაზ კომახიძე სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისში, საბჭოთა მშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში, შემდეგ - მოსკოვის საბჭოთა მშენებლობის ინსტიტუტში,რომელიც დაამთავრა 1933 წელს.

რევაზ კომახიძე მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე პროკურატურისა და იუსტიციის ორგანოებში. 1933-1937 წლებში იყო ქობულეთის რაიონის პროკურორი, 1937-1942 წლებში იყო აჭარის სახალხო კომისრის მოადგილე, 1943-1944 წლებში – აჭარის ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე, 1944-1948 წლებში – აჭარის იუსტიციის მინისტრის მოადგილე, ხოლო 1951 წლიდან დაინიშნა აჭარის იუსტიციის მინისტრად.

რევაზ კომახიძე 1939-1945 წლებში ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში კითხულობდა ლექციების კურსს სახელმწიფო სამართალში. 1954-1955 წლებში კი იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი. ამ თანამდებობაზე იგი 1962 წელს **კარლო დოლიძემ (1962-1970)** შეცვალა. იგი დაიბადა 1919 წელს ჩოხატაურის



რაიონის სოფელ შუა განახლებაში. აქვე დაამთავრა სოფლის არასრული საშუალო სკოლა და შემდეგ სწავლა განაგრძო ბათუმის პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელიც 1938 წელს დაამთავრა. იმავე, 1938 წელს კარლო დოლიძე შევიდა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობაზე, რომელიც დაამთავრა 1940 წელს. 1948 წელს დაუსწრებლად დაამთავრა ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა. 1951 წელს დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. 1955 წელს დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. კარლო დოლიძე 1962-1970 წლებში იყო ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი. მან განაგრძო პედაგოგიურ ინსტიტუტში დამკვიდრებული ტრადიცია აჭარის მაღალმთიანი რაიონებისთვის პედაგოგთა კვალიფიციური კადრების მომზადებისა.

1970-1978 წლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა **პროფ. ოთარ ბაკურაძე**. იგი დაიბადა 1926 წელს თელავში. 1943 წელს



დაამთავრა თელავის პირველი საშუალო სკოლა. 1944-1949 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. 1949 წლიდან მუშაობდა ფილოსოფიის ინსტიტუტში. 1953 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1964 წელს – სადოქტორო დისერტაცია, 1966 წლიდან არჩეული იყო პროფესორად.

1970-1978 წლებში, პროფესორ ოთარ ბაკურაძის ხელმძღვანელობის პერიოდში, ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. ყოველწლიურად ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ტარდებოდა როგორც პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო სესიები, ისე – სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები, ქვეყნდებოდა ინსტიტუტის

[1] *ფრჩხილებში აღნიშნულია სამასწავლებლო ინსტიტუტის (შემდეგ – პედაგოგიური ინსტიტუტის, შემ დეგ – უნივერსიტეტის) დირექტორების/რექტორების აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის თარიღები.*

პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომები საინსტიტუტო შრომათა კრებულების სახით, ცალკე იბეჭდებოდა სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომების კრებულები.

პროფესორი ოთარ ბაკურაძე გამოირჩეოდა მაღალადამიანური თვისებებით, კარგი ორგანიზატორული ნიჭით, სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლებისადმი ყურადღებიანი, ტაქტიანი დამოკიდებულებით. მისი ხელმძღვანელობის პერიოდი ერთ-ერთი წარმატებული და გამორჩეულია უნივერსიტეტის ისტორიაში.

1978 წლიდან ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად დაინიშნა პროფ. **დურსუნ ბალაძე (1978-1992)**. იგი დაიბადა 1930 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკაში. 1937-1945 წლებში სწავლობდა წყავროკის არასრულ საშუალო სკოლაში, შემდეგ სოფელ ლეღვას საშუალო სკოლაში. 1949-1956 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.



დურსუნ ბალაძემ 1964 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მათემატიკაში, ხოლო 1971 წელს – სადოქტორო დისერტაცია, 1972 წლიდან აირჩიეს პროფესორად.

დურსუნ ბალაძის რექტორობის პერიოდში – 1977 წელს დაიწყო და 1982 წელს დასრულდა ინსტიტუტის ახალი ხუთსართულიანი კორპუსის მშენებლობა. 1990 წელს კი ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა უნივერსიტეტი, რაც იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა რეგიონის ცხოვრებაში.

პროფესორ დურსუნ ბალაძის მიერ გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა დიდი აღიარება ჰპოვა ბევრ ქვეყანაში. 1967 წლიდან ის მსოფლიოში ცნობილი მათემატიკური ჟურნალების „რევიუს" (აშშ) და „ცენტრალბატის" (გფრ) რეცენზენტი იყო, ხოლო 1997 წელს ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტმა იგი დააჯილდოვა ათასწლეულის ღირსების ორდენით.

დურსუნ ბალაძის მეცნიერული დამსახურების აღიარებაა ისიც, რომ იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

პროფესორი დურსუნ ბალაძე აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო ტოპოლოგიური სიმპოზიუმებისა და კონფერენციების მუშაობაში და ყველგან ღირსეულად წარმოადგენდა საქვეყნოდ აღიარებულ ქართულ ტოპოლოგიურ სკოლასა და მის მიღწევებს.

დურსუნ ბალაძე უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე **აზიზ ახვლედიანმა (1992-1996)** შეცვალა. იგი დაიბადა 1928 წელს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახინჯაურში. 1949-1953 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1953-1955 წლებში მუშაობდა შუახევის, 1955-1959 წლებში კი - მახინჯაურის საშუალო სკოლაში მასწავლებლად. 1959-1972 წლებში აზიზ ახვლედიანი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. მან 1967 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „აჭარის საგმირო საისტორიო სიტყვიერება" და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1972-1991 წლებში იგი იყო გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის" დირექტორი.



1992 წელს დოცენტი აზიზ ახვლედიანი დაინიშნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად. მან ბევრი რამ გააკეთა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სამეცნიერო კადრების შემოკრებისათვის. თუ 1991 წელს უნივერსიტეტში იყო 12 კათედრა, 1996 წელს მათი რიცხვი გახდა 27. გაიხსნა ახალი სპეციალობები, ჩამოყალიბდა ორი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, სამეცნიერო და მეგობრული ურთიერთობები დამყარდა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან.

1996 წლიდან უნივერსიტეტის რექტორია **ნური ვერძაძე (1996-2004)**. იგი დაიბადა 1942 წელს სოფელ ხელვაჩაურში. 1958 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ხელვაჩაურის საშუალო სკოლა. 1960 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1964 წელს თბილისის სახელმწიფო უნივე რს იტეტსა და კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის მოხდა სტუ დ ენ ტთა გაცვლა საკონკურსო შერჩევის წესით. იმავე წელს, სახე ლმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, ნური ვერძაძე მიავლინეს კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკრა ინული ენისა და ისტორიის შესასწავლად. 1966 წელს მან და იცვა საკ ანდიდატო დისერტაცია.



1971 წლიდან ნური ვერძაძემ მუშაობა დაიწყო ბა თუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ქა რთული ენისა და ლიტერატურის კათედრის უფროს მასწ ავლებლად. 1975-1981 წლებში იგი დაინიშნა პრორექტორად იდეურ-აღმზ რდელობითი მუშაობის დარგში, 1981-1986 წლებში პრორექტორად – საღამოსა და და უს წრებელი სწავლების დარგში, 1986-1996 წლებში იყო პრორექტორი სასწავლო დარგში და, ამასთანავე, ზოგადი ფილოლოგიის კათედრის გამგე. 1995 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1996 წლიდან 2004 წლამდე იყო ბათუმის შოთა რუსთ აველის სახელობის სახელმწიფო უნივე რსიტეტის რექტორი. ამ პერიოდში მოხდა უნივერსიტეტის ე.წ. „ძველი კორპუსის" საფუძვლიანი რეაბილიტაცია ევროსტანდარტების დონეზე.

2004 – 2005 წლებში უნივერსიტეტს ხელმძღვანელობდა **პროფ. ამირან კახიძე.** იგი დაიბადა 1935 წელს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ქვედა ჩხუტუნეთში. არასრული საშუალო სკოლის დამთვრების შემდეგ სწავლა განაგრძო აჭარისწყლის სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში. 1954 წელს კი გახდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სპეციალობის სტუდენტი, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქვედა ჩხუტუნეთის საშუალო სკოლის მასწავლებლად.



1961-1964 წლებში აკადემიკოს ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით გაიარა ასპირანტურის კურსი და 1966 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1981 წელს – სადოქტორო დისერტაცია.

1998 წლიდან შეიქმნა საქართველოს ბრიტანეთის ფიჭვნარის პირველი საერთაშორისო ერთობლივი ექსპედიცია. პროფესორ ამირან კახიძის ხელმძღვანელობით ექსპედიციაში მონაწილეობენ ოქსფორდის უნივერსიტეტის აშმოლის მუზეუმის ბერძნულ-რომაული სამეცნიერო დეპარტამენტის მეცნიერ-სპეციალისტები.

ფიჭვნარის პარალელურად 1999 წლიდან პროფესორი ამირან კახიძე ხელმძღვანელობს გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედ არქეოლოგიურ ექსპედიციას.

1994 წელს პროფ. ა. კახიძის ძალისხმევის შედეგად დაფუძნდა არქეოლოგიური მუზეუმი, რომელსაც დღემდე ნაყოფიერად ხელმძღვანელობს. ასევე, მისი აქტიური მონაწილეობით რეალობად იქცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარა) ისტორიის ოთხტომეულის გამოცემა.

2004-2005 წლებში პროფესორი ამირან კახიძე ასრულებდა რსუ-ს რექტორის მოვალეობას.

2005 წელს უნივერსიტეტის რექტორობა მიენდო **პროფ. ნუგზარ მგელაძეს (2005-2006)**. იგი დაიბადა 1958 წელს ქალაქ ბათუმში. 1975 წელს დაამთავრა ბათუმის №1 საშუალო სკოლა, 1979 წელს - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.



1986 წელს დაიცვა საკანდიდატო, 1992 წელს - სადოქტორო დისერტაციები. 1991-1996 წლებში იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის 2004 წლის მოწვევის წევრი. 2005 წელს ნუგზარ მგელაძე დაინიშნა რსუ-ს რექტორად.

2005-2006 წლებში, ნუგზარ მგელაძის რექტორობის პერიოდში, უნივერსიტეტი გადავიდა კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპულ სისტემაზე (ECTS), განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაცია, რომელიც სსიპ - რსუ-ს ჩამოყალიბებით დასრულდა.

ნუგზარ მგელაძის რექტორობის პერიოდში პირველად უნივერსიტეტში გამოცხადდა კონკურსი სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. ჩატარდა ფაკულტეტების დეკანებისა და ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის არჩევნები. ფაკულტეტებზე ჩამოყალიბდა კურიკულუმის კომიტეტები.

ამჟამად ნუგზარ მგელაძე არის უნივერსიტეტის პროფესორი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი.

2006 წლიდან უნივერსიტეტის რექტორია **პროფ. ვლადიმერ ბალაძე (2006-2007)**. იგი დაიბადა 1952 წელს ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეებში. დაამთავრა გეგელიძეების რვაწლიანი და ცხმორისის საშუალო სკოლები. 1969 წელს გახდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1974 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის ავტომატიზაციურ საშუალებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. დაცული აქვს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ტოპოლოგიაში.



ვ. ბალაძე 1980-2005 წლებში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალგებრა-გეომეტრიის, 1991 წლიდან, შეთავსებით,- ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრაზე.

ვ. ბალაძე 2005-2006 წლებში მუშაობდა რსუ-ს სასწავლო-აკადემიური დეპარტამენტის დირექტორის და რექტორის მოადგილის თანამდებობებზე. 2006 წელს აირჩიეს უნივერსიტეტის რექტორად. 2008 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს მათემატიკის დეპარტამენტს.

ვ. ბალაძის რექტორობის პერიოდში უნივერსიტეტში გადადგმული იქნა მნიშვნელოვანი ნაბიჯები სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის გასაუმჯობესებლად; დაიხვეწა საუნივერსიტეტო სწავლების სამივე საფეხურის საგანმა ნათლებლო პროგრამები და სილაბუსები; შეიქმნა ფაკულტეტების, დეპარტამენტების და სხვა სტრუქტურული ერთეულების ვებგვერდები და დაისვა საკითხი მათი ინგლისურენოვანი ვერსიის შექმნის შესახებ; შეიქმნა დისტანციური სწავლების ცენტრი, ინტენსიურად ამუშავდა სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები და ა.შ.

2007-2008 წლებში უნივერსიტეტს ხელმძღვანელობდა **პროფ. ალექსანდრე (სანდრო) ლაშხი.** იგი დაიბადა ქ. თბილისში, 1945 წელს. 1962 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის 53-ე საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წითელ დიპლომზე დაამთავრა 1968 წელს. 1968-1971 წლებში იყო მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ალგებრის კათედრის ასპირანტი, 1971-1984 წლებში – ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, 1981-1982 წლებში – მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი (ალგებრის კათედრა). 1972 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1989 წელს – სადოქტორო დისერტაცია.



ალექსანდრე ლაშხი 1984-1985 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე, 1991-2006 წლებში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის კათედრის გამგე, 2005-2007 წლებში რსუ-ს რექტორის მოადგილე, შემდეგ – რექტორი.

ალექსანდრე ლაშხის რექტორობის პერიოდში რსუ გადავიდა სამსაფეხურიან სწავლებაზე, ჩამოყალიბდა დოქტორანტურა და განისაზღვრა დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი.

ალექსანდრე ლაშხი 2006 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი (2009 წლიდან კათედრის გამგე) და აკადემიური საბჭოს წევრია.

უნივერსიტეტის ამჟამინდელმა რექტორმა **პროფ. ალიოშა ბაკურიძემ** თანამდებობა დაიკავა 2008 წელს. იგი დაიბადა 1955 წელს შუახევის რაიონის სოფელ შუბანში, მოსამსახურის ოჯახში. 1972 წელს დაამთავრა შუბნის საშუალო სკოლა. 1979 წელს - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი.



ა. ბაკურიძე 1979-1982 წლებში მუშაობდა შუახევის რაიონული, 1982-1984 წლებში კი - დაბა ჩაქვის აფთიაქის გამგედ. 1987 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1994 წელს - სადოქტორო დისერტაციები. 1995 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

ა. ბაკურიძე 1987 წლიდან დღემდე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ტექნოლოგიის დეპარტამენტის უფროსია. 1994-2005 წლებში ალიოშა ბაკურიძე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტის დეკანად. 2005-2008 წლებში ხელმძღვანელობდა იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტს.

2004 წლიდან ა. ბაკურიძე არის საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ხოლო 2006 წლიდან – საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, ფარმაციაში თსუ-ს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

პროფ. ალიოშა ბაკურიძის რექტორობის პერიოდში უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა საგამოცდო ცენტრი, შეიქმნა ტესტების ბანკი, გამრავალფეროვნდა საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლებაში დაინერგა ახალი ტექნოლოგიები; გაუმჯობესდა სასწავლო პროცესის მონიტორინგი. ამასთან ერთად, დაწესდა სახელობითი სტიპენდიები, წლის საუკეთესო პროფესორისა და მეცნიერ-თანამშრომლის წოდება, ამუშავდა შიგასაუნივერსიტეტო გრანტების სისტემა, დაიწყო აქტიური თანამშრომლობა უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, სკოლებთან და რაც მნიშვნელოვანია უნივერსიტეტი ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა ბოლონიის პროცესისა.

# სტუდენტები უნივერსიტეტის ცხოვრებაში

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფართო კარია გახსნილი სტუდენტური ცხოვრებისათვის, სტუდენტთა შესაძლებლობებისა და პოტენციალის წარმოჩინებისათვის. უნივერსიტეტის სტუდენტები ჩართული არიან სხვადასხვა შემოქმედებითი, სამეცნიერო და თვითმმართველი ორგანოების საქმიანობაში, უნივერსიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებაში და გარდა სასწავლო პროცესისა მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნივერსიტეტის მართვის თითქმის ყველა დონეზე.

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად ჩვენს უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია სტუდენტთა უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობა. თავისუფალი, საყოველთაო, პირდაპირი, ფარული კენჭისყრით უნივერსიტეტის სტუდენტები ირჩევენ თავიან წარმომადგენლებს **ფაკულტეტის საბჭოებში** არჩეული სტუდენტები, როგორც ფაკულტატის საბჭოს სრულუფლებიანი წევრები, იღებენ გადაწყვეტილებებს სტუდენტების ინტერესების



სტუდენტები ირჩევენ თავიან წარმომადგენლებს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში

შესაბამისად. ფაკულტეტებზე არჩეული სტუდენტები უნივერსიტეტში ქმნიან სტუდენტთა უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს – **სტუდენტურ თვითმმართველობას,** რომელიც არის დამოუკიდებელი ორგანო. მისი მეშვეობით სტუდენტები ახორციელებენ თავიანთი უფლებებისა და ინტერესების შესაბამის ღონისძიებებს, მონაწილეობენ უნივერსიტეტის მართვაში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უნივერსიტეტის **წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატს)** მუშაობაში სტუდენტთა მონაწილეობას. სტუდენტები ირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებს, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი სტუდენტები მონაწილეობას ღებულობენ არამარტო სტუდენტებთან



სამუშაო შეხვედრა სტუდენტურ თვითმმართველობაში

დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, არამედ სხვადასხვა საუნივერსიტეტო საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

უნივერსიტეტის სტუდენტები ჩართული არიან სხვადასხვა დროებითი კომისიების მუშაობაშიც, სტუდენტები არიან ასევე საფაკულტეტო ეთიკის საბჭოების წევრებიც.

უნივერსიტეტში პირველი სტუდენტური თვითმმართველობა არჩეულ იქნა 2006 წელს, მისი საქმიანობა მრავალ მიმართულებას მოიცავს და უმნიშვნელოვანეს ამოცანებს ისახავს. სტუდენტური თვითმმართველობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საყოველთაო, ფარული და პირდაპირი კენჭისყრით აირჩევა 2 წლის ვადით. სტუდენტური თვითმმართველობის ძირითადი ერთეულებია საფაკულტეტო სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოები, სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობა, სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება, სხვადასხვა კომიტეტები და სამსახურები. სტუდენტურ თვითმმართველობას ხელმძღვანელობს საერთო კრების მიერ 2 წლის ვადით არჩეული თავმჯდომარე.

სტუდენტური თვითმმართველობის უმთავრესი მიზნებია სტუდენტების უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა, მაღალკვალიფიციური განათლების მიღებაში ხელშეწყობა, პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და შესაძლებლობების რეალიზებაში დახმარების გაწევა, უნივერსიტეტის მართვაში სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა ინიციატივებისა და პროექტების განხორციელების მხარდაჭერა, სპორტული გაერთიანებებისა და წრეების საქმიანობის ხელშეწყობა, გამოფენების, ლიტერატურული



9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი აქცია

ღონისძიებების, შემოქმედებითი საღამოების, გამოჩენილ ადამიანებთან შეხვედრების ორგანიზება, სტუდენტური გაცვლითი პროგრამებისათვის ხელშეწყობა, უცხოეთის სტუდენტურ ორგანიზაციებთან ინტენსიური ურთიერთობების დამყარება. მიზნების ფართო სპექტრი ნათლად წარმოაჩენს სტუდენტური თვითმმართველობის მნიშვნელოვან როლს უნივერსიტეტის ცხოვრებაში. ამ მიზნების განსახორციელებლად სტუდენტურ თვითმმართველობაში შექმნილია სხვადასხვა მიმართულების კომიტეტები და სამსახურები

**ინიციატივებისა და პროექტების მართვის სააგენტო** ატარებს ტრეინინგებს პროექტების წერის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით. მას გააჩნია საკუთარი ბიუჯეტი, საიდანაც კონკურსის წესით ფინანსდება დამოუკიდე-



სტუდენტური თვითმმართველობის გამგეობის სხდომა

ბელი სტუდენტური პროექტები და ინიციატივები. **საქველმოქმედო სამსახური** აწყობს საქველმოქმედო ღონისძიებებს როგორც უნივერსიტეტში, ისე - მის ფარგლებს გარეთ, რითაც ეხმარება არაერთ სტუდენტსა და ახალგაზრდას სხვადასხვა წინაღობების დაძლევაში. **კულტურის სამსახური** ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებს: პოეზიის საღამოებს, კულტურისა და სპორტის ცნობილ მოღვაწეებთან შეხვედრებს, აწყობს „მან-სან-კანის" ტრადიციულ შეჯიბრებებს, ინტელექტუალურ თამაშებს - „რა? სად? როდის?", „ბრეინ რინგებს", „საპარლამენტო დებატებს" და ა.შ. ის ასევე უწევს ორგანიზებას სტუდენტური თეატრის გასტროლებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. **სპორტის კომიტეტი** ორგანიზებას უწევს მრავალი ტრადიციული სპორტული ღონისძიების ჩატარებას: ყოველწლიურად თამაშდება სტუდენტური თვითმმართველობის თასი მკლავჭიდში, მინი-ფეხბურთში. ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა გუნდი გაწევრიანდა აჭარის ფუთზალისა და საპლაჟო ფრენბურთის ფედერაციებში.

სტუდენტურ თვითმმართველობას გააჩნია განსაზღვული ოდენობის ბიუჯეტი, რომელსაც უნივერსიტეტის ადმინსტრაციის წარდგინებით ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო, ხოლო ხარჯვის პრიორიტეტებს განსაზღვრას სტუდენტური თვითმმართველობის საერთო კრება. აღნიშნული ბიუჯეტით სტუდენტური თვითმმართველობა ატარებს სხვადასხვა მიზნობრივ ღონისძიებებს და ახორციელებს თავის უფლებამოსილებას.



უნივერსიტეტის სტუდენტთა მოძრაობა "7 აგვისტო"



საქართველოს სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა IV სიმპოზიუმის მონაწილეები

უნივერსიტეტში სტუდენტის უპირველესი მოვალეობა სწავლაა, მთელი ძალისხმევა მიმართულია სწორედ იქეთკენ, რომ სტუდენტმა მიიღოს საფუძვლიანი ცოდნა და ჩამოყალიბდეს კვალიფიციურ სპეციალისტად. უნივერსიტეტის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ასევე ხელი შეუწყოს სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას, ამისთვის ჩვენს უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი.

უნივერსიტეტის სტუდენტები ჩართული არიან სხვადასხვა სამეცნიერო პროგრამებში, პროექტებში, მეცნიერ ხელმძრვანელებთან ერთად აწარმოებენ კვლევებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში. სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის ორგანიზების მიზნით ჩვენს უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი, ტარდება არაერთი სამეცნიერო კონფერენცია და სიმპოზიუმი, რომლის უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტებს თავიანთი შესაძლებლობების წარმოჩინებასა და განვითარებაში. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში იქმნება სათანადო პირობები სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების წარმოჩინებისათვის, რისი ნათელი დადასტურებაა სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა შრომების სხვადასხვა კრებულთა გამოცემა.

სამეცნიერო ცენტრი არის სტუდენტთა საინიციატივო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა სამეცნიერო პროექტებს და ზრუნავს სტუდენტთა შემოქმედების განვითარებაზე. სამეცნიერო ცენტრის მიერ განხორციელებული პროექტები უკვე ტრადიციულად ხორციელდება. ესენი გახლავთ: სამეცნიერო კონფერენციები, სესიები და სხვადასხვა შემეცნებითი ღონისძიებები. სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი პერიოდულად გამოცემს სტუდენტთა სამეცნიერო შრომათა კრებულებს.



შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი

სტუდენტთა და
ახალგაზრდა მეცნიერთა
სიმპოზიუმი

შრომები
I

ბათუმი 2009

ჩვენს უნივერსიტეტში სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით ყოველწლიურად იმართება საქართველოს სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა სიმპოზიუმი, რომელშიც მონაწილეობას იღებს საქართველოს მრავალი უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტი.

სამეცნიერო ცენტრის უმთავრესი მიზანია გაუწიოს დახმარება სტუდენტებს შემოქმედებითი უნარის განვითარებაში, მოახდინოს სტუდენტებში სამეცნიერო საქმიანობის სტიმულირება და პროპაგანდირება. წარმართოს საქმიანობა სტუდენტებში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, უზრუნველყოს სტუდენტთა მონაწილეობა სხვადასხვა დონის სამეცნიერო კონფერენციებში, დაგეგმოს და განახორციელოს სასწავლო-სამეცნიერო და შემოქმედებითი ღონისძიებანი. სამეცნიერო ცენტრი თანამშრომლობს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან და ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან.



სტუდენტები სამეცნიერო კონფერენციაზე

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი შექმნილია სტუდენტური თვითმმართველობის ბაზაზე, ცენტრის საქმიანობაში ჩართულია ნოვატორი სტუდენტები, რომლებიც ეხმარებიან უნივერსიტეტს სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში. ცენტრის შემადგენლობაში ჩამოყალიბებას იწყებს სტუდენტური კლუბები, რომლებშიც გაერთიანდებიან სხვადასხვა სამეცნიერო დარგის მიმართ ინტერესების მქონე სტუდენტები, კლუბი ხელს შეუწყობს მათ განვითარებას და პროფესიულ ზრდას.

სტუდენტთათვის განათლების, ცოდნისა და ინტელექტის სტიმულირების საუკეთესო საშუალებაა ყოველწლიური ტურნირი „რა? სად? როდის?", რომელიც ჩვენს უნივერსიტეტში ტრადიციულად იმართება. სტუდენტების მიერ შექმნილი გუნდები მონაწილეობას ღე-



უნივერსიტეტის ქალთა ვოკალური წრე

ბულობენ საკვალიფიკაციო და ფინალური თამაშებში. ტარდება ინტელექტუალური თამაშების საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ტურნირები, საუკეთესო მოთამაშეები ირიცხებიან უნივერსიტეტის ნაკრებ გუნდში და მონაწილეობას ღებულობენ რესპუბლიკურ ჩემპიონატში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტურნირები უნივერსიტეტში ტარდება "რა? სად? როდის?" ფედრერაციის ეგიდით და სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გარდა იმისა, რომ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებაა, რეგიონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის კერაა, ამის მანიშნებელია უნივერსიტეტში მოქმედი მრავალი კულტურული და სპორტული გაერთიანება და მათი აქტიური საქმიანობა.



სტუდენტთა ქორეოგრაფიული ანსამბლი "ტბეთი"

უნივერსიტეტში მუშაობს სხვადასხვა შემოქმედებითი წრეები, უპირველესად აღსანიშნავია უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ტბეთი", რომელმაც წელს დაარსებიდან 50 წლის იუბილე აღნიშნა. ანსამბლი ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებისგანაა დაკომპლექტებული და მათი რეპერტუარი საყოველთაოდა ცნობილი. ანსამბლი ხშირად არის მიწცვეული როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საერთაშორისო ფესტივალებზე.

უკანასკნელ დროს ჩამოყალიბდა და დიდ წარმატებებს მიაღწია სტუდენტთა თეატრალური დასი, სტუდენტებმა მაყურებელს უკვე წარუდგინეს სპექტაკლები: „ღია შუშაბანდი","ორი კუნძული შავ ზღვაში","უცხო ჩიტი","გველის მჭამელი". სტუდენტთა ნამუშევრებმა დიდი მოწონება დაიმსახურა, დასი მიწვეულ იქნა საქართველოს არაერთ უნივერსიტეტში. სტუდენტთა თეატრალური დასის საქმიანობას პროფესიონალებიც მაღალ შეფასებას აძლევენ. თეატრალური დასის საქმიანობაში ჩართულია ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც საშემსრულებლო და თეატრალური ხელოვნებისადმი იჩენენ ინტერეს, უნივერსიტეტის სტუდენტური თეატრი მათთვის შესაძლებლობების რეალიზების საუკეთესო საშუალებაა.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ქალთა და ვაჟთა ვოკალური წრეები. სტუდენტები მონაწილეობენ ქალაქში გამართულ მნიშვნელოვბან კონცერტებსა თუ ღონისძიებებში, ვოკალური წრეების კვალიფიციური პედაგოგები ეხმარებიან სტუდენტებს ვოკალური ხელოვნების ღრმად დაუფლებაში, ასევე საესტრადო სიმღერების შესრულების დონის განვითარებაში.

ჩამოყალიბების დღიდან მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა უნივერსიტეტის მან-სან-კან-ის ნაკრებმა გუნდმა „თეთრი გედი". გუნდმა მონაწილეობა მიიღო არაერთ საერთაშორისო ფესტივალში და მრავალჯერ მოიპოვა პირველი ადგილი. უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართება მხიარულთა და საზრიანთა კლუბის შიდასაუნივერსიტეტო ტურნირები, ასევე უნივერსიტეტი



მან-სან-კანის ნაკრები გუნდის რეპეტიცია

მასპინძლობს მან-სან-კან-ის რეგიონალურ და რესპუბლიკური მაშტაბის თამაშებს.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყურადღება ექცევა ასევე სტუდენტთა ფიზიკურ აღზრდას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას და ხელშეწყობას, სტუდენტთა სპორტის სხვადასხვა სახეობების



ტურნირი ჭადრაკში

მოქმედ წრეებში ჩართვას და მათ მხარდაჭერას. ამ მიზნით უნივერსიტეტი დახმარებას უწევს სტუდენტებს სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად, გარდა ამისა, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა სპორტული წრე, ასევე უნივერსიტეტში იქმნება ნაკრები გუნდები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, მაგალითად, უკვე საფუძველი ეყრება უნივერსიტეტის საკალათბურთო ნაკრებს.

უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ჩამოყალიბდა პლაჟის ფრენბურთის ნაკრები, ჩამოყალიბდა ასევე ფუტზალის ნაკრები, რომელმაც 2010 წელს საქართველოს უმაღლესი ლიგის თამაშებში მიიღო მონაწილეობა და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღნიშნული გუნდები გაწევრიანდნენ აჭარის ა.რ შესაბამის ფედერაციებში.

უნივერსიტეტში ტარდება არაერთი სპორტული ტურნირი, ამათგან აღსანიშნავია პროექტი „ცოცხალი ეზო", პროექტის ფარგლებში ეწყობა სპორტული კვირეული და იმართება შეჯიბრებები მკლავჭიდში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში, შაშში და სხვა სახეობებში. ტურნირში გამარჯვებულებს გადაეცემათ სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები. ყოველწლიურად იმართება ასევე სტუდენტური თვითმმართველობის თასის გათამაშება მინი-ფეხბურთში, ტურნირში ჩართულია ცალკეული ფაკულტეტების ნაკრები გუნდები. სხვადასხვა თარიღის აღსანიშნავად უნივერსიტეტის სტუდენტები ხშირად აწყობენ ველომარათონს, გადარბენებს და ღია სპორტულ ტურნირებს.

2010 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა უნივერსიტეტის კრივის დარბაზს, ახალი საწავლო წლიდან აქ



სტუდენტთა ანტინარკოტიკული აქცია



სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახური

შესაძლებელი გახდება სტუდენტების მომზადება სპორტის აღნიშნულ სახეობაშიც. განახლდა უნივერსიტეტის მთავარი სპორტული დარბაზიც, რომელიც შესაძლებლობების ფართო კარს გაუღებს ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს.

სტუდენტური ცხოვრების მხარდასაჭერად ჩვენს უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახური, რომელიც ასევე კურირებს კულტურისა და სპორტის ცენტრს და შემოქმედებით წრეებს. ორგანიზებას უწევს საუნივერსიტეტოს სტუდენტურ ღონისძიებებს, ეხმარება სტუდენტებს სასწავლო პროცესის დროს წარმოქმნილი პრობლემების დაძლევაში, უწევს კონსულტაციას საუნივერსიტეტო და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახური პერიოდულად აქვეყნებს ინფორმაციას თავისუფალი ვაკანსიების შესახებ, ხელს უწყობს სტუდენტებს მოიძიონ სამუშაო ადგილები, რათა სწავლის პარალელურად დასაქმდნენ და მიიღონ სათანადო ანაზღაურება. სამსახური კურირებას უწევს სტუდენტთა დასაქმების შესახებ სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს.

უნივერსიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს მიზნობრივ პროგრამას სტუდენტთა სხვადასხვა კატეგორიისათვის, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა სასწავლო გრანტით დაფინანსებას. აღნიშნული პროგრამა უკვე 3-ჯერ განხორციელდა და ბევრ სტუდენტს გაუწია დახმარება.

მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტთათვის მნიშვნელოვანია უნივერსიტეტში მოქმედი სტიპენ-



უნივერსიტეტის სტუდენტები სატელევიზიო შოუში "ეტალონი"

დიები. წარჩინებულ სტუდენტებს ენიშნებათ სტიპენდია 100 ლარის ოდენობით. წარჩინებულ სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ გარკვეული წარმატებები სამეცნიერო მუშაობაში, კონკურსის წესით, ენიშნებათ სტიპენდია 150 ლარის ოდენობით.

უნივერსიტეტის აქტიურად თანამშრომლობს ქვეყნის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ჩვენი სტუდენტები მონაწილეობენ სახელმწიფოს სხვადასხვა ორგანეობში სტაჟიორთა პროგრამებში. ასევე ჩართული არიან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროექტებში, სტუდენტები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ტრენინგ-სემინარებში, სოციალურ და საქველმოქმედო ღონისძიებებში.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია წარმატებული საგარეო ურთიერთობები, თანამშრომლობს ევროპის რამდენიმე უნივერსიტეტთან და საგანმანათლეობლო ფონდთან. ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები მონაწილეობენ გაცვლით პროგრამებში. ამათგან გამორჩეულია " რასმუს უნდუს", მისი საშუალებით მრავალი სტუდენტი გაემგზავრა საბერძნეთის, იტალიის, პორტუგალიის, რუმინეთის და ბალტიისპირეთის ქვეყნების სხვადასხვა უნივერსიტეტებში სასწავლებლად.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტობა აქტიური ცხოვრებით ცხოვრობს, სტუდენტები ჩართულნი არიან ქვეყნის კულტურულ-საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დიდია მათი შესაძლებლობები და პოტენციალი. უნივერსიტეტის განვითარების პირობებში ფართოვდება მათი პერსპექტივის არეალიც. დღეს, როცა უნივერსიტეტი აღნიშნავს დაარსებიდან 75 წლის იუბილეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი შემდგომი განვითარების გზა თითოეულ სტუდენტზე გადის. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს ვულოცავთ ჩვენი სახელოვანი უნივერსიტეტის იუბილეს. დაე ღირსეულად გვეტარებინოს უნივერსიტეტელის სახელი.

## გამოხმაურება

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გურამ ვარშალომიძის მონოგრაფიაზე „ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები“ - თბილისი, 2010 წ. და სახელმძღვანელოზე „საბურღი და ნავთობსარეწაო დანადგარ მოწყობილობები“ - თბილისი, 2009 წ.

პროფესორ გ. ვარშალომიძის ბოლო სამეცნიერო კვლევები ეძღვნება ენერგო და რესურსდამზოგი ეკოლოგიურად სუფთა,




თვითგავრცელებადი, მაღალტემპერატურული სინთეზის მაღალეფექტური ტექნოლოგიების შემუშავებას, რომლის მეშვეობით მიღებულია ახალი კლასის ზემაგარი ძნელდნობადი მასალები. აღნიშნულ მასალებს აქვთ მაღალი საჯავშნე თვისებები, რისთვისაც ავტორს მიენიჭა 2010 წლის საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის წოდება და დაჯილდოვდა ვერცხლის მედლით.

მონოგრაფია შედგება ექვსი თავისაგან, მოიცავს 1001 გვერდს, ყოველი თავის ბოლოს მოცემულია ლიტერატურის ჩამონათვალი. პირველ თავში წარმოდგენილია ცნობები ზოგადი და ნავთობსარეწაო გეოლოგიიდან, მოცემულია ნახშირწყალბადების საბადოების ჩამოყალიბების პირობები. აღწერილია საქართველოში დღემდე აღმოჩენილი ნავთობისა და გაზის ყველა საბადო მათი ძირითადი პარამეტრების ჩამონათვალით.

შემდეგ ხუთ თავში მოცემულია საბურღი დანადგარების და მათი ძირითადი კვანძების, იარაღების აღწერა, ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვაში გამოყენებული თანამედროვე ნიმუშების ტექნიკური საშუალებების მონაცემები.

განხილულია როტორული, ტურბინული ბურღვის, ელექტრო




ბურღებით ბურღვის, ხრახნული ძრავებით, მათ შორის ქოლთიუბინგის დანადგარის გამოყენებით, ბურღვის ძირითადი საკითხები. აღწერილია რადიალური ბურღვის გამოყენების და ქანების დამანგრეველი ინსტრუმენტების, ჭაბურღილების ამორეცხვის ტექნოლოგიისა და დაცემენტების საკითხები. სატეხების განმტკიცებისათვის მაღალშენადნობებით აღჭურვა, ცემენტის და გამრეცხი ხსნარების დამუშავება, რომლებიც ხელს უწყობენ ბურღვის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას. მონოგრაფია შეიცავს ბევრ საცნობარო მასალას.

სახელმძღვანელო „საბურღი და ნავთობსარეწაო დანადგარ მოწყობილობები“ შედგება ოთხი თავისაგან. მოიცავს 437 გვერდსა და ლიტერატურის ჩამონათვალს. თავების მიხედვით განხილულია ნავთობისა და გაზის საბადოების ქანების ზოგიერთი მახასიათებელი, საბურღი ხსნარები და სატამპონაჟო ნარევები, ნავთობ-გაზსარეწაო დანადგარები და მათი ექსპლუატაცია.

გარდა ზემოთაღნიშნულისა, თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ნანოტექნოლოგიის გამოყენებით ავტორის მიერ მიღებულია ნანოკრისტალური სტრუქტურის მქონე ერთფაზიანი მასალები, რომლებზეც დიდი მოთხოვნილებაა ნავთობის, თავდაცვის, საავიაციო და კოსმოსურ მრეწველობაში, გაზის ტურბინების, რეაქტიულ და შიგაწვის ძრავების დეტალების დასამზადებლად.

„ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვის თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები“ და „საბურღი და ნავთობსარეწაო დანადგარ მოწყობილობები“ დაწერილია გამართული ენით და კარგადაა ილუსტრირებული. ნაშრომები დიდ სარგებლობას გაუწევენ ნავთობის სპეციალობის სტუდენტებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებსა და ნავთობისა და გაზის სფეროში დასაქმებულ სპეციალისტებს.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდ მადლობას უხდის პროფესორ გურამ ვარშალომიძეს უსასყიდლოდ გადმოცემული ლიტერატურისათვის და უსურვებს მას შემდგომ წარმატებებს სამეცნიერო მოღვაწეობაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

## უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

















უნივერსიტეტში უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა მომზადებაში მნიშვნელოვანია სამეცნიერო ბიბლიოთეკის წვლილი. კარგად ორგანიზებული, ესთეტიკურად მიმზიდველი, ინტერნეტქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი ბიბლიოთეკა – ის ადგილია, სადაც სტუდენტი წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობს, ღებულობს საჭირო ინფორმაციას მისთვის საინტერესო საკითხებზე .

რსუ ბიბლიოთეკა განთავსებულია 2000 კვ.მ ფართობზე. მას გააჩნია კეთილმოწყობილი სამკითხველო დარბაზი და საცავები.

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ფარგლებში ფუნქციონირებს საფაკულტეტო ბიბლიოთეკები.

ბიბლიოთეკის საინფორმაციო ბაზა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე - www.bsu.edu.ge.

სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შექმნას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ინსტიტუტის დაარსების პირველი დღიდანვე. 1937 წლისთვის წიგნადი ფონდი შეადგენდა 5000 ერთეულს, დღეისათვის კი ის მოიცავს 239 124 წიგნს მეცნიერების თითქმის ყველა დარგში.

სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცულია 1815-1899, 1900-1917 წლებში გამოცემული 1500 ერთეულამდე უნიკალური წიგნი, რომლებიც მას მემკვიდრეობით გადმოეცა ყოფილი ვაჟთა გიმნაზიისაგან.





რედაქტორი
იოსებ სანიკიძე
სპეციალისტები:
ნესტან მამუჩაძე
თამილა აბაშიძე



სარედაქციო კოლეგია:
ირინე ცინცაძე
ნანა ცეცხლაძე
ჟანა გორგილაძე

დაიბეჭდა
ს.ს „პოლიგრაფისტი“
ზ. გორგილაძის 91

7-59-10; 7-59-11